# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 24 (2803) გამოცემის მე-60 წელი, 1991 14 ივნისი ფასი 40 კაპ.



ალავერდი და წულრულაშენი.
ზურაბ დათუაშვილის ფოტოები

## დღეს ნომერში:

პოეზია, პროზა
გვ. 7-8-9 გვ.

პრობლემა — რთული, უზარმაზარი
გვ-12 გვ.

ჰენრიკ სენკევიჩი
გვ-13-14 გვ.



## დღეს ნომერში:

გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია
გვ-2 გვ.

„საქართველოს სულიერი მისსია“
გვ-3 გვ.

სტალინი — ქართველი კაცი?
გვ-4-5 გვ.

ლილოს ნგრეული აულების მოზარე
გვ-6 გვ.

# მივიწყებული მეცნიერი

ამ წერილს ფარდულში თავშეფარებული ხალხი გწერთ. ჩვენი ერთადერთი კავშირი სამყაროსთან ამ გამუდმებულ წვიმებში და რყევებში, — ტელევიზორია. ახლახანს ვნახეთ ფილმი სახელოვან დენდროლოგზე, აკად. ალ. ქურდიანზე და მისმა მწარე ბედმა გაგვახსენა სახელი მამულიშვილის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის ტრაგიკული აღსასრული და გადავწყვიტეთ ეს წერილი თქვენთვის მოგვეწერა.

ძალიან გვიკვირს, რომ ახლა მაინც, არსად არაფერი არ იწერება ამ იშვიათ პიროვნებაზე. ნუთუ ხიკვიდილის შემდგომაც იხე უიღბლო გამოდგა ეს ღვთისნიერი კაცი, რომ ქვეყანა გადაბრუნდა და მისთვის კი მაინც არაფერი არ იცვლება? მართალია ბევრი დიდი მამულიშვილია. ამ სახელოვანი გვარის წარმომადგენელი ჩვენს ისტორიაში, მაგრამ გრიგოლ წერეთელი ხომ თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა. იგი სარგებლობდა დიდი კონსტანტინეს, დიდი ივანეს და სხვათა გულწრფელი პატივისცემით და სიყვარულით. „სულის დიდი არისტოკრატი“ — ასე მოიხსენიებდნენ მას ჩვენი ხაამაყო მამულიშვილები.

კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ არათუ ძეგლი, ანდა მისი სახელობის რომელიმე დაწესებულება. თვით მემორიალური დაფაც კი არ არსებობს. შარშან საიუბილეო თარიღი იყო და ეს მხოლოდ ბატონ აკაკი გაწერელიასთან ინტერვიუთი შევიტყვეთ („თბილისი“, 13.VI.90).

ჩვენ განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი გვაინტერესებს, რაზედაც სხვადასხვა ხმები დადის. არის თუ არა მისი განსასვენებელი ცნობილი? ძალიან საინტერესოა ალ. მახარაძის მოგონებები, მაგრამ, თითქოს ბოლომდე არაა იქაც ყველაფერი მოთხრობილი.

გრიგოლ წერეთლის ბრწყინვალებას ვერაფერი დაჩრდილავს. იგი ჩვენი მეცნიერების კორიფეა. მის ხსოვნას ჩვენი საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება სჭირდება.

გ. დვალი, რ. უთმელიძე, ბ. იაშვილი, ჯ. გელოვანი, მ. ბოჭორიშვილი, ბ. კევლიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ხ. არჩვაძე, დ. ბოჭორიშვილი, თ. ბოჭორიშვილი.

**რედაქციისაგან:** ჩვენი ისტორიის უახლოესი წარსულის ბევრი ფაქტი სიბნელითაა მოცული. მართლაც ცოტა რამ ვიცით გრიგოლ წერეთლის სიცოცხლის ბოლო წლების, მისი ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. დიდი სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს წერილებს, რომლებიც სახელგანთქმული მეცნიერის ღვაწლსა და ცხოვრებას ეხება. იმედი გვაქვს ავტორთა მიერ აღძრული საკითხი დააინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, დიდი მეცნიერის მოწაფეებს და მოგვაწვდიან უცნობ მასალებს გრიგოლ წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

# წერილი პარიზიდან

ჩემო ძვირფასნო და საყვარელნო.

დიდი მადლობელი ვარ იმ გულმხურვალე წერილისთვის, რომელიც მიძღვენით. იქვე ჩემ დაბადებასთან ერთად მილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას.

მე კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მივულოცოთ ქართველ ერს!

იმედი მაქვს, ჩვენი ახალგაზრდობა დინჯად მოიქცევა, გონებას მოიკრეფს და ისე შეაფასებს მოვლენებს, რომ საბოლოოდ ჩვენი თავი ჩვენვე უნდა „გვეყუდნოს“.

საგულისხმოა, რომ 9 აპრილი — ეს ეროვნული გლოვის დღე და ზეიმის დღე ერთად გამოცხადდა...

თვალცრემლიანი გრძნობით მწარედ განვიცდი იმ უბედურებას, რომელიც გამოიწვია მიწისძვრამ, დიდძალი ხალხი, ამასთან ჩვენი ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები, როგორც „ნიკორწმინდა“ და სხვა, მიწის პირიდან ან მთლად აღგავა, ან მძიმედ დააზიანა...

ვილოცოთ, რომ ეს ღვთისწყრომა აღარ განმეორდეს.

მე და თეოს საუკეთესო სურვილებით და კოცნით

თქვენი მოყვარული

**სოფიო ჩიჯავაძის ასული კედიანი.**

პარიზი, 22.5.1991 წ.

# საღამო—კონცერტი

ახლახანს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში, მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“ ინიციატივით გაიმართა ცნობილი საბავშვო პოეტის მაყვალა მრევლიშვილისა და კომპოზიტორ მერი დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო-კონცერტი.

სამწუხაროდ, დაძაბული ყოველდღიურობით დამძიმებულებს, ხშირად გვავიწყდება ხოლმე ის ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ერის წინაშე; სწორედ ასეთ ადამიანებს განეკუთვნებიან ქალბატონები მაყვალა მრევლიშვილი და მერი დავითაშვილი, მათ ლექსებსა და სიმღერებზე გაიზარდა და კვლავაც გაიზრდებიან თაობები.

საღამო-კონცერტს უამრავი მაყურებელი დაესწრო

# პატივცემულო რედაქცია

ჩემს წერილში „ჯონჯი დადიანი“ („ლიტერატურული საქართველო“ № 10, 1991) ასეთი სიტყვებია: „...ჩვენს მოდგმას შვილი მამაკაცი აგრძელებს... ასე, რომ მტოყვართა მოდგმას გაგრძელება არ უწერია. და თუ ეს მაინც მოხდა... აი, მაშინ კი ექნება სრული უფლება ჩემს კოლეგას ტელეკომენტატორს, ქალბატონ მანანა ნოდიას ჩვეული გულისტკივილით ამცნოს ჩვენი მოდგმის გადაშენება საქართველოს“. როგორც შემდეგ დავაზუსტე, ქალბატონ მანანას ეს სიტყვები არსად არ უთქვამს. ჩემი დაუდევრობის გამო კი მას უმართებულოდ მივაყენე ტკივილი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი ქალბატონ მანანა ნოდიასაც და თქვენი გაზეთის მკითხველებსაც.

პატივისცემით **აზული დადიანი.**

# ასომთავრული და სინის მთა

„ლიტერატურული საქართველოს“ 10 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „აუტკივარ თავს ნუ ავიტკივებთ“, რომელიც ეხება ძველი ქართული ასომთავრულის გამოყენების საკითხს თანამედროვე ქართულ წერაში.

მეორე დღეს დამირეკა პროფ. იოსებ მეგრელიძემ და საყვედური მითხრა: მაგ თემაზე რომ წერდით, რატომ მე არ მახსენეთო. შემდეგი საუბრიდან გაირკვა, რომ ბ-ნ იოსებს იმავე საკითხზე გამოუქვეყნებია სტატია გაზეთ „ცხოვრებაში“, 13 მარტის ნომერში. მე მას ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, ამ გაზეთის მკითხველი არ ვარ, ხოლო ჩემი წერილი რედაქციის თებერვალში ჩავაბარე-მეთქი.

ერთხელ კიდევ მოვუხადე ბოდიში ბ-ნ იოსებს და ვიფიქრე, რომ ამით ეს პატარა გაუგებრობა გაირკვა.

მაგრამ ასე თურმე ამაოდ ვფიქრობდი. იმავე გაზეთ „ცხოვრებაში“ 15 მაისს დაიბეჭდა პროფ. ი. მეგრელიძის მეორე წერილი „ახლა ხომ მაინც გაირკვევა მტყუან-მართალი“, რომლითაც იგი ედავება პროფ. ზაზა ალექსიძეს მისი ერთ-ერთი პუბლიკაციის გამო (კვლავ მისი, პროფ. ი. მეგრელიძის, მოუხსენიებლობის გამო). ამ წერილს მოსდევს ასეთი პოსტსკრიპტუმი:

„წერილი „ქართულ ანბანში ასომთავრულის შესახებ“ გამოვაქვეყნე გაზეთ „ცხოვრებაში“... მასში საკითხის ისტორიაც არის წარმოდგენილი. შემდეგ დაისტამბა მიხეილ ქაბაშვილის სტატია „აუტკივარ თავს ნუ ავიტკივებთ, კვლავ ასომთავრულის შესახებ“...

ავტორმა აიტკივა თავი, ისტორიას გვერდს უვლის, **იმეორებს ჩემს დებულებებს!** მადლობა მხარდაჭერისათვის. **იქნებ ამიტომ წერია ქვესათაურში კვლავ-ო!** (ხაზი ორგანვე ჩვენია — მ. ქ.). მაგრამ ეს ათავისუფლებს მას ჩემი და თუნდაც გაზეთის მოუხსენებლობისაგან?“

საწყენია, რომ ბატონმა იოსებმა არ დამიჯერა! ნუთუ ჩვენში სულ აღარ დარჩა იოტისოდენა ნდობა?

ახლა მივუბრუნდეთ ციტატაში ჩვენს მიერ გახაზულ სიტყვებს.

ბ-ნო იოსებ, როგორ შემეძლო თქვენი დებულებები გამემეორებინა და როგორ უნდა მომეხსენიებინეთ ან თქვენ, ან გაზეთი, როდესაც, როგორც გვითხარით. გაზეთ „ცხოვრების“ მკითხველი არ გახლავართ და ამდენად თქვენი სტატიის არსებობაც არ ვიცოდი. (ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ჩემი წერილი გაცილებით ადრე იყო ჩაბარებული რედაქციაში. საიდან აიღეთ, რომ „კვლავ“-ში თქვენი წერილი შეიძლება იგულისხმებოდეს. თქვენამდე არავის დაუწერია ამ თემაზე? (გაიხსენეთ ივანე იმნაიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლელა შანიძისა და სხვათა წერილები).

თქვენც იმავე აზრისა ბრძანებულხართ ამ საკითხზე, როგორისაც მე გახლავართ. ორივე ვასაბუთებთ, რომ მიზანშეუწონელია ძველი ასომთავრული ასოების გამოყენება თანამედროვე მხედრულ დამწერლობაში.

მკითხველი რომ არ დავღალო, არ მოვიტან თქვენსა და ჩემს საბუთებს ამ საკითხზე.

თქვენს ამ პატარა რეპლიკაზედაც მხოლოდ იმიტომ „ავიტკივე თავი“, რომ პროფ. ზ. ალექსიძის მისამართით დაწერილი სტატია მთავრდება მოულოდნელად: სიტყვა მიხეილ ქაბაშვილს ეკუთვნისო.

მართალია, პირადად მე არ მეხება, მაგრამ, როგორც სპეციალისტი და საქმეში ჩახედული, გვერდს ვერ ავუვლი თქვენს ერთ შენიშვნას ამ წერილში.

საქმე ეხება მსჯელობას: „სხვათა შორის აქვე დავსძენ: ზ. ალექსიძე სწორედ წერს სინას მთაო და არა სინის მთა, როგორც ეს **ზოგიერთებმა ამოიჩემეს** (ხაზი ჩვენია. — მ. ქ.). ასეთები(!) გაპასუხებენ: მცხეთა — მცხეთისა, აჭარა — აჭარისა, განჯა — განჯისაო და ა. შ. მაგრამ სიტყვა ეხება ადრინდელ წარმოთქმა-წერას — სინაის მთა. თუ სინაის არა, სინას მაინც უნდა ვთქვათ და ვწეროთ. ორთოგრაფიული ნორმის დადგენისას სიტყვის ისტორიის გარდა კეთილხმოვანებასაც ექცევა ყურადღება, მით უფრო ტოპონიმ სინა-ს, როცა მისი ბოლოკვეცადი ფორმა ემთხვევა მსგავსულის სახელ სინას (სინა — სინას)“.

ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ და აი რატომ:

ყველა ა-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელი, თუ ეს ა მაწარმოებელი არ არის, ფუძეკვეცადია. ამ წესმა **გამონაკლისი არ იცის.** იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა წარმოშობისაა სიტყვა; ვერც ვერავის მოვთხოვთ იფიქროს იმაზე, რომ ადრე სინაი იყოო. დღეს მისი დაბოლოებაა ა.

უფრო მეტს ვიტყვი, ზოგ ისეთ სახელშიც კი, რომლებშიც ა აშკარად მაწარმოებელია (მაგ., ძირულა, ყვირილა, ჩხერიმელა..), კვეცის ტენდენციაა: ძირულის, ყვირილის... ხეობა.

თქვენ ბრძანებთ, „სინის მთა“ ზოგიერთებმა ამოიჩემესო. „ამოჩემება“ და „ზოგიერთები“ აქ უადგილოა. თქვენ, ვფიქრობ, კარგად მოგეხსენებათ, რომ თვით ივანე ჯავახიშვილი წერს ასე; მოვიგონოთ მისი „სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა“. ეს არაფერს ნიშნავს?

რაც შეეხება ე. წ. კეთილხმოვანებას, ეს ხომ ფრიად სუბიექტური ცნებაა. ვისთვის რა არის კეთილხმოვანი! თანაც სრულიად გაუგებარია, რატომ არის „სინას მთა“ უფრო კეთილხმოვანი, ვიდრე „სინის მთა“. იმის საშიშროება კი, რომ თითქოს „სინის მთასა“ და, მაგალითად „სინის ლობეში“ „სინა“ სხვადასხვა სიტყვაა და ვისმე აერევა ერთმანეთში, გამორიცხულია.

ამ წესში ხელოვნურად კი არ უნდა შევქმნათ გამონაკლისები, არამედ უნდა ვებრძოლოთ წესის დარღვევებს. ბოლო დროს ასეთები კი გვაქვს; პრესაში, რადიო-ტელევიზიაში არც თუ იშვიათად შეხვდებით ა-ზე დაბოლოებულ უცხო გეოგრაფიულ სახელთა უკვეცელად დატოვებას: ჯორჯიას შტატი, ბარსელონას ოლიმპიადა, ტროას ომი, ნიკარაგუას დედაქალაქი და მისთანები. არამც თუ უცხო, ზოგი ქართული გეოგრაფიული სახელიც კი შეგვხვდება შეუკვეცავად; მაგალითად, ახლახან ერთ-ერთ გაზეთში ასეთი სათაური წავიკითხე: „სხვავას ტაძარი — სრულიად საქართველოს სალოცავი“ (სხვავა — სოფელია რაჭაში); შეცდომაა; უნდა იყოს: სხვავის ტაძარი (ისევე, როგორც, მაგალითად, სოფელი პერევისა — პერევისისა; სოფელი ზემო იმერეთში).

როგორც ცნობილია, მოლდავეთს ახლა ეწოდება მოლდოვა. წესის მიხედვით მართლსაწერში უნდა იყოს „მოლდოვისა“. ასეც იხმარება, მაგრამ ზოგჯერ შეხვდებით ასეთ ფრაზებს: „მოლდოვას პარლამენტი“, „მოლდოვას რესპუბლიკა“. და ა. შ. ყველა დამეთანხმება ალბათ, რომ არ შეიძლება ერთდროულად გვქონდეს „მოლდოვის რესპუბლიკაც“ და „მოლდოვას რესპუბლიკაც“. ამ და ამ ტიპის სხვა სახელებში თუ ეს მოხდა, სულ აირევა ყველაფერი და წესი საერთოდ აღარ გვექნება. ივარგებს?

ასე რომ, **სინის მთა** და არა სინას მთა.

**მიხეილ ქაბაშვილი**




გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა არჩილ სულაკაურის საბავშვო წიგნი „ცისფერი ირემი“.

ვრცელი, საინტერესო მოთხრობა, რომელიც უმცროსკლასელთათვის არის განკუთვნილი, შედგება ორი ნაწილისაგან. ავტორი თავის ამ ახალ ნაწარმოებში მიმზიდველად მოგვითხრობს ადამიანისა და ძაღლის მეგობრობაზე, მათ თავგადასავალზე, იმაზე, თუ როგორ იცავენ ბავშვები ტყის ბინადრებსა და მშობლიურ ბუნებას.

ბავშვთა საინტერსო თავგადასავლებთან ერთად მოთხრობილია ბაყბაყ დევის შვილის, ვაგუს ამბავი, რომელიც სინამდვილეში სულაც არ იყო ბაყბაყ დევის შვილი, პირიქით, ოდესღაც ადამიანები იყვნენ მამაც და შვილიც, მაგრამ ბებერმა ჯადოქარმა დაწყევლა ისინი და დევებად აქცია. ვაგუმ მამის გადმოცემით იცის, რომ დიდ მწვანე მინდორზე, ერთი მუხის ძირში, შავჯაგრიანი გველი რომ იცავს, მარხია ქვა, რომელზედაც მისი მოდგმის ბედიღბალი სწერია, და თუ იმ წარწერას წაიკითხავს და საიდუმლოებას ამოხსნის, ადამიანობა დაუბრუნდება. ბაყბაყ დევის შვილი კეთილი ადამიანების — ბავშვების დახმარებით მიაგნებს ამ ქვას, რომელზეც წერია: „შენს მოდგმას ჯადო მოეხსნება 1. თუ იტყვი აზრს ორი სიტყვით, რომელიც არის საწყისთა საწყისი ყოველთა ცოდნათა, 2. თუ ეზიარები საიდუმლოთა შორის ყველაზე დიდ საიდუმლოს“. და ვაგუ, ბაყბაყ დევის შვილი ადამიანობას იბრუნებს იმ ორადორი სიტყვის გამოცნობით. ეს სიტყვებია: „აი ია“.

ყოველივე ესა და სხვა ამბებიც მწერლის მიერ მეტად მიმზიდველად და საინტერესოდაა მოთხრობილი.

წიგნის რედაქტორია თ. ჩხაიძე, მხატვარი — თ. სამსონაძე.

# საჭიროა გასწორდეს

ცოტა ხნის წინ ხელში ჩამივარდა საშუალო სკოლის VIII კლასის რუსული ენის სახელმძღვანელო.

წიგნში შეტანილია მიხეილ ლერმონტოვის ლექსი „Горные вершины“, რომლის შესახებაც წერია, რომ ვითომც ლერმონტოვს კავკასიის ბუნებით შთაგონებულს დაუწერია იგი.

არადა, ეს ლექსი ეკუთვნის არა მიხეილ ლერმონტოვს, არამედ დიდ გერმანელ პოეტს გოეთეს, რომელიც მან 1780 წელს დაწერა ცნობილი სათაურით „მგზავრის ღამეული სიმღერა“. ეს ლექსი მიხეილ ლერმონტოვმა თარგმნა 1840 წელს.

ამ ლექსის ქართულ თარგმანთა რამდენიმე ვარიანტიც არსებობს (მაგ. ხ. ვარდოშვილის, გ. ტაბიძის).

ვფიქრობ, ამ შეცდომის გასწორება ძნელი არ უნდა იყოს.

**ნატო აბესაძე,**

გერმანული ენის მასწავლებელი, ქ. ტყიბული.

გამოხმაურება, რეცენზია, ინფორმაცია

# „საქართველოს სულიერი მისია“

„წმინდა გიორგის პატარა ხატი მეკიდა გულზე და ვიბრძოდი, ვიბრძოდი...“

**კონსტანტინე გამსახურდია**

1990 წელს გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისსია“. მაშინ, როდესაც რიგით, უმნიშვნელო ნაშრომსაც კი რამდენიმე რეცენზია მოჰყვება ხოლმე დაუყოვნებლივ, გაუგებარია ამ მეტად საყურადღებო წიგნის ირგვლივ გამეფებული დუმილი, მით უფრო, რომ აქ განხილული საკითხები შეუძლებელია არ აღელვებდეს, არ აფიქრებდეს თითოეულ ჩვენგანს. უძველესი სიბრძნე გვასწავლის: „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჭჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიედ სახლსა შინა“ (მათე 5.15).

„რანი ვიყავით და რანი ვართ“ — ეს უმთავრესი კითხვა თანსდევს ზვიად გამსახურდიას ყოველ ნაშრომს. „საქართველოს სულიერი მისსია“ ერთგვარი შეჯამებაა ამ მრავალწლიანი კვლევისა და ფიქრისა.

დავიწყოთ იქიდან, რომ საკითხი ამგვარად დიდი ხანია აღარ დამდგარა. ჩვენ გვასწავლიდნენ საქართველოს წვლილს „დიდ სამამულო ომში“ ან „კომუნიზმის მშენებლობაში“ და ასე, ათწლეულების მანძილზე თანდათან ქრებოდა ხსოვნა იმისა, რომ საქართველოს „მოძმე ერთა“ წინაშე კი არა, ღვთისა და კაცის, კაცობრიობის წინაშე აკისრია დიდი მისია, რომ მან დღესაც ისევე, როგორც საუკუნეების მანძილზე, პირველ ყოვლისა, სულიერი მიღწევებით უნდა დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი მსოფლიო ასპარეზზე.

„საქართველოს სულიერი მისსია...“ ასე ჩვენი დიდებული წინაპრები აზროვნებდნენ და ეს ნაშრომი ძველი, წმინდათაწმინდა ტრადიციის აღორძინებაც არის. „...ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე, როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი...“ როგორ ეხმაურება ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვები 1000 წლის წინათ სინას მთაზე შექმნილ ამ სტრიქონებს:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა
მისისა, საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით
ენითა“.

შემთხვევითი არ არის, რომ ნაშრომში შესული ერთ-ერთი თავი ეძღვნება იოანე-ზოსიმეს მიერ შექმნილ დაუვიწყარ საგალობელს —„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც აგრეთვე გამოხატულია ქართული მესიანიზმის იდეა. ურთულესი მეცნიერული დაკვირვებები და თეორიები, წლების მანძილზე საკუთარი მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მწერლის ოსტატობითაა გადმოცემული, ამ წიგნში, რაც მას კიდევ უფრო აახლოებს მკითხველთან. „ქებაჲს“ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაც ულრმესი განსწავლულობის, მწიგნობრობის და ჭეშმარიტი ხელოვანის, პოეტის, ჰიმნოგრაფის იშვიათი შერწყმაა.

„საქართველოს სულიერი მისსია“, პირველ ყოვლისა, მეცნიერული თვალსაზრისითაა საინტერესო, აქ ფართო ერუდიციით და ნიჭიერებით განჭვრეტილია საკითხები ქართული სულის სათავეების, ჩვენი ვინაობის და არსებობის საზრისის შესახებ, ამავე დროს, ვფიქრობთ, წიგნში გამოხატული სულისკვეთება მომავალი თაობის აღზრდის საფუძვლადაც უნდა იქცეს.

ერთ-ერთ წერილში („მკვახე შეძახილის“ ექო“) ზვიად გამსახურდია სამართლიანად მიუთითებს, რომ მხოლოდ სხვათა ისტორიის ცოდნა ვერ ჩამოაყალიბებს ქართველი კაცის სახეს. ამ შემთხვევაში ადამიანი „სახარებაში“ მოხსენიებულ იმ სახლს ემსგავსება, რომელიც უსაძირკვლოდ, ქვიშაზე აშენდა და ამიტომ „იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად“ (მათე 7.–27). სწორედ ამგვარ საძირკველს ამაგრებს „საქართველოს სულიერი მისსია“ „ახალალნაგი სულისათვის“.

წიგნში შესულ ერთ-ერთ წერილში — „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავდა ქრისტიანული სამების ღვთის რწმენა ცოდნის ისეთ განსხვავებულ დარგებს, როგორიცაა გეომეტრია და არითმეტიკა, მუსიკა და ასტრონომია. ზვიად გამსახურდიას ყოველი გამოსვლა, ყოველი გამოკვლევა და მათ შორის, დასახელებული ნაშრომიც ამავე რწმენას ასხივებს, რაც თანამედროვეობას აკლია და მომავალ თაობას მაინც უნდა გაუძლვეს წინ.

„გელათის აკადემიის სულიერ იდეალებს“ ერთგვარად აგრძელებს და აჯამებს 15 თებერვალს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ზვიად გამსახურდიას წერილი — „მკვახე შეძახილის“ ექო“, სადაც ჩვენი კულტურის, ქართველი კაცის ხასიათის ღრმად შესწავლის საფუძველზე მოცემულია დასკვნა: „წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად, თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ სპირიტუალობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერცერთი სხვა იდეალი ვერ შეცვლის ვერც მომავალში“. ათწლეულების მანძილზე ცრუ კერპებს აღევსებული და ამსოფლიური საზრუნავით შეპყრობილი საზოგადოებისათვის იდეალად გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მთაწმინდელის დასახვა ისევე საშვილიშვილო საქმეა, როგორც ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აქ თვით ავტორის სულისკვეთებაც ირეკლება. ნურავის ეგონება, რომ ესაა ოდენ პოეტური იდეალი, წმინდანთა თავდადებამ, გმირობამ და სიმტკიცემ იხსნა საქართველო. იოანე მინჩხი წერდა: „სული გულსმოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ და მოწყინე; სულსა აქუს ხატებაჲ ანგელოზთაჲ და ბუნებით არს ცოდვის მოძულე, მიუდგინოთ გონებაჲ და მას დავამონნეთ ხორცნი“.

„საქართველოს სულიერი მისსია“ იწყება ქართველთა ეთნოგენეზისთან დაკავშირებული საკითხებით. ავტორი სამართლიანად მიაპყრობს ყურადღებას ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ფუნდამენტურ გამოკვლევებს, ვილჰელმ ჰუმბოლდტის ნაშრომებს. მეცნიერების შემდგომი დროის მონაპოვართა მოხმობით განმტკიცებული და გამყარებულია ნ. მარის შეხედულება იმის შესახებ, რომ „პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენა, ქამიტურ-ძირეულ ენაზე უფრო ძველი... იყო საფუძველი ყველა ენებისა და ეს იყო გლოტოგონიური, ენათა წარმომქმნელი ფენომენი, ეს იყო პირველადი ენა ქურუმებისა, საერთოდ, ყველა ენათა საწყისი“. ავტორი სამართლიანად განიხილავს სხვადასხვა მეცნიერთა, მათ შორის ნიკო მარის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე, პროტოიბერიული სამყაროს კვლევაში, ამავე დროს, უთითებს მის შეცდომებსაც. ამგვარი მიდგომის გარეშე მართლაც შეუძლებელია ნ. მარის მონუმენტური და ამავე დროს, წინააღმდეგობრივი პიროვნების შეფასება.

ზვიად გამსახურდია ზედიზედ ამზეურებს და ერთ სისტემაში აქცევს საბჭოთა მეცნიერების მიერ ათწლეულების მანძილზე მიჩქმალულ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებსა და დაკვირვებებს პროტოიბერიული სამყაროს შესახებ, ცდილობს, აღადგინოს მატიანე პირინეის ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე მცხოვრები უძველესი მოდგმისა, რომლის ზეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე და რომლის უმდიდრეს კულტურას ოქროს საწმისის თუ ცეცხლის სახით ეპატრონებიან მსოფლიო ასპარეზზე მოგვიანებით (მესამე ათასწლეული) გამოსული ინდოევროპელები. იმ პირვანდელ პროტოიბერიულ სამყაროში უდგას საძირკველი ქართველობას და არა XIX საუკუნეში, როდესაც სტალინის თეორიის მიხედვით, ქართველობა ჩამოყალიბდა ერად. ესაა ერთ-ერთი უმთავრესი დებულება ნაშრომის და ამავე დროს ანაბეჭდი დიდი წარსულისა.

პროტოიბერიული სამყაროს საზღვრებსა და ქრონოლოგიაზე საუბრისას ავტორი განიხილავს არაერთ ულრესად საგულისხმო პრობლემას — პრომეთესა თუ არგონავტების, „ვეფხისტყაოსანსა“ თუ სვეტიცხოვლის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. თითოეულ მათგანზე მსჯელობა ხშირად ცალკე მეცნიერული გამოკვლევის ხასიათს ღებულობს. ასე, მაგ., ყურადღებას იმსახურებს სვეტიცხოველზე გამოსახული წმინდა გიორგი ლომსა და ვეფხვთან ერთად და ამის პარალელი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ეპიზოდთან, გრაალის თასის საქართველოში ჩამოტანასთან დაკავშირებული კვლევა და მრავალი სხვა.

აქ ერთმანეთს ერწყმის ენათმეცნიერების, ისტორიის, თეოლოგიისა თუ მითოსის სფეროში ღრმა განსწავლულობა, დასაბუთებული, მეცნიერული მსჯელობა.

ყოველივე ამის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას მიერ ვრცლად განხილული ქართული ჰიმნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნიმუში — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ამ ძეგლს გამოქვეყნებისთანავე, ალ. ცაგარელიდან დაწყებული, მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად. ნ. მარის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმულ იქნა განსხვავებული მოსაზრებები მასთან დაკავშირებით. ძეგლისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ ხანებში — 80-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით. გამოქვეყნდა ა. ბაქრაძის, ზ. კიკნაძის, თ. ჩხენკელის, რ. პატარიძის, ე. ჭელიძის, ბ. ჩოლოყაშვილის, ნ. პაპუაშვილის, გ. ნარსიძის წერილები „ქებაჲს“ სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. გამოითქვა მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. ერთნი „ქებაჲს“ ადრეული ხანით — I ან VI სს-ებით ათარიღებენ, მასში ხედავენ სხვადასხვა მიმდინარეობის კვალს... ჩვენი აზრით, მათ ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ თვით იოანე-ზოსიმეს უნივერსალური პიროვნება. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ეროვნული ხასიათი და მიმართულება თვით მის ირგვლივ სინას მთაზე მოღვაწე ქართველთა სულისკვეთება, ზოგადად, X საუკუნე — ეროვნული თვითშეგნების საოცარი აღზევების ხანა, როცა ქართულმა აგიოგრაფიამ (გიორგი მერჩულეს სახით) და ქართულმა სასულიერო პოეზიამ (იოანე მინჩხის სახით) მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს, როცა იწყება გაქართულება თვით ბერძნულიდან თარგმნილი კრებულებისა... ეს ცალკე საუბრის თემაა.

ზვიად გამსახურდია, სრულიად სამართლიანად, ძეგლის ავტორად მიიჩნევს თვალსაჩინო სწავლულსა და მეცნიერს, ჰიმნოგრაფსა და ეროვნულ მოღვაწეს — იოანე-ზოსიმეს. ამდენად, ძეგლის შექმნის თარიღად იოანე-ზოსიმეს მოღვაწეობის ეპოქა —X საუკუნეა დასახული.

ავტორი მართებულად განმარტავს „ქებაჲს“ ბევრ ტერმინს და იძლევა ტექსტის ახლებურ ანალიზს. ბიბლიური წიგნებისა და ქრისტიანული ლიტერატურის ტრადიციის გათვალისწინებით ავტორი თვლის, რომ „ენა“ იოანე-ზოსიმეს საგალობელში უნდა აღნიშნავდეს „ხალხს, ეროვნებას, მოდგმას“. ამდენად, ნაწარმოებში გამოთქმული ქართული ენის მესიანისტური იდეა, ავტორის აზრით, შეიძლება ასე გავიაზროთ: „ქართველი ეროვნება, ქართული მოდგმა მიაღწევს მეორედ მოსვლამდე“.




ზვიად გამსახურდიას ამ გამოკვლევაში შერწყმულია ულრმესი რწმენა და დასაბუთებული მეცნიერული მსჯელობა. თვით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲც“ რწმენისა და ღრმა მეცნიერული განსჯის სინთეზია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზვიად გამსახურდიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ძეგლი შექმნილია ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ, რაც გამორიცხავს მის მიკუთვნებას რომელიმე არაორთოდოქსალური მიმდინარეობისადმი. ამის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია „ქებაჲს“ მეცნიერული კვლევა. ეს დაკვირვება ბიბლიისა და ქრისტიანული ლიტერატურის ღრმა ცოდნაზეა დამყარებული, რაც დამახასიათებელია ზვიად გამსახურდიას გამოკვლევებისათვის. უნდა ითქვას, რომ ავტორმა ამავე — ერთადერთ სწორ და სამართლიან გზას მიმართა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისასაც.

საყურადღებოა ავტორის მიერ ძეგლში მოხსენიებული სახარებისეული პერსონაჟების — მარიამის და მართას ინტერპრეტაცია, გამართლებულად მიგვაჩნია გამოთქმის „ახალმან ნინო“ ავტორისეული ახსნა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „ქებაჲსადმი“ მიძღვნილი ზვიად გამსახურდიას ეს გამოკვლევა, დამყარებული ღრმა მეცნიერულ საფუძველს, ძეგლის ავტორის იდეოლოგიის სრულყოფილ ცოდნას, ახალ საფეხურს ქმნის ძველი ქართული მწერლობის ამ უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების შესწავლის საქმეში.

ნაშრომში ცალკე წერილადაა შესული „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“. საკითხი ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითაა შესწავლილი. ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, მწერლის მიერ დავით აღმაშენებელი გააზრებულია, როგორც „წმინდა გიორგის რაინდი, ქრისტიანი რაინდი“. მაშასადამე, აქაც ტრადიციის უწყვეტობასთან გვაქვს საქმე, ახალი ბრწყინვალებით წარმოგვიდგება აგიოგრაფიისთვის კარგად ცნობილი „წმინდა მხედარი“. ავტორის დაკვირვებით, არსაკიძის რელიგია „სვეტიცხოვლის შენებაა“. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რომანში დიდოსტატი ნაკლებად მოქმედებს. ის ძირითადად სვეტიცხოველს აგებს. არსაკიძეს სვეტიცხოველი გვაცნობს... არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოწმობს კონსტანტინე გამსახურდიას აღმსარებლობას — ესაა თვით ზვიად გამსახურდიას მრწამსი და წიგნები, რადგან „ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის“.

„გელათის აკადემიის სულიერ იდეალებთან“ დაკავშირებით ზვიად გამსახურდია წერს: „ჩვენი წინაპრები თვით უკიდურესი პოლიტიკური ვნებათაღელვის დროსაც არ ივიწყებდნენ მეცნიერებას, პოეზიას, შემეცნებას. თვით ომის დროსაც კი ისინი ზრუნავდნენ სულიერი კულტურის განვითარებაზე. ასეთი იყო საქართველოს ისტორია. ჩვენ რომ დღეს თავი იმით გავიმართლოთ, პოლიტიკურ ბრძოლაში ვართ ჩაბმულნი და მეცნიერებისა და კულტურისათვის არა გვცალიაო, ამით ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს ვუღალატებთ, ჭეშმარიტად“. ამ მხრივაც იგი წინაპართა ტრადიციას მისდევს. აქაც მისი სიტყვა და საქმე ერთიანია, განუყოფელი და გამორჩეული.

**ლელა ხაჩიძე**

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, სტალინის იმ „ღირსებების“ დასამტკიცებლად, რომლებიც ასე ხიბლავთ სტალინელებს:

„დასავლეთი თავისი იმპერიალისტი კაციჭამიებით სიბნელისა და მონობის კერად იქცა. ამოცანა ის არის, რომ გავაცამტვეროთ ეს კერა ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ“ (ი. სტალინი, ტ. 4, გვ. 198, 1948). კაცს, რომელსაც განათლებული დასავლეთ ევროპა კაციჭამიობის, სიბნელისა და მონობის კერად მიაჩნია და ერთი სული აქვს, როდის გაიცამტვეროს ეს კერა, მიზანთროპის გარდა, რა შეიძლება ეწოდოს? ზოგს კი სტალინის ევროპისადმი ასეთი განწყობილება შორსმჭვრეტელობისა და სიბრძნის მაგალითად მიაჩნდა და მიაჩნია.

„საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია სამხედრო რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ ფორმალობის დაუცავად ჩამოვაგდებ არმიათა სარდლებს და კომისრებს“ (იქვე, გვ. 180), — წერს სტალინი ლენინს. ამ წერილიდან კარგად ჩანს სტალინის „თავმდაბლობა“ და ლენინისადმი „მოკრძალება“, ზოგიერთი კი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სტალინი განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალებით ექცეოდა ლენინს და საოცრად კოლეგიური იყო პარტიული ამხანაგების მიმართ.

„1 დეკემბერს საბჭოთა აზერბაიჯანი ნებაყოფლობით ილებს ზელს სადავო პრინციპებზე და აცხადებს საბჭოთა სომხეთისათვის ზანგეზურის, ნახჭევანისა და მთიანი ყარაბაღის გადაცემას“ (იქვე, გვ. 450), —წერს სტალინი. ისტორიამ დაგვანახა, რა იგულისხმებოდა „მთიანი ყარაბაღის გადაცემაში“.

სტალინი ყოველთვის მზად იყო ადამიანთა ქლეტვისთვის. გაიგონ თუ არა ლენინზე თავდასხმა, მან დაუყოვნებლივ გაუგზავნა დეპეშა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სვერდლოვს, სადაც აღნიშნავს: ლენინზე თავდასხმას ვუპასუხებთ: „მასობრივი სისტემატიური ტერორის მოწყობით“ (იქვე, გვ. 137). და მაინც არიან ადამიანები, რომლებიც დღემდე გვარწმუნებენ, რომ სტალინმა რეპრესიების შესახებ ცოტა რამ იცოდაო.

როგორც ვხედავთ, მოტანილი აზრები, სიკეთისადმი იმდენად ანტინომიურია, რომ ზნეობრიობისადმი ოდნავ მგრძნობიარე ადამიანსაც კი გული აერევა. მართალია, კაცის ზნეობა უფრო საქმიდან გამოჩნდება, ვიდრე „თქმიდან“. სიმართლეა, როცა ამბობენ, რომ „ზნეობაში, ისევე როგორც ხელოვნებაში, თქმა არაფერია, ქმნა — ყველაფერი“, მაგრამ ჩვენ ისიც ხომ ვიცით, რისი „მქმნელი“ იყო სტალინი. არავითარი სურვილი არა მაქვს უდიერად მოვიხსენიო ადამიანები, რომელთა დამოკიდებულება სტალინის პიროვნებისადმი დადებითია, არა იმიტომ, რომ ისინი ამას არ იმსახურებენ, უბრალოდ მკითხველისადმი პატივისცემა მაიძულებს რამდენადაც შეიძლება კორექტული ვიყო. წინასწარ ვიხდი ბოდიშს, თუ ჩემი დამოკიდებულება ყოველთვის ეთიკური ვერ იქნება მის მიმართ, ვისაც შეუძლია სტალინის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, როცა მისი მოღვაწეობის ყველა შედეგი საჩინოა, კვლავ „ბელადის“ აპოლოგეტად დარჩეს. საჭიროდ ვთვლი მოვიყვანო ზოგიერთი ასეთი აპოლოგეტის აზრი, სტალინის „სიკეთეების“ თაობაზე.

ეს ავტორები ანონიმები არ არიან, მაგრამ მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მიმაჩნია, რომ სტალინის შესახებ უმართებულო აზრის გარეშე, ისინი სერიოზული და პატივსაცემი ადამიანები არიან. ასე რომ არ იყოს, მათთან კამათს არ ექნებოდა აზრი.

„სხვებივით მილიონები არ დაუგროვებია ბანკებში, და სალაროებში, რომ ის ძველ ფარაჯაში დაილუპა, ეს ხომ ფაქტია. განა ეს მისი სასწაულებრივი სიწმინდის ფაქტი არ არის?“ მე იძულებული ვარ ამ სტრიქონების დამწერ პროფესორს ვუთხრა: ვერ წარმომიდგენია, უზარმაზარი სახელმწიფოს მმართველის ზნეობრივი სიწმინდის დამადასტურებელი უფრო უსუსური და პრიმიტიული მოტივი.

„ხალხმა კარგად იცის, რომ სწორედ რეპრესიებში მას პირადად ყველაზე ნაკლები მონაწილეობა და შეცდომები ჰქონდა. ამდენს ეძებენ სხვადასხვა სახის კომისიებში და ერთი ფაქტიც კი ვერა და ვერ დაიჭირეს, სადაც აშკარა იყოს რეპრესიებში სტალინის ინიციატივა ან უშუალო მონაწილეობა“. ძნელია დაიჯერო, მაგრამ სავალალო ფაქტია, რომ საპოლიტიკო ლოგიკის ასეთ დაბალ დონეზე დგება მეცნიერების დოქტორი.

თურმე, როცა სტალინს დასახვრეტ ადამიანთა სიები მიუტანეს,



# სტალინი — ქართველი კაცი?

## გიორგი ნადირაძე

მოუთხოვია „მთელი სიების ხელახალი საფუძვლიანი გადასინჯვა, განა ეს საკმარისი არაა იმის დასამტკიცებლად, რომ სტალინი რეპრესიებში უშუალოდ არ მონაწილეობდა, რომ მას აშკარად ატყუებდნენ, ხალხის მტრები იაგოდა, ეჟოვი და სხვები?“ დიდი რისკია ასეთი გაუგებრობის საქვეყნოდ გამოტანა, მაგრამ ერთი აზრის გაგება მაინც შეიძლება; ეს ის შემთხვევაა, როცა კაცის გამართლება გსურს და პირიქით გამოდის.

„რაც შეეხება იმას, რომ სტალინს ანტიქართულ საქმეებს მიაწერენ და კიდევ ათასგვარ სხვა უბედურებებში და ბარბაროსობებში სდებენ ბრალს, — ეს მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრებისა და მათი ამყოლ-დამყოლების მოგონილია“. აქ ისე „შესაშურად“ არის დაცული სტალინისდროინდელი დასმენის სტილი და მეთოდი, რომ, თუ გულწრფელად ვაღიარებთ, ეს დღესაც შიშსა და შეშფოთებას იწვევს.

„მალე დანაშაულად და სამარცხვინოდ არ გაგვიხდეს ჩვენც და ჩვენს მომავალ თაობასაც „სტალინის“ ოფიციალური საზოგადოების მრავალი მიმდევრის მოთხოვნის ასეთი და სრული უსამართლო უგულვებელყოფა, დანაშაულად არ გაგვიხდეს“. უარეს ვერაფერს უწინასწარმეტყველებ თავისუფლებისმაძიებელ სამშობლოსა და ხალხს.

ზემოთ მოყვანილი აზრები ეკუთვნით ადამიანებს, რომელთა ოფიციალური სავიზიტო ბარათები არ იძლევა არავითარ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ისინი გონებაშეზღუდულნი არიან.

თუ მათი აზროვნების საფუძველი პრაგმატიზმი არ არის, მაშინ ეს ადამიანები პოლიტიკური შეგნების ძალზე დაბალ დონეზე იმყოფებიან. წარმოდგენილი აზროვნებისადმი უფრო შელავათიანი მიდგომა შეუძლებელია.

სტალინის დიდბუნებოვნების დასამტკიცებლად ძალზე ხშირად იმოწმებენ იმ „ფაქტს“, რომ სტალინმა სამშობლოს შვილი შესწირა. ჯერ ერთი, საკითხავია, რომელ სამშობლოს, როცა თვითონ სტალინი უსამშობლოო კაცი იყო. მეორეც, არავინ იცის, ვის და რას შესწირა მან იაკობი. ამ საკითხის შესახებ აზრის გამოთქმა კი არავის ეკრძალება. სწორედ ამ უფლების გამოყენებით მსურს გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი საკითხის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ სტალინის მოღვაწეობის პოლიტიკური და ადამიანური ცხოვრების ყველა მხარეს, მის საშინელ ვნებას ძალაუფლებისადმი, დიდი მკრეხელობა არ იქნება დავუშვათ, რომ მან შვილი თავის „ტახტს“ შესწირა. როცა ეს ვარაუდი ზეპირ კამათში გამომითქვამს, ბევრჯერ დავიმსახურებია „ნასწავლი“ კაცების რისხვა. მაგრამ არცერთ მათგანს არ განუმარტავს, რით იყო სტალინი უკეთესი მამა და უკეთესი ადამიანი, ვიდრე დემეტრე I, პეტრე I, შაჰ-აბას I ან ივანე IV, რომლებმაც შვილები ტახტს, უფრო დელიკატურად თუ ვიტყვით, თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს შესწირეს. სტალინმა შესანიშნავად იცოდა, რომ მისგან თქმულ ფრაზას — „ჯარისკაცს მარშალზე არ გავცვლი“ — მთელი მსოფლიო გაიგონებდა და დაიმახსოვრებდა. ასეთ პოლიტიკურ კაპიტალს სტალინზე უფრო „მოყვარული“ მამები და რბილი დესპოტები შეუცდენია. მსოფლიო სავსეა მსგავსი შემთხვევებით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ სტალინისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანისაგან ვიცით, როგორი სისასტიკით ექცეოდა იგი თავისი ოჯახის წევრებს: არ შეიძლება ყური არ უგდო შვილს მამის ავ-კარგის შეფასებისას.

სტალინის მაქებართა მიერ ყოველთვის მიჩქმალულია სტალინის ქალიშვილის ს. ალილუევას მოგონებები, რომელსაც სტალინის პიროვნული ფსიქოლოგიის გაგებისთვის პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთი პირველწყაროს გულდასმით გაცნობის შემდეგ აშკარად ჩანს, რომ სტალინი საერთოდ ზიზღს განიცდიდა ადამიანის პიროვნებისადმი, რაც გარკვეულწილად მისი ოჯახის წევრებზეც ვრცელდებოდა. არაერთი ცნობით დასტურდება, რომ სტალინს განსაკუთრებით არ უყვარდა უფროსი შვილი იაკობი და შემთხვევას არ უშვებდა ეს გრძნობა მისი თანდასწრებითაც გამოეხატა. აი, რას წერს სვეტლანა ალილუევა სტალინისა და უფროსი შვილის ურთიერთობის შესახებ: „მამასთან ურთიერთობით სასოწარკვეთილებამდე მისულმა იაკობმა ჩვენთან, კრემლის სახლის სამზარეულოში გაისროლა. მამამ ამაში მხოლოდ ირონიის საბაბი ნახა: „რა, ვერ მოირტყა?!“ უყვარდა დაცინვა. დედა შეძრწუნებული იყო“ („მე — იოსებ სტალინი“, გვ. 104, 1990 წ.),

განა შეიძლება, რაიმე გამართლება მოეძებნოს მამის საქციელს, როცა იგი შვილს თვითმკვლელობის ცდისთვის ამასხარავებს? ვითომ შორია ასეთი „ირონიიდან“ შვილის გაწირვამდე? წყაროები მოწმობენ, რომ იაკობისადმი სტალინის დამოკიდებულება სრულებით არ გავდა მამაშვილურ ურთიერთობას. შვილისადმი მამის აშკარად მტრული დამოკიდებულება, ყველა მეტნაკლებად ახლობლისთვის კარგად იყო ცნობილი. იქნებ, სწორედ ეს გარემოება იყო წყარო, რომელმაც წარმოშვა ჭორი იაკობის დანაშაულებრივი რომანის შესახებ დედინაცვალთან.

იაკობი ომის დაწყების მეორე დღეს, 23 ივნისს წაიყვანეს ფრონტზე. „მათი ნაწილი პირდაპირ იქ გაგზავნეს, სადაც სრული განურჩევლობა სუფევდა — ბელორუსიის დასავლეთით, ბარანოვიჩთან ახლოს“ (იქვე, გვ. 150). ეს გარემოებაც საეჭვოა. ასე რომ არ იყოს, ს. ალილუევა არ იტყოდა: „ყველამ იცოდა მამა დაუმსახურებლად ცივად რომ ექცეოდა მას. ამის გამო არცერთი უმაღლესი სამხედრო პირი არ დახმარებია. იცოდნენ, ეს მხოლოდ მამის რისხვას გამოიწვევდა“. საინტერესოა, რატომ არ ეშინოდათ სტალინის რისხვისა უმაღლეს სამხედრო პირებს, როცა სტალინის უმცროს ვაჟს ვასილს, ლოთსა და უნიჭოს, 24 წლის ბიჭს გენერალ-ლეიტენანტობა მიანიჭეს?

ისიც საეჭვოა, რომ ინჟინერ-ელექტრიკოსი იაკობი მამამ აიძულა შესულიყო სასწავლებლად საარტილერიო აკადემიაში. თავიდანვე, როცა იაკობი, თავისი ბიძის ალიოშა სვანიძის დაჟინებული მოთხოვნით, მოსკოვში ჩამოსულა, მამა გულცივად შეხვედრია. „იაშა მამის გვერდით თავს ყოველთვის გერად გრძნობდა“. იაკობის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სტალინმა მისი ცოლი დააპატიმრა და 1941 წლის შემოდგომიდან 1943 წლის გაზაფხულამდე ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული.

საინტერესოა: რა მოტივით დააპატიმრა იაკობის ცოლი? იაკობის ტყვედ ჩავარდნისათვის მის ცოლს ადანაშაულებდა. ეს სულაც არ არის მოულოდნელი ბრალდება. თუ გავიხსენებთ, რომ როცა ქმრისაგან შეურაცხყოფის ნიადაგზე, ნადეჟდა ალილუევამ თავი მოიკლა, სტალინი თურმე მაშინაც გაშმაგებული ეძებდა ცოლის ნამდვილ „მკვლელს“: „სულ უფრო და უფრო ხშირად ფიქრობდა დედაზე და მის სიკვდილში გამუდმებით ეძებდა ვიღაც დამნაშავეს“, იგონებს ს. ალილუევა.

ახლობლებისადმი სტალინის მიზანთროპული დამოკიდებულების დასადასტურებლად არც იმ ფაქტს უნდა ჰქონდეს მცირე მნიშვნელობა, რომ მას რვა შვილიშვილიდან ხუთი არასოდეს „უნახავს“. ამ ფაქტს ვერც სტალინის მოუცლელობით და ვერც მისი „სიდიადით“ ვერ ავხსნით. მართალია, ჩვენს მიერ დამოწმებული ვერცერთი წყარო დაბეჯითებით ვერ ამხელს შვილის მიმართ სტალინის საშინელ დანაშაულს, მაგრამ, სამაგიეროდ, საერთოდ არ არსებობს არავითარი საბუთი, რომელზე დაყრდნობითაც შეგვეძლო გვეთქვა, რომ სტალინმა შვილი სამშობლოს შესწირა. ის ზნეობრივი სენტენცია, რომ მამა შვილის სიცოცხლეს თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის არ გასწირავდა, ძალზე სუსტი საბუთია ბრალდების მოსახსნელად. სტალინის მთელი ცხოვრება იმის დასტურია, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის დამახასიათებელი მორალური ყოფა უცხო იყო მისთვის. თუ სტალინის ბუნებას გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ამაში არაფერია უცნაური ან გასაკვირველი.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ს. ალილუევას მოგონებები სტალინის ცხოვრების შესახებ ყველა სხვა წყაროზე უფრო ჯანსაღ და სანდო ინფორმაციებს შეიცავს.

სავალალოა, რომ სერიოზული ადამიანები ჯერ კიდევ ლაპარაკობენ სტალინის ნამოქმედარის პროგრესულობის შესახებ. მათ ავიწყდებათ ჭეშმარიტება: „ყველა პროგრესი რეაქციულია, როცა ინგრევა ადამიანი“.

სტალინისადმი სიმპათია არ არის კერძო, პიროვნული საქმე. ასეთ განწყობილებას ყოველთვის დიდი ზიანი მოჰქონდა და მოაქვს საზოგადოებისათვის.

არაფერს ვაჭარბებ: საშინელებაა, რომ დღესაც არიან განათლებულობასა და ჰუმანურობაზე პრეტენზიის მქონე „სტალინელი“ მეცნიერები. ეს სტალინის აპოლოგეტი დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები ქადაგებენ, კამათობენ, მსჯელობენ, წერენ, აქვეყნებენ...

დასტამბულ აზრს კი ზოგიერთისათვის ჯერ კიდევ სახარების ძალა აქვს. „წიგნში წავიკითხე“, გეტყვის ასეთი კაცი და ყოველგვარი საწინააღმდეგო ზეპირი განმარტება უძლურია.

ასე მკვიდრდება უკუღმართი აზრი საზოგადოების ერთ ნაწილში.

ასე ცოცხლობს ჯერ კიდევ უსაფუძვლო ლეგენდა სტალინის კარგი ქართველობის შესახებ. დღეს საქართველოში სტალინის სურათებს ხატავენ, ხატავენ და ყიდიან. ასეთ საქონელს ჯერ კიდევ ჰყავს მუშტარი. უგნურთა ხარჯზე მსგავსი ხელოსნობა ჯერ კიდევ სარფიანი საქმეა. მე ისიც მინახავს საქართველოს საზღვარზე, ჩვენი არც თუ იშვიათი სტუმრები „მოძმე“ რესპუბლიკებიდან, საგანგებოდ შემონახულ სტალინის ფოტოსურათს როგორ ამაგრებენ ავტომანქანის საქარე მინაზე. მათ იციან, რომ ასეთ ორიგინალურ „საშვს“ ჯერ კიდევ გასავალი აქვს საქართველოში. გულაჩუყებული ქართველები ღიმილით აცილებენ ვინ იცის, რა მიზნით ჩამოსულ „სტუმრებს“ და როგორი ტვირთით სავსე მანქანებს.

ჩვენი დღევანდელი დუხჭირი საზოგადოებრივი ცხოვრების შემყურე სტალინისმოყვარულებს ჰგონიათ უფლება აქვთ თქვან: „აი, როგორი ცხოვრება გვაქვს უსტალინოდ“. მათ არ სურთ დაიჯერონ, რომ, საუბედუროდ, ჩვენ დღესაც ვერ ვცხოვრობთ უსტალინოდ, განა სტალინის პოლიტიკის სიცოცხლის შედეგი არ არის, რომ დღეს ქართველი კაცი საკუთარ მამულში ლტოლვილად გადაიქცა? გვსურს კვლავ გავიმეოროთ, რომ დღევანდელი ქართული ტრაგედიების ფუძისჩამყრელი იყო სტალინი და მხოლოდ სტალინი. ასეთ საქმეებში დანარჩენი მისი ქართველი თანაშემწეები უტვინო ნაძირალები იყვნენ.

მათ, იქნებ, არც შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი „ბოროტების სიმძიმე“, ქართული ეროვნული ღირსების გაცუცურაკება, სტალინისა და ქართველი ბოლშევიკების დაწყებულია.

ქართველთაგან მათ პირველებს ეკუთვნით ჩვენს კულტურასთან ტოტალური ნიჰილისტური დამოკიდებულების იდეა. ისინი თავიანთ თავს მსოფლიო მოქალაქეებად წარმოადგენდნენ, ძალიან ეპატარავებოდათ საქართველო, კოსმოპოლიტიური მედიდურობით ექცეოდნენ „მშობლიურ“ ისტორიას, ლიტერატურას, მეცნიერებას.

როცა ს. ორჯონიკიძისათვის აკადემიკოსად ასარჩევ კანდიდატთა სია გაუცვნიათ, მას „უხუმრია“: „ჩემი ძმა პაპულია რატომ არ არის სიაშიო“. „ხუმრობის“ აზრი ადვილი მისახვედრია. ამ სიაში ჩემს რეგვენ ძმაზე უკეთეს კანდიდატებს ვერ ვხედავო. ამ უწიგნურ ბეითალს სამშობლოსადმი ასეთი ცინიზმი და გაუტანლობა სდიდა საზღვარგარეთული (ვგულისხმობ რუსეთს — გ. ნ.) ბოლშევიკების ერთ-ერთ „საყვარელ“ თანამოაზრედ.

ქართველი ბოლშევიკების აზრი ქართული კულტურის შესახებ არ დარჩენილა „ხმა მღაღადებლისად“.

ახლაც არიან მათი ქართველი მემკვიდრეები, რომლებიც თავს იწონებენ ქართული ღირებულებებისადმი „ობიექტური“ და „შეუვალი“ ოპონენტის პოზით. მათ ჰგონიათ, რომ ასე უფრო ადვი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლს“ № 23.

ლია ყველაფრის მცოდნის სახელის შოვინა. ვინც ქართველ ხალხს და საქართველოს კარგად იცნობს, მან აუცილებლად იცის, რომ არ არსებობს ქართული ნაციონალიზმი, მაგრამ ასეთ მცოდნეთა შორისაც გამოირჩევიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებებით, საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ამ მხრივაც დიდი ღვაწლი მიუძღვისო სტალინსა და ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც ქართველ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დასასმენად და თავიანთი თავის ობიექტურ ინტერნაციონალისტებად წარმოსაჩენად, მოგონილი მითი ქართული შოვინიზმის შესახებ ქვეყანას მოსდეს, რაც ქართველ ხალხს დღემდე აყენებს დაუმსახურებელ შეურაცხყოფას.

ქართული „შოვინიზმის" გავრცელების იდეას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა არა მარტო საქართველოს გარეთ, არამედ საქართველოშიც. ეს ის ხალხი იყო, ვინც საკუთარი წარმატების ან სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით სახელმძღვანელოდ იყენებდნენ ბოლშევიკური შეფასების, ბოლშევიკური მსოფლმხედველობის ყველა ნიმუშს.

მაგალითად: როდესაც ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართველი კაცი ლანძღავს გრიგოლ რობაქიძეს, საჭიროდ მიაჩნია, აუცილებლად წაუყენოს „ეროვნული" ბრალდება, „კაცია-მია ქართული შოვინიზმი" (ვ. ხარჩილავა, „სისხლიანი ქრონიკები"). ასეთი ბრალდება აიოლებდა ბოლშევიკების ბრძოლას ქართველი მამულიშვილების წინააღმდეგ.

მომდევნო წლებში პოლიტიკური ცხოვრების „გადემოკრატიულობასთან" დაკავშირებით „შოვინიზმის" ბრალდება გაფერმკრთალდა, გაუფერულდა. ოფიციალურმა მმართველმა წრეებმა სამშობლოსთვის მზრუნველ პატრიოტ კაცს „სააღერსო" სახელი — ყოყლოჩინა დაარქვეს და ამ სიტყვას დამთრგუნველი მნიშვნელობა მიანიჭეს. „თავი დავანებოთ ეროვნულ ყოყლოჩინობას", გეტყოდა გაპატებული ჭკუის დამრიგებელი და შეუვალი „ობიექტურობით" გიკრძალავდა შეკამათებას.

ოფიციალური პრესა, აგიტაციის საშუალებები მუდამ ხმაურიან განგაშს ტეხდნენ, თუ ქართულ სტუმართმოყვარეობას, ქართულ ყოფას „საგარეო" საფრთხე „დაემუქრებოდა". შლიდნენ, აწიოკებდნენ მშვენიერ ქართულ სპორტულ გუნდს იმ მიზეზით, რომ ვიღაც ვიგიანდარა მქლაბნელმა საკავშირო პრესის საშუალებით ქვეყანას აუწყა გუნდის წევრთა საქციელის შესახებ, რომლებმაც, თურმე, ანგლოზივით მოკრძალებულ სტიუარდესას, „ღირსებით სავსე მანდილოსანს" უზრდელად მიმართეს.

საჯაროდ, სახალხოდ, გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით მოვთქვამდით იმ საშინელების შესახებ, რაც ქართველი ხალხის რეპუტაციას „დაემუქრა", როცა თბილისში, საეჭვო ვითარებაში (როგორც საფუძვლიანი ხმა გავრცელდა, თურმე, სპეკულიანტობის დროს) რუს მსახიობს „დუბლიონკა" წაართვეს. ჩვენს წმინდა ვალდებულებად გვისახავდნენ ქვეყნის გასაგონად გვეგლოვა გერმანელი ტურისტი ქალი, რომელმაც თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოძრაობის წესები დაარღვია და ავტომანქანის დაჯახებისაგან დაიღუპა, არაფერში დამნაშავენი სასოწარკვეთილნი ვგოდებდით: რა ვუთხრათ ურსულას დედასო". არასოდეს განგაშს არ ვაცხადებდით სხვის ან საკუთარ მიწაზე გაძარცვული, შეურაცხყოფილი ქართველობის თაობაზე.

მოყვანილი ფაქტების დამოწმებით იმის განმარტება მსურს, რომ საქართველოში ბოლშევიკური „ეროვნული პოლიტიკა" მუდამ გულისხმობდა ქართველებისათვის განემტკიცებინათ ეროვნული არასრულფასოვნების „შეგნება", რაც — მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკის სტალინურ-ბოლშევიკური გაგრძელება იყო.

ძალიან ხშირად, პერიოდულ თუ სამეცნიერო მნიშვნელობის გამოცემებში იბეჭდებოდა „მეცნიერულად დასაბუთებული" ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ქართველები სამშობლოში ცხოვრების ერთგულებით ორგულობას იჩენდნენ ხალხთა შერწყმის ლენინურ-სტალინური პოლიტიკისადმი, რაც ხელს უშლიდა „საბჭოთა ხალხის" ჩამოყალიბებას. „საბჭოთა ხალხი", საბჭოთა მეცნიერი, მსახიობი, სპორტსმენი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „საბჭოთა" — ხომ უწყინარი ტერმინია? სინამდვილეში შორს გამიზნული ვერაგობაა.

ეს ტერმინი ფარავს პიროვნების ეროვნებას და რაკი „საბჭოთა" საერთოდ გაუგებარი და უშინაარსო სიტყვაა, გასაგებია, რომ მისი სინონიმი გახდა „რუსი". სიტყვა საბჭოთამ შეიძინა რუსულისა და რუსის აღმნიშვნელი შინაარსი ისე, რომ „უპრეტენზიო" სიტყვამ სავსებით შეასრულა მასზე დაკისრებული დიდი „პოლიტიკური მისია".

დღეს ნეოსტალინელები გვაშინებენ იმ მოსაზრებით, რომ დღევანდელობიდან, ამ სიშორიდან ძნელია სტალინის საქმეთა შეფასება. ყველა გონიერი ინტელიგენტი, ჰუმანური, მიუდგომელი ქართველის მიერ სავსებით ობიექტურად არის შეფასებული სტალინის დამოკიდებულება საქართველოსადმი.

საკვირველი ის არის, რომ დღეს, როცა დრომ და ნათელმა აზრმა სავსებით განმარტა სტალინის პოლიტიკურ ნამოქმედართა მავნებლობა, არიან ადამიანები, რომლებიც კვლავ ცდილობენ საშინელების დროინდელი „რკინის ლოგიკისა" და „მხჯელობის დისციპლინის" მოშველიებით საქართველოს მტერი საქართველოს დიდებულ შვილად წარმოადგინონ. თქვან: „ასეთი შვილი რომ არ გვყოლოდა, უნდა გამოგვეგონებინაო".

შესანიშნავი პერიფრაზი არის ვოლტერიდან, მაგრამ მისი შინაარსი აუცილებლად იწვევს ყველა გონიერი ქართველის პროტესტს და ვედრებას: „ღმერთო, დაიფარე საქართველო სტალინის მსგავსი შვილებისაგან".

უფრო ხშირად სტალინის აპოლოგეტებს თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად ასეთი მოტივი მოჰყავთ, რომლებზეც სერიოზული ყურადღების გამოჩენა თითქოს არ ღირს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი მოტივები სერიოზულ საბუთებად არის მიღებული საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ. ეს უწყინარი მოვლენა არ არის.

სწორედ ამიტომ საჭიროდ მივაჩნია ზოგიერთი „საბუთის" ოპონირება. სტალინი „ძველ ფარაჯაში დაიღუპა, ეს ხომ ფაქტია, განა ეს მისი სასწაულებრივი სიწმინდის ფაქტი არ არის?" — კამათობს მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პროფესორი, მოყვანილ წინადადებებში რომ „სიწმინდის" მაგივრად „სიძუნწე" ეწეროს, ადვილად გავიგებდით ამ წინადადების შინაარს. „სიწმინდის" თანხლებით კი წინადადება ჩემთვის გაუგებარია. ნუთუ ერთი ახალი ფარაჯის საფასური რაიმე მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა ქვეყნის საფინანსო ბიუჯეტს?

პროფესორი არ ასახელებს წყაროს, რომელიც დაადასტურებდა მის აზრს „ძველი ფარაჯის" თაობაზე. რუსი ავტორები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, ისინი აღნიშნავენ; რომ სტალინი გასაკვირველად ძვირფას, ოქრომკედით მორთულ მუნდირებს იცვამდაო. თუ სტალინი მართლაც ძველმანებით დადიოდა, ეს, ალბათ, პოზისთვის სჭირდებოდა. ასეთი საშუალებით მრევლის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედება, ძველი და ბნელი საუკუნეების ბელადების პრიმიტიული ხერხია. მართებული კი ის არის, რომ XX საუკუნის ქვეყნის ხელმძღვანელი თანამედროვე ელეგანტურ ტანსაცმელს უნდა იცვამდეს და ამით თავისი ხალხის ყურადღებას ესთეტიზმისაკენაც მიაქცევდეს.

სტალინი „გენიალური ადამიანი იყო, სტალინს ახლაც მილიონობით მიმდევარი ჰყავს მთელ მსოფლიოში", ამბობენ სტალინელები, მილიონების რა მოგახსენოთ, ისე კი სტალინს დღესაც მართლა ბევრი მიმდევარი ჰყავს. ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. ამერიკელი ისტორიკოსი და სოვეტოლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ კოენიც ამბობს: „საინტერესო არის, რომ ამდენ პატიოსან ადამიანს გულწრფელად უყვარდა და დღემდე უყვარს სტალინი. ტერორის თაყვანისმცემლები ხომ არ არიან! საქმე ის არის, რომ მათ უყვართ სახელმწიფო, ხოლო სტალინი მათი აზრით მას განახორციელებდა" (გაზ. „კომუნისტი", 1 ივლისი, 1988 წ.). როგორც ვხედავთ, კოენი არაფერს ამბობს იმ მართლა მილიონების შესახებ, ვისაც სტალინი სძულდა და სძულს. მას სტალინისადმი ასეთი განწყობილება სავსებით ბუნებრივად მიაჩნია. იგი ცდილობს ახსნას მათი ფსიქოლოგია, ვისაც შეუძლია სტალინი უყვარდეს. კოენს მიაჩნია, რომ სტალინის პატივისმცემელთა მსოფლმხედველობა აიხსნება მათივე შეცდომით, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სტალინი სახელმწიფოს [illegible]ანასახიერებდა".

აქ საინტერესოა კოენის მიდგომა საკითხისადმი: რით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ სტალინს კვლავ ჰყავს პატივისმცემლები და მიმდევრები? მართლაც, აუცილებლად საჭიროა იმ მოვლენის გონივრული ახსნა, რატომ ჰყავს სტალინს დღემდე მიმდევრები. ზოგი კი ფიქრობს ამ „მიმდევრების" არსებობით დაადასტუროს სტალინის გენიალურობა, სტალინისადმი მილიონების ზიზღი კი ავიწყდება. პიროვნების გენიალურობა ყველგან და ყოველთვის ფასდებოდა მისი ნამოღვაწარით, იმ დიდი ღვაწლით, რაც ხელს უწყობს კაცობრიობის პროგრესს. სტალინის ერთადერთი ოფიციალურად ცნობილი პოლიტიკური მიზანი იყო, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის — სოციალიზმის აშენება, შემდეგ კი კომუნისტური საზოგადოებისათვის ზრუნვა. დღეს მთელმა მსოფლიომ იცის როგორი სოციალიზმი აშენდა რუსეთში. ამ ფაქტის გათვალისწინება სრულ უფლებას იძლევა დასკვნისათვის: სტალინი ისეთივე გენიალური პიროვნება იყო, როგორი გენიალურობითაც შეასრულა თავისი ამქვეყნიური პოლიტიკური მისია.

იმით გამართლება, რომ მას არ დასცალდა სოციალიზმი აეშენებინა, სიცრუეა. თვითონ მან 1936 წელს საზეიმოდ გამოაცხადა და ახალი „სტალინური" კონსტიტუცია მიუძღვნა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების ფაქტს.

თუ კიდევ დავუბრუნდებით იმ მოვლენას, რომ სტალინს დღესაც მიმდევრები ჰყავს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვინ არიან და რას წარმოადგენენ ეს მიმდევრები. თანაც, მიმდევრები განა მარტო გენიალურ ადამიანებს ჰყავთ? ასე რომ იყოს, ამქვეყნიური ცხოვრება სამოთხე იქნებოდა.

„სტალინის პერიოდში დისციპლინა იყო, ხალხს სწამდა მისი, სწამდა სოციალიზმის, სოციალიზმის და კომუნიზმის აშენება". წესრიგი და დისციპლინა მაშინ არის გამართლებული, როცა იგი სამართლიანობის, კეთილად აღზრდის, კეთილად ცხოვრების საფუძველია. როცა იგი წესიერ საზოგადოებრივ ცხოვრებას მართავს, ისეთ ცხოვრებას, სადაც რიგიანი კაცი მყარად და უშფოთველად გრძნობს თავს. დისციპლინა ხათნოების განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს, მამულის მტრებს უნდა ლაგმავდეს.

პოლიტიკური მოღვაწისათვის სიმკაცრე არ არის ის დიდი ცოდვა, რის გამოც ისტორია პოლიტიკოსს ჯვარზე გააკრავს. მაგრამ გააჩნია, ვინ რისთვის იჩენს სისასტიკეს. არც დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა სამშობლოს ქვეგამხედვართა მიმართ სინაზით, მაგრამ დავითის ცხოვრება, ქართველი ხალხისათვის მუდამ იყო და არის იმედით სავსე ისტორია. დიდი მეფე — მოღვაწის ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ნივთიერი და სულიერი ძალების აღორძინება, ისტორიული მოვლენების აუცილებლობით ნაკარნახევი სიმკაცრე არის ის თავმდები, რომელსაც შეუძლია გაპოვნინოს დაკარგული, აღგადგენინოს დანგრეული, გაზიაროს თავისუფლებას. ქართველმა ხალხმა იცის რა ღირსებების გამო ეწოდა მეფე დავით მეოთხეს აღმაშენებელი. მეფის მიერ გაწეული ყოველი „ავი" საქმე მხოლოდ საქართველოს სიცოცხლისთვის იყო გამიზნული.

დავით აღმაშენებლის პატივისცემა და სიყვარული საქართველოში ტრადიციად ჩამოყალიბდა და ყოველ 26 იანვარს ქართველი კაცი თავის დიდ თაყვანისცემას საზეიმოდ მიაგებდა ხოლმე საყვარელ შვილს, აღმაშენებელ მეფეს. ქართველთაგანს არავის განუკიცხავს მისი განთქმული დაუნდობლობა და სიმკაცრე. მისი ვედრება — „ნუ იხსენებთ ძვირთა ჩემთა" მუდამ შეწყნარებული იყო საყვარელი ხალხისა და სამშობლოს მიერ.

სტალინისმიერი სისასტიკე ყოველთვის პოლიტიკური ზიმახინჯის იდეას ემსახურებოდა. ამ ჭეშმარიტების შეგნება არ მოითხოვს განსაკუთრებული დაკვირვებისა და კვლევის უნარს, ამისათვის საკმარისია ოდნავ მაინც გავეცნოთ სტალინისდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას, ისე კი მისი პოლიტიკური ნამოქმედარის მავნეობა დღევანდელი დღითაც შესანიშნავად არის დადასტურებული. რაც შეეხება იმ აზრს, რომ „ხალხს სწამდა" სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება, არავინ არის ისეთი უბედური, საცოდავი და შესაბრალისი, როგორც მოტყუებული ადამიანი.

განა შეიძლება დადებითად შევაფასოთ ის მოვლენა, რომ „ხალხს სწამდა" სტალინური სოციალიზმის აშენება? კარგი, ვაღიაროთ, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს მართლაც სწამდა, მერე? ცხოვრებამ ხომ დაამტკიცა, რომ ეს იყო ხალხის გაბრიყვება. ზოგიერთს კი ძველებურად მოსწონს ხალხის რწმენა „სტალინის საქმისადმი", ან დემოკრიტე არ იყო მართალი, ან მისი სენტენცია არ გულისხმობდა ძალიან დიდ ბრიყვებს და მხოლოდ ჩვეულებრივი ბრიყვების შესახებ თქვა: „უბედურება არის ჭკუის მასწავლებელი ბრიყვთათვისო".

(გაგრძელება იქნება)

# „თუ დაგივიწყო იერუსალიმ..."

ოცდაექვსი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც „ნაბუქოდონოსორისაგან მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდნენ მცხეთას..."

ოცდაექვსი საუკუნე!

დროის ამ მონაკვეთში არა ერთი სახელმწიფო შეიქმნა, — გაძლიერებაც მოასწრო და სიკვდილიც.

ებრაელნი კი, აბრაამისა და მოსეს შთამომავალნი, დღესაც სახლობენ ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწაზე, შეიტკბეს და შეიყვარეს საქართველო, ქართველი ხალხი, თუმცა არასოდეს დავიწყნიათ წინაპართა სამკვიდრო და უმტკიცესი ბიბლიური ფიცი — „თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამიწდეს მარჯვენა ჩემი, ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას".

ბიბლის შემქმნელმა ერმა საუკუნეებს მიღმა გამოატარა თავისი დაუოკებელი სწრაფვა აღთქმული ქვეყნისკენ და როგორც კი საშუალება მიეცა, მყისვე იწყო სამშობლოში დაბრუნება.

ქართველმა ებრაელებმა თავიანთ სამშობლოს მიაშურეს და აისრულეს მრავალსაუკუნოვანი ნატვრა... მაგრამ, როგორც გაირკვა, ისინი სამშობლოდან სამშობლოში წავიდნენ. ისრაელში ჩასულებს უზარმაზარი ლოდივით დააწვა ნოსტალგია საქართველოზე, მოძმე ქართველ ერზე და ისრაელში დაიწყო ნამდვილი ბუმი. დაარსდა ქართული ჟურნალები და გაზეთები, ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, ქართული დრამატული თეატრები.

ისრაელის დღევანდელი ქართულენოვანი პერიოდიკის ფლაგმანს ჟურნალი „დროშა" წარმოადგენს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ერისა და ქართველი ებრაელობის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში. „დროშა" მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემაა, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი ბატონი ხაიმ ხუბელაშვილი გახლავთ, თელ-ავივის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, საქართველოდან გამოსულ ოლიმ-აკადემიათა (ისრაელში ჩასულ უმაღლესი განათლების მქონე პირთა) კავშირის თავმჯდომარე, საქართველოდან ჩასულთა საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე. სწორედ მისი დიდი ღვაწლისა და შრომის შედეგია „დროშა", რომელსაც თავისი არსებობის ათი წელი შეუსრულდა.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებამ და გამომცემლობა „მერანმა" მშვენიერი საჩუქარი მიართვეს ქართველ მკითხველს. ცალკე წიგნად გამოიცა ჟურნალ „დროშის" ფურცლებიდან ამოკრებილი ათი წლის მანძილზე დაგროვილი საუკეთესო მასალა. ეს ფრიად შრომატევადი სამუშაო განახორციელეს გურამ ფანჯიკიძემ, გურამ გვერდწითელმა და გურამ ბათიაშვილმა.

რა შეიძლება ითქვას ამ კრებულის შესახებ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მასალები დიდი გემოვნებითაა შერჩეული და უდავოდ საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

ახლა, როცა საქართველომ, ქართველმა ხალხმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოაცხადა, როდესაც მთელი ჩვენი ძალა და ენერგია თავისუფლების მიღწევას ემსახურება, ძნელია აუღელვებლად გაეცნო წიგნში დაბეჭდილ ლეონ იურისის რომანის „ექსოდუსის" ნაწყვეტს „როგორ იბადებოდა ისრაელის სახელმწიფო". ისრაელის სახელმწიფოს შექმნა ჩვენთვისაც, ქართველებისთვისაც, მრავალმნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორი ძალისხმევით, რა მოზომილი ნაბიჯებით, რა მისხალ-მისხალ მოიპოვება ჭეშმარიტი თავისუფლება. კრებულში მკითხველი ინტერესით გაეცნობა ისრაელის სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების დავიდ ბენ-გურიონის, გოლდა მეირის, ლევი ეშქოლის, ხაიმ ჰერცოგის, ტედი კოლეკის, მოშე დაიანის, ელიეზერ ბენ-იეჰუდას ცხოვრების და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, მათ დიდ როლსა და დამსახურებას ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. აქვეა მოთავსებული წერილები იერუსალიმსა და თელ-ავივზე.

მკითხველის ცხოველ ინტერესს გამოიწვევს წერილები რაბი დავით ბააზოვზე, „ვეფხისტყაოსნის" გენიალურ მთარგმნელ ბორის გაპონოვზე, ისრაელის ეროვნული საოპერო... ხალხური ცეკვისა და სიმღერის ათანელოვზე, მხატვრებზე მეირ და იაკობ ფიჩხაძეებზე, რაფიელ მოშიაშვილზე, მიშა ჯანაშვილზე, ჰედური ხელოვნების ოსტატ ალბერტ პაპისმედოვზე, ხაიფისა და თელ-ავივის ქართულ დრამატულ თეატრებზე, რუსთაველის თეატრის გასტროლებზე ისრაელში.

საინტერესოა კრებულის ლიტერატურული ნაწილიც, სადაც მკითხველი გაეცნობა ძველ-ებრაულ თქმულებებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდება ამ ბიბლიური ერის დიდ სიბრძნეში. აქვეა დაბეჭდილი თამარ ჯინჯიხაშვილ-ეფრემაშვილის, სიმხა აჯიაშვილის, აბრამ მამისთვალოვის, ირმა წიწუაშვილის, გერშონ ბენ-ორენის, ბონდო მამისთვალოვის, ესთერ თეთრუაშვილის, ელიეზერ კრიხელის, მარინა კაკიაშვილის, თამარ მოძღვრიშვილ-სეფიაშვილის, როზა აბნერაშვილის, ისაკ მეგრელიშვილისა და სხვათა ლექსები და მოთხრობები.

კრებულის მოკლე მიმოხილვა მინდა დავამთავრო ვახტანგ ხარჩილავას ლექსის „ყველა ქართველ ებრაელს" ნაწყვეტით (კრებულში დაბეჭდილია ვახტანგ ხარჩილავასა და მურთაზ ჩახავას ლექსებიც), რომელშიც მშვენივრადაა გახსნილი ქართველ ებრაელთა სულიცა და მათი კეთილშობილებაც:

„დულს საქართველო ისრაელში,
ცოცხლობს და ბორგავს,
თქვენს ქართულ ჰანგებს
ვენაცვალე, თქვენს ქართულ
როკვას..."

ჭეშმარიტად დიდებული საქმე გააკეთა ამ კრებულის გამოცემით და იმედია, რომ იგი თავის წვლილს შეიტანს ქართველი და ებრაელი ხალხების მარადიული ძმობის განმტკიცების საქმეში.

**ზაალ გოტკოველი**

ეროვნული

# ღილღოს ნგრეული აულების მოზარე

> „...მხილველთა მტერთა მისთა განიცინნეს გარდასახლვასა ზედა მისსა“.
>
> გოდება იერემიასი

**„მიმილე, როგორც მკვიდრი ღილღველი და ვყაროთ რამლი ჩვენი ხვალისა, კვლავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი, ვიმღეროთ სავა ზელიმხანისა“**, — მიმართავდა გაბრიელ ჯაბუშანური „უნჯ სპათაგან“ დაცლილ, ოდინდელ მკვიდრთაგან იძულებით მიტოვებულ, უკაცურობით დაღონებულ კენტ აულს და თავს მოვალედ რაცხდა „უსაშველო დარდი და ვარამი გაენქარვებინა უკეთური ძალების მიერ შეუბრალებლად აკლებულ-ატიალებული ქისტეთის მიწა-წყალისთვის.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რა ჯოჯოხეთური რისხვა იწვნია ჩეჩენმა და ინგუშმა ხალხმა 1944 წლის 23 თებერვალს. ეს იყო არნახული სისასტიკით და მუხანათური დაუნდობლობით დაღდასმული გენოციდის დღე სულით მტკიცე და ბუნებით ამაყ, თავმოყვარე მთიელთა ცხოვრებაში.

ათასობით ქალი და კაცი, ხანდაზმული, ბავშვი და ჭაბუკი ერთ დღე-ღამეში ძალით აჰყარეს მამაპაპათა მიწიდან და შორეულ ყაზახეთში გადაასახლეს...

1944 წლის გაზაფხულზე, ასე, აპრილის შუა რიცხვებიდან, როცა თოვლები აშრა, ყინულები დადნა და სამთაბარო გზები გაიხსნა, საარსებო სახსრის მომატების მოიმედე არხოტელებმა დედა-ბუდიანად მიაშურეს სულ ცოტა ხნის წინათ გაპარტახებულ ქისტეთს.

1941 წლიდან გარკვეულ მიზეზთა გამო თბილისიდან კვლავ არხოტს დაბრუნებული გ. ჯაბუშანური მშობლებთან და თანასოფლელებთან ერთად ქისტეთში ჩასახლდა და მთელი ჩვიდმეტი წელიწადი „ღილღოს მღვრიე ცის“ ქვეშ გაატარა.

ეს იყო წლები უჩვეულო პოეტური განცდებისა, სათქმელის ახალი მხატვრული ფორმების დაუცხრომელი ძიებისა და თვითდადგინების მტკივნეული პროცესისა, შემოქმედებითი ზრდისა, წრთობისა და ამაღლებისა...

ღილღოსადმი მიძღვნილი ლექსებით და ბალადებით გ. ჯაბუშანური ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც სიმწარენაგემი ქისტი ხალხის დანავსული ბედის მოზარე და მისი გაუყურჩებელი ტკივილების მოზიარე პოეტი, ვინც „დღე ყოელ“ გოდებს და ვალალებს ნგრეული, მიწა-მყარს გარეული, ღვიძლ ძეთაგან და ნამდვილ პატრონთაგან დაცლილი და განძარცვული ბედკრული აულების გამო.

გაბრიელის მგრძნობიარე გულს ცხადად ხვდებოდა გაცქიტებული აულების სავალალო ყოფის ყველა დეტალი და ჩიოდა, რომ **„გაცრეცილ სახლებს დალეწილი ხტკივათ ფერცხლები“**.

მაინც რამ შეძრა და შეაძრწუნა ყველაზე უფრო არხოტიდან ღილღოში ჩასული პოეტი? რა იხილა, მოისმინა, ინიშნა და განიცადა იქ ისეთი, რისი ამოშლა და ამოშანთვაც ადამიანის გულ-გვამიდან შეუძლებელი ხდება ხოლმე?

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, უაღრესად საგულისხმოა ბალადა „ორი ძაღლი“, რომლის წერაც 1944 წლის 28 მაისს, ე. ი. ღილღოს მიწაზე დასახლების პირველსავე დღეებში დაუწყია ავტორს.

ბალადის შინაარსი, ზოგად ხაზებში, ასეთია: მზისპირში ანუ იგივე აულ ოძიკში პოეტს დახვდა ორი ძაღლი — ერთი თეთრი და მეორე შავი, რომლებიც თითქოს ადგილის ურვათს სთხოვდნენ მას: ცოფმორეული ხმით ულრენდნენ და „ობოლ აულს“ ურვით უვლიდნენ გარს. ღამით უგზო-უკვლოდ გადაკარგულ პატრონს უხმობდნენ „ძაღლური ძახილით“, ხოლო დღისით ნაწყენნი იყვნენ, **„მდურვით უმზერდნენ ცას უმიზეზოს“** და ხანაც **„ერთმანეთს გლეჯდნენ უწყალოდ“**.

ძაღლებს განსაკუთრებით თოფისა ეშინოდათ, რადგან მათი პატრონი თოფით განდევნეს აქედან...

ბოლო დროს შავი ნაგაზი მოლბა, მოტყდა და მიენდო უცხო სტუმარს, ხოლო თეთრმა **„არც ხორცს და არც პურს პირი არ ახლო“**.

კენტი მყეფარის მოთქმის მოწმე ბალადის ლირიკულმა გმირმა ძილი და მოსვენება დაკარგა, თითქოს ამ მიდამოთა გავერანების ერთი მიზეზი ის ყოფილიყოს, სინამდვილეში კი — **„ღილღო დალუპა მისივე სისხლის თავალებულმა ველურმა შფოთმა“**.

გამოხდა ხანი. საგონებელში მყოფმა ძემ კაცისა თეთრი ნაგაზიც დაიზავა და შავზე მეტად დაიახლოვა, თუმცა ერთმანეთში მათი მორიგება მაინც ვერ შეძლო...

და ასე, ინათებდა თუ არა, შორეული აულების დავლას და ნადავლის შეგროვებას იწყებდნენ სამნი. ხოლო აულებში გულის აძკლებ სანახაობას აწყდებოდა თვალი: სახლის პატრონის მიერ ნათალი, დაუმთავრებელი სკამი, რომელზედაც ის ველარასოდეს დასვამდა სტუმარს; დალეწილი კოვზი და ჯამი; ძირს დაყრილი ქეჩა და სასთუმალი; კედელს შიხლილი სიმინდის ძარი; მოუწველელი თხა; „ჯერ კიდევ ქისტის ბავშვდაუწვენი“ ახალთახალი აკვანი; გადაშლილ ყურანზე ცვილის სანთელივით დარჭობილი ნატეხი ხანჯლის; ჩამსხვრეული მინები; სველი და ცივი კერა; სახლის ზღურბლზე მწოლიარე მკერდნათოფარი ძაღლი; მოზარეთა დარი ციხე-კოშკები და... აკლდამებიდან ჩონჩხთა ბღავილი... ერთი სიტყვით, **„აქ ყველა სახლი ისე გამოსჩანს, როგორც არწივის დაცლილი ბუდე“**...

ღამ-ღამობით, როცა „ვარსკვლავები — ქისტის ქალები“ სამასლაათოდ ჩამოსხდებიან, სხვის ბინას შეხიზნული „საწუთროს მწირი“ თავზე ოცნების ჯილას იდგამს და მეცხრე ცის მიღმა გაურბის ამქვეყნიურ წვრილმან-საზრუნავს.

გაერთგულებული მყეფრებიდან ერთი ზღურბლზე წევს და უილბლო მსხემის სიმშვიდეს დარაჯობს, ხოლო მეორე სახლს უვლის გარშემო და **„უეფით აფეთებს ჩრდილთა ხერობას“**...

პოეტის წარმოსახვაში ეს ორი ძაღლი მისივე ბედ-იღბლის ორგემაგეობასთან არის ასოცირებული: შავი კაეშნის ნიშანია, ხოლო თეთრი — იმედისა. ეს უკანასკნელი დღე და ღამ ილტვის დაღლილი, უსასოო მდევნელისაგან და ხანდახან, უძილობით გათანგულ ადამისძეს ავი ზრახვა გაუვლის გულში: ზურგიდან წამოეპაროს და ბოლო მოუღოს კაეშანს — შავ მყეფარს, მაგრამ წამიერ აფეთქებას ისევ დინჯი განსჯა ენაცვლება და გაფოთებული გულიც წყნარდება; წყნარდება იმის შემცნობი, რომ წუთისოფელი სხვა არაფერია, თუ არა აწეწილ-აწრიალებული და აქოთებული აული. დარს დელგმა მოსდევს, ბედს — უბედობა და, დაე, იცოცხლოს ორივე ძაღლმა — თეთრმაც და შავმაც, ვითარცა სიკეთისა და ბოროტების, დღისა და ღამის, იმედისა და დარდის მატერიალურმა განსახიერებამ!..

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პოეტმა სატანური სულის მიერ დათრგუნული და გაცამტვერებული, უღვთოდ გაქელილი და განწირული ერთი კუთხის კონკრეტული აულები მთელი ქვეყნიერების სიმბოლურ მიკროხატად წარმოგვიდგინა და ამ გზით თავის ტკივილიან სათქმელს მეტი აზრობრივი სიღრმე, ემოციური მუხტი და ფილოსოფიური ხმოვანება მიანიჭა.

„ორი ძაღლიდან“ საცნაური და სიმპტომატურია ერთი მომენტიც: სავის მიწა-წყალზე დამკვიდრებული, უკაცრიელ სოფელში მისული და დასახლებული, იქაურობისთვის უცხო და უცნობი ადამიანი მიწყივ სინდისის ქენჯნას განიცდის **(... ვინც მიტოვებულ ქისტის აულში დღეს დავთარეშობ, როგორც ყორანი...“)** და თუმცა იოტისტოლა ბრალიც არაფერში მიუძღვის, მაინც დამნაშავედ გრძნობს თავს, თითქოს მასაც ედოს წილი ცხრა მთას იქით ღილღველთა განდევნასა და გადაკარგვაში...

იმისდა მიუხედავად, რომ მისთვის აქ მახლობელი და მშობლიური არაფერია, ისეთი, რაზეც ადამიანს გული შეიძლება შესტკიოდეს, მაინც ესხვარიგება და ეხამუშება ღილღველთა ეთნოგრაფიული ყოფისთვის ნიშანდობლივი ადათ-წესების ასე უცაბედი გაქრობა და განქარება, გარდასულ დღეთა ცეცხლოვანი რიტმების ჩაწყვეტა და ჩაჩუმება. თემსა და მოლას ასპარეზი მიუტოვებიათ და მათ მაგივრად ჰოტი და ლანდები ასრულებენ სამიმწუხრო ლოცვის საიდუმლო რიტუალს: **„ახამს მოლას ლოცვა მიძინებულ თემს დარაჯობდეს, მაგრამ განქარდნენ მოლაც, თემიც — მრუმე ძილივით; ძველი მეჩეთის მინარეთზე შემჯდარა ჰოტი და ლანდებს ლოცვად მოუწოდებს მუეძინივით...“**

იქ, სადაც უწინ ალაჰის მძაფრი ქება ისმოდა, სადაც **„აბრეკობდნენ აბრეკები, ჯიგიტობდნენ ჯიგიტები“**, ახლა ჩაქცეული მიწურები, ძანგრეული აკლდამები, ტანზე ხავსაცურებული ქავები და ქვითკირები ზარავენ მზერას... ხოლო ღამის ულრანებში, როცა მიდამოს კუპრისფერი უკუნი ფარავს, შეშფოთებულ მკვდართა დიალოგი იმართება; ჩონჩხები „უძრაობის დღისეულ ნიღაბს“ იხსნიან და აკლდამებიდან ბაასით გარეთ გამოსულნი შემზარავად ხითხითებენ...

და ეს ყველაფერი, მიუხედავად წარმოსახვისმიერი დეტალების საგრძნობი სიჭარბისა, რეალური ვითარების მეტყველი უკუფენაა — ესოდენ მკაცრი, ცხადი და დამაჯერებელი.

პარტახ აულებში წელიწადის ყველა დრო თავისებურად ფერნაკლული და უსიცოცხლო ეჩვენება პოეტს. ირგვლივ იმდენად მძიმე და სულისშემხუთველი სამარისებური სიჩუმეა დასადგურებული, რომ საგაზაფხულოდ მისრეთიდან დაბრუნებულ მერცხალსაც კი უჭირს აყლურტულება... დამუნჯებული ციხე-ბურჯები, ზღურბლზე ამოსული ჭინჭარი და ჩამქრალი კერიისკენ ჯიქურ მიმავალი შამბი თვალხილული ნიშანია აქაურობის მართლაცდა საბედისწერო მდგომარეობისა.

აი, კიდევ ერთი მრავლისმთქმელი წიბო თუ წახნაგი გულის გამგლელი უამური სახილველისა: **„შენ რომ იყავ, — ის აული ოხერი მოარბიეს, ულვთოდ მოაპარტახეს, ენატრებათ შენი ყელის მოღერა ციხეების ჩაბნელებულ ჩარდახებს...“**

გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსებისა და ბალადების ღილღური ციკლი მთლიანობაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთგვარი იერემიადა, — ნათქვამი არა კიდე-კუნჭულამდე ნაცნობი მშობლიური ქვეყნის, კუთხისა თუ სოფლის დარბევისა და გაბედითების, არამედ ენით, ეროვნებით და სარწმუნოებით სრულიად სხვა ხალხის ძველთაძველი სამკვიდრებლის მოშლისა და გაპარტახების გამო. და აქ, პოეტის ამ მხურვალე მოთქმა-ვაებაში, პირადად-ადამიანური მწუხარების კერძო გამოვლინებაში მკაფიოდ ჩანს, საზოგადოდ, ქართველი კაცის, ქართველი ერის ჰუმანური ბუნება — გაიგოს და გაითავისოს სხვათა უბედობა, მხარში დაუდგეს და გაამხნევოს განსაცდელში მყოფნი.

შეიძლება ვცდები და მაინც მგონია, რომ ღილღველთა, და საერთოდ, ვაინახური ტომის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ტრაგიკული ისტორიის ხვეულებში წვდომის, ამ ისტორიის ცალკეული პერიპეტიების აღქმისა და მხატვრული ასახვის მხრივ გ. ჯაბუშანურის პოეზიას თვით ქისტი პოეტებისა თუ ხალხური მელექსეების შემოქმედებაც კი ძნელად თუ გაუტოლდება...

ღილღური ციკლის ლექსებში, სადაც ზედაპირზე ძევს და იოლად იცნობა იქაური ლანდშაფტი; პეიზაჟი და ყოველ სტროფსა თუ სტრიქონში ქისტეთის **„თალხი მთა-ხევით და ბინდბუნდებით“** მონაბერი სიოს სუნთქვა ისმის, მკვეთრად განირჩევა ორი სიბრტყე, ორი განზომილება: ერთი, რომელიც უშუალოდ ეხება პოეტის არსებას და თავისი დამზაფრველი სიმკაცრით ტრაგიკულ ტონალობას მატებს მის პოეტურ სიტყვას (... **თეთრი სუდარა გადამკვრია მთა-კლდეს და ხევებს, ჩამკვდარა უკაცო სოფელი...“**), ხოლო მეორე ფიქრსა და ოცნებაში რეკონსტრუირებულ სამყაროს საზღვრავს, სამყაროს, რომელიც გვხიბლავს და გვიზიდავს პირველქმნილი ინტიმით, სადა მშვენიერებით, მიამიტური რომანტიკით და რალაცნაირად ვაჟკაცური სულისკვეთებით **(„აგერა, გალმა ის ნისლი, ქარმა რომ გადააქცია, ალმა რომ მოერეკება და შესვენებას არ აცლის, ნანატრის გაცხადებით ქალადამც გადააქცია ღ მარტო მიტოვებული მე შემახ რა ქარაფში...“)**.

„...ლადა ქვაკაცაზე“ ღილღოშია შექმნილი. ბალადის თვითოეული სტროფი და ტაეპი ამაღლებული მხატვრული ექსპრესიით არის აღბეჭდილი. ავტორის პირადი განცდები მარჯვედ და მოხდენილადაა დაკავშირებული ნაწარმოების პერსონაჟთა სამიჯნურო თავგადასავალთან... შთამბეჭდავია გმირთა მხატვრული სახეები. სამუდამოდ გვამახსოვრდებიან ახმედი, სულთანი, სალმარძი, ფეტ მატ და ზეზიკო — **„მურთაზის მზისფერი ქალი“**. ბალადის კითხვისას არ გვტოვებს განცდა, რომ ავტორი საფუძვლიანად იცნობს ღილღველთა ადათობრივ ნორმებს, წესჩვეულებებს, წადილსა და მისწრაფებებს, საერთოდ, მათ სულიერ სამყაროს; იცნობს და ზუსტ ფსიქოლოგიურ მოტივირებას უძებნის გახელებული რაყიფებისა და მათი სატრფოს ყოველ სიტყვას, მიმოხვრას, გამოხედვასა თუ გადაწყვეტილებას...

ვრცელი მოცულობის ბალადაში სათანადო მხატვრული ეფექტის შექმნას განაპირობებს სიუჟეტის განვითარების შინაგანი კანონზომიერებით ნაკარნახევი პერიოდული გამეორება რომელიმე ტროპული სახისა თუ მთლიანი სტროფისა. ასე, მაგალითად, მცირე ვარიაციული სხვაობით რამდენიმეგზის მეორდება შემდეგი სახიერი სურათი: **„მზეუტავი. კოცონი წითელი ენითა კვეთავდა უკუნეთს შავსა. სადღაცა ძაღლები ძიძგნიდნენ ღრენითა სულთანის საფერხის თავსა...“**

მღვრიე სულის მღაფავი ღამეა ბალადის გმირთა ვნებების უსაზღვრო სარბიელი. მათი სვე და ცხოვრების გზაც ღამესავით უნათლო და მწუხარეა. მიდიან სამზეოდან და თან მიაქვთ განუხორციელებელი სურვილები, მტკივანი გულები და ნატვრა საზიანო სიზმრების კეთილად ახდენისა...

**„იქ, სადაც ოდესღაც ზეზიკო იმღერდა“** და ჯიგიტები ჯირითობდნენ, მძვინვარე ომის ამდგვლეულ წლებში სხვა ჯიშისა და რჯულის ხალხი დასახლდა... ახლა მათ აღიგვეს კერა ღილღოში. მაგრამ, როგორც წესი, მიწა მუდამ უხმობს და უყივის თავის შვილებს. **„და ახე მგონია: — ბუდეი დაცლილი არწივებს აწვევსო ჭერაც...“** და მართლაც, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ყაზახეთის ველებზე ნაცხოვრები და ნაგვემნატანჯი ღილღველები მშობლიურ მიწაზე დაბრუნდნენ...

გადასახლებიდან უკან დაბრუნებულ ქისტებსა და მათ სამშობლოში დროებით მცხოვრებ ხევსურებს შორის არანაირ უკმაყოფილებას, შუღლსა და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. პირიქით: გაქენცილი სამოსის ამარა თავის მიწა-წყალს დაპატრონებულმა არაერთმა ღილღველმა დაიწყო მოშლილი მეურნეობის აღდგენა-განახლება ხევსურებისაგან საჩუქრად დატოვებული სამეურნეო იარაღითა და თითო-ოროლა სული წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლით... ეს იყო ისედაც ხელმოკლე მთიელთა დიდსულოვნების უხმაურო, მაგრამ, თავისი მნიშვნელობით, დაუვიწყარი მაგალითი. ხნიერ ქისტებს დღემდე ახსოვთ ქართველების მხრიდან იმხანად გამოჩენილი სითბო და თანადგომა...

**„როგორც ქისტებმა, კარგა ხნის წინათ, — დატოვეს ღილღო არხოტელებმა“**.

გაბრიელ ჯაბუშანურიც სამუდამოდ გამოემშვიდობა ღილღოს მთებს.

„30 ივლისს, უკანასკნელად დავთვერი ხამხში (ღილღო). ხანჯლით ვეტიე მეზობელს და 31 ივლისს, ალბათ სამუდამოდ, მივატოვე ღილღო... რაღა დამრჩა ღილღოსი? —ბევრი კარგი მოგონება, იქ დაწერილი ბევრი ლექსი, პოემა, ბალადა... ბევრი სევდა, ტანჯვა, წამება... ღილღოს დამრჩა: დედის, მამის, ლეოს და მზექალის საფლავები... ეჰ, მიდის და მიდის ეს წყეული ჟამი“, — წერს პოეტი 1961 წლის 17 აგვისტოთი დათარიღებულ დღიურში.

გასრულდა ღილღოს აულებში კენტობის და მარტვილობის ჩვიდმეტი წელიწადი.

და როცა დადგა დღე ღილღოდან სამუდამოდ აყრა-აბარგებისა, გ. ჯაბუშანურს გულის-გულში უკვე ძალზე უმძიმდა იქაურობის გაწირვა, უმძიმდა, თუნდაც იმის გამო, რომ ღილღოს მიწაზე ტოვებდა მშობლების, მრწემი ძმის, ბიძისა და სიმმაგემდე სასურველი ნანდაურის საფლავებს... **„უფლის დიდი ზამთრის“** პირისპირ მდგარი დღენიადაგ თავის ხვედრს ემდუროდა და მოკვდავთათვის აქამდე უპასუხოდ დარჩენილ მწარე კითხვას სვამდა: **„ნეტავი, სულს რომ მიდგამდა, რასა ფიქრობდა განგება?“**.

...ოდესღაც მოსისხლე და მოშუღლარ **(„ქისტებსა, არხოტივნებსა დღე-შუ სისხლის წყალ უდისა“**, — ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში), ერთურთის გზა-კვალზე გამუდმებით მზერადარაჯებულ ქისტებსა და ხევსურებს შორის ნამდვილადამიანური ნდობა, გაგება და თანაგრძნობა დამყარდა იმ ავადსახსენებელი რეპრესიების შემდგომ ხანებში. ჩვეულებრივ ამბად იქცა საძმო და სამეგობრო განზრახვით ღილღველთა და არხოტელთა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა...

ღილღველთა აულებიდან აყრილი ხევსურების უმეტესობამ ბარს მოაშურა საცხოვრებლად. ნაწილი კვლავ „სხვა ქვეყნის სამოთხეზე“ გაუცვლელი სალი კლდეების კალთებს შეეხიზნა... გაბრიელ ჯაბუშანური ჯერ დარიალის ხეობაში, სოფ. ლარსში დასახლდა **(„მე კი დარიალს შემოვდექ. — უთვისტომო და მარტვილი...“)**, ხოლო მერე თბილისს ეახლა და თვალუწვდენელი ქალაქის შფოთით და ზირწუთი მოუსვენრობაშეყრილი ჟამი-ჟამ ისევ მთებს, გადაღმა დატოვებულ არხოტსა და ღილღოზე ოცნებობდა **(„შენ მგონნის გული გაუყავ არხოტს და მკერდში ლექსის დამეც დანები“**, — იტყვის პოეტი მოგვიანებით ღილღოსადმი მიძღვნილ ერთ ლექსში).

...და თუკი ვინმეს გული ეწურვოდა და ელვენთებოდა იმ ცოდვაბრალით აღსავსე წლებში განუკითხავი ძალმომრეობის მორიგ მსხვერპლთა გამო, თუკი ვინმე მართლა გრძნობდა და თავისობდა მშობლიურ ბუდეს ძალით აგლეჯილი და ყაზახეთის უსახურ ველებზე წასხმული ქისტების ზარავანდივით მწარე ხვედრს, ერთი პირველთაგანი მათ შორის უსათუოდ გაბრიელ ჯაბუშანური გახლდათ.



**ამირან არაბული**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ია სულაბერიძის ნიჭმა თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ცოტა იქნება, თუ ვიტყვი, რომ თვალყურს ვადევნებ პოეტს, — ხუთი წელიწადია ვზედამხედველობ ახალგაზრდა პოეტის ზრდა-დაოსტატებას. ბოლოს და ბოლოს თანახმა ვარ ასპარეზზე მისი გამოსვლის...

რა შეიძლება მოკლედ ითქვას იაზე, ია სულაბერიძის ლექსის თვისებებზე?! პოეტის პირველი კრებულიდან აქ წარმოდგენილი ლექსების უკან დგას სრულიად ახალგაზრდა, თანამედროვე, მაგრამ ძირძველ რჩეულ ტრადიციათა ერთგული შემოქმედი, მეულლეობისა და დედობის მადლით ცხებული ქართველი ქალი. ია სულაბერიძის ლექსების ლირიკული გმირი მშობელი ხალხის დაუძინებელი პატრიოტი, შთაგონებული და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია...

გრძნობა — ქართული საქმის, ქართული იდეალების!
გრძნობა — ნათელი და წყობილი სიტყვის!
ადამიანურ სისუსტეთა მხილების ჟინი!
მხნეობა! ფრთოვანება! არტისტიზმი!

„მზემ ნისლის ზეწარი ჰიუხებს მოხადა,
ჭაბუკი ხევსური ბედაურს მირჩევს...
მინდა სისხლისფერი გადვიცვა ჩოხა და
გავყვე მარულაში ბიჭებს...

მივქრივართ! ალპები ჰიატობს ათასფერად,
არაფერს გპირდები! არაფერს არ დამპირდე!
აგე, იმ მწვერვალზე მწადის გადაფრენა, —
პოეტი არ ვიყო, თუ არ გადავფრინდე!“ —

მე მომხრე ვარ ასეთი პოეზიის — გულისმიერის, ამაღლებულის, თან — ყოფიერებით, ცხოვრების ცოდნით გაჯერებულის.

პოეზიის ნამდვილი მცნობელი თანაგრძნობით მიიღებს ახალი სახელის გამოჩენას ჩვენს ქართულ პოეზიაში. გზა დამილოცნია ია სულაბერიძისათვის.

**მურმან ლებანიძე**

# ია სულაბერიძე

•

მერიდიანებს გადუფრენს მაღლა
ლექსი და აშლის მათრობელ ქარებს
და მერე დიდხანს არ მოვა დაღლა,
ოცნება დაღლას არ მიიკარებს.

ვარ დღეს დედოფლად
ტახტზე მჯდომარე,
გარს ოცნებები ზღვად მომესია —
წინ, შემოსილი თეთრი მომავლით
უამაყესი დგას პოეზია...

მიხმობს უცნობი ვარსკვლავის ელვა
და ვიცი, დიდხანს დარჩება ჩემში
ლექსად მოხული ტრთოლვა და ღელვა,
ლექსად მოხული წვიმა და თქეში.

•

„დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას...“

დოქის ტუჩს უმღერი, ქალისას კი არა,
ღვინოს ასახელებ მშვენებად მაგიდის
და, მაინც თვალები ხარივით ბრიალა,
დოქისკენ კი არა,
ქალისკენ დაგიდის...

შენ არ იუარებ, — ლოთი არა ვარო, —
მაგრამ ცხრა სიგელიც ლოთისა
გეჭიროს,
მაინც მეეჭვება, ჩემო ყარამანო,
რომ შენ დოქის ტუჩი
ქალისას გერჩივნოს!

•

ხან თუ არგამხელამ ქვეყანა დააქცია,
ხანაც — ამოაგდო სოფელი გამხელამ...
ჩარჩულმა ანგარიშმა ოცნება გააქცია—
„ხელი ხელსა ჰბანსო“... —
მაშ, რა ჰქნას ცალხელამ!

ვის ტყუილ-მართალი
ერთ ქვაბში უხარშია,
ვის სიბრძნე საკუთარი
აქვს ამოჩემებული
და, ჰა, რა ხანია დათა თუთაშხიას
დასდევს ეგ ·ნიკანდრო —
გამოშტერებული!

### მუშკეტერებო, ჩემკენ!

მივებრძვი — ყველას და არავის,
დაშნები — ზარებივით რეკენ...
ათოს, პორთოს და არამის —
მუშკეტერებო, ჩემკენ!

ქაჯეთის ალებას რა უნდა!
ვანჯღრევ ჩაძინებულ ფრესკებს:
ცოტნევ, ვამეხო და ალუდავ —
მუშკეტერებო, ჩემკენ!

•

მიილია ბევრი დღის
უსახელო დინება...
როცა ყველას ცრემლი სდის,
შენ რატომ გეცინება?!

ახავსები სავსეა
ეჭვებით და ქირდვებით...
როცა ყველა მსგავსია, .
შენ რად სხვანაირდები?!

გარეთ გაზაფხულია,
შენ მე ყვავილს მპირდები...
როცა ყველა რთულია,
შენ რატომ მარტივდები?!

მარტოს გაგინაპირებ
(ხალხში ზღაპარს ჰყვებოდი...)
— მე მარსისკენ ვაპირებ,
ხომ არ წამომყვებოდი?!

მოასწარი! გარისკე!
შორს ლურჯია ორბიტა,
და მოსხლეტით — მარსისკენ
მწირი რეალობიდან!

მოასწარი! გარისკე!
თორემ გადაიწვები...
შენ კი... ვისკენ, ან რისკენ
ასე გაფაციცებით?!

### მრავალს დაესწარი!

ტყეს სძინავს, არ ისმის ჩქამი,
სიზმრებს წაუღიათ ტყე,
თენდება აგვისტოს სამი —
შენი დაბადების დღე...

შენ გძინავს, ვინ იტყვის ახლა,
შეჰხარი რას ანუ ვის,
სახეზე წაგშლია დაღლა, —
ძლივს!

შენ გძინავს შესაშური ძილით,
მე ჩვენსას ვოცნებობ მერმისს,
ცხოვრების ხვედრით და წილით
დამფრთხალი რომ არ ხარ, მესმის!

მესმის და ვამაყობ შენით, —
პოეტი-გოგონას ქმრით, —
ერთურთის ტკივილებს ვშველით,
რა მნიშვნელობა აქვს, რით?!

იძინე, მე ვფიქრობ შენზე,
შენ ახლა ოცდარვის ხდები,
შენთვის შეუძლებელს შევძლებ —
ვხვდები...

შორს შენგან საწუთროს შხამი,
შორს შენგან ბოროტი გარეწარი...
თენდება აგვისტოს სამი —
კვლავ მრავალს
დაესწარი!

### ბიჭი — ბიჭია მაინც!

მეკითხებოდა ბევრი:
„ბიჭი გინდა თუ გოგო?! —“
არ ვაყოვნებდი პასუხს:
„ბიჭი და მერე როგორ!“

შვილი — შვილია, თუმცა,
ბიჭი — ბიჭია მაინც:
მისით გრძელდება გვარი,
ჯიში — ავიც და კაიც!

ვარ სამი კვირის დედა,
მყავს სამი კვირის დევი,
ვარ ბედნიერი დაღლით
და ღამეების თევით...

ძლივს გაილეწა ცხრა თვე
დროის კალოზე კევრით,
„ბიჭი გინდა თუ გოგო?!“ —
მეკითხებოდა ბევრი,

მე კი ვიცოდი ნაღდად,
ნაღდად და არა იჭვით,
რომ ქართულ მოდგმას ერთიც
ემატებოდა ბიჭი...

შვილი — შვილია, მაგრამ
ბიჭი — ბიჭია მაინც!
მისით გრძელდება მოდგმა,
ჯიში ავიც და კაიც!

ჩემო მზეო და ჰაერო,
ჩემო პურო და წყალო!
„ნადენო ოქროს მილითა
უკვდავებისა წყაროვ!“

ასე პატარა რომ ხარ,
როგორ ხარ ასე დიდი?!
ხმალ-მუზარადი გაკლია
და ამირანის მშვილდი!

თვალები საცრისხელა
და გოლიათის მხრები!
უნდა კვდებოდნენ შიშით
შენი სამშობლოს მტრები!...

ვარ სამი კვირის დედა,
მყავს სამი კვირის გმირი...
ღმერთო, მიეცი ლხენა!
ღმერთო, აშორე ჭირი!

•

მან უთავბოლოდ რწმენა დახარჯა
და ურწმუნობით დახჯილი დარჩა —
ცდება, ვინც ამბობს:
„ღმერთმა დასაჯა!“ —
ღვთის ფუნქციებში
არ შედის დასჯა!

•

მთლად გამარტივდი,
თუმც არასდროს ყოფილხარ რთული!
გაცარიელდი,
თუმც არასდროს ყოფილხარ სავსე!
ხარ გუდაფშუტა! —
სიბრალულით მევსება გული:
შენ ვერასოდეს გაფრინდები,
ყმაწვილო, ასე!!!

### საქართველო

კვლავ — ავითრიე ნაცემი წელი,
კვლავ — წამოვკრიბე მიწიდან ძვლები,
კვლავ — მომიღერეს სიკვდილის ცელი
და კვლავ...
წარბშეკრულს
მიტევენ მტრები...

•

იმიტომ კი არ გაბია თავი,
რომ უთავობა ტანს არ უხდება,
არამედ მისთვის რომ კუნძზე დადო - .
ჯალათის კუნძზე დადო ეგ თავი,
შენს საქართველოს
რომ დასჭირდება!

•

ხევდას შევეჩვიე, დუმილს, რა ხანია,
ჩემო სიხარულო,
ჩემო მახარია...

მზერა დაღლილია, გული ჩამკვდარია,
ქარი ქრის, თოვლი თოვს,
სულში ზამთარია...

ფრთხილად მეპარება ლანდი მოსისხარი
რწმენისგან ვიცლები,
დროზე მომისწარი...

წუხილს შევეჩვიე, ვწუხვარ, რა ხანია,—
სიკვდილსაც ვეჩვევი,
ჩემო მახარია!

•

დონ კიხოტობას
თუ გადაწყვეტ მაინც და მაინც,
გზას არ გაუდგე,
უბედურო, სანჩოსთან ერთად:
ახლა სხვა დროა,
კუჭის მონა გიმუხთლებს რაინდს,
თუკი აკეთებ სისულელეს,
აკეთე კენტად!

შენ რომ გგონია,
მზეა ირგვლივ, — აგრე როდია!
რატომ ვერ ამჩნევ
საქმოსნისას მრუდ ჩაცინებას?!
ეჰ, დონ კიხოტი —
ყველა დროში დონ კიხოტია,
სანჩოები კი — კარგად გრძნობენ
დროის ცვლილებას!

•

მზემ ნისლის ზეწარი ჰიუხებს მოხადა,
ჭაბუკი ხევსური
ბედაურს მირჩევს...
მინდა სისხლისფერი გადვიცვა ჩოხა და
გავყვე მარულაში
ბიჭებს...

მივქრივართ!
ალპები ჰიატობს ათასფერად,
არაფერს გპირდები!
არაფერს არ დამპირდე!
აგე, იმ მწვერვალზე მწადის გადაფრენა—
პოეტი არ ვიყო,
თუ არ გადავფრინდე!

# მანანა კალიშვილი

# აპრილი

სარკის წინ ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავი და თვალებში ჩაფენილმა სინათლემ განცვიფრებული სიხარული მოჰგვარა. მიდიოდა წვეულებაზე ამხანაგთან და თან ჩუმი უნდობლობა საშველს არ აძლევდა. ამოიხვნეშა, თმაზე ხელი გადაისვა და იგრძნო, რომ თვალთა შუქი ჩაქრა: ჩაიკარგა.

ტალანში ცოლის შემაღლებული ხმა გაისმა. კაცი შეიჭმუხნა. დედის სიტყვას უმცროსი ვაჟის აღგზნებული ლაპარაკი შეენაცვლა, ბიჭმა სათქმელი ვეღარ დააბოლოვა და ილაჯგაწყვეტილი დადუმდა. დედა არ შეეპუა, რაკიღა სიტყვაშემოლეული შვილი არას ამბობდა, მისდგა და მისდგა, თან მაღალფარდოვნებასაც არ იშლიდა.

კაცმა თავზე ხელი შემოიჭირა და კბილებდაკრეჭილმა გამოსცრა.

— როდემდე უნდა ითამაშოს მაღალი წრის ქალბატონის როლი, როდემდე.

ახლა, როგორც გარეშეებზე, უცხოებზე, ისე ფიქრობდა ცოლ-შვილზე. გონებას უმღვრევდა მათი დავა. ქალის ხმა გაპრანჭული ეჩვენებოდა, ბიჭის მეტყველების სილატაკე შელაპარაკებისას მომეტებულად იგრძნობოდა. შვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილ სიტყვებს აბაზანიდან წყლის ჩხრიალი ერთვოდა. კაცი გახელდა, დედა-შვილს შუაში გაუარა, ორივე ხელის კვრით მოიშორა და ქუჩაში გავარდა.

ნერვიული ნაბიჯით გაუყვა გზას. შეეცადა, ცოტა დამშვიდებულიყო. მაღლა აიხედა, ზეცისკენ გაწვდილი ვერხვის ტოტები რომ დაინახა, შვება იგრძნო. მიიკვლევდა გზას მანქანების გრიალში, ნაცნობ მიეთ-მოეთში და ცდილობდა, ცის კალთაზე მიხატული ვერხვის ტოტები მეხსიერებიდან არ წაშლოდა.

იქ, წვეულებაზე, პირველ სადღეგრძელოსთანავე დაუმძიმდა გული. შეჰყურებდა ღვინისგან შეხურებულ მასპინძელს და ცხოვრებაში თავისი უადგილობა აწუხებდა. მოეჩვენა, გაშლილ სუფრას, შემთვრალ სახეებს, მაღალ ჭიქებს წყალი გადაევლო, ყველაფერი წამით დაიბინდა და ნება-ნება ამოჩნდა წარსულის ერთი საღამო. ახლანდელი მასპინძელი მოახლე ბიჭივით თავს ევლებოდა თავის პროფესორს, მიდიოდნენ წყნარ ქუჩებში მოძღვარი და შეგირდი. ცაზე გაკრული მთვარე გაფითრებულ სიკვდილს ჰგავდა. ამხანაგი შინ აცილებდა მასწავლებელს და რაღაცის შოვნას პირდებოდა. პროფესორი ჩამყუდროვებული გამომეტყველებით უსმენდა და გონებაში რაღაცას სწონიდა. გაშტერებული ღამე ორივეს ფეხდაფეხ მისდევდა.

სუფრაზე ჭიქამ გაიწკრიალა და კაცი ფიქრებიდან გამოერკვა. უზომოდ იხარჯებოდა საქებარი სიტყვები. შენ, ქართულ კულტურას მნიშვნელოვანი გამოკვლევა შემატე, შენი წვლილი, ნაღდი კაცობა... სტუმარმა პერანგის ღილი შეიხსნა. შეკრებილებს თვალი გადაავლო, ენის წვერზე ეკიდა ყვირილი, მაგრამ გრძნობდა, რომ გამტკიცებული გაუბედაობა ახლაც გადაარჩენდა. ისევ თავაზიანი ღიმილი შეეშველა.

მასპინძელი მოზომილად მხიარულობდა. კაცი გრძნობდა, რომ თანაჯგუფელი ხვალიდან ყველას სამაგიეროს გადაუხდიდა, ვისაც ებოდიშებოდა, ეხათრებოდა, ეპირფერებოდა. გრძნობდა, რომ სუფრის ალაგებისთანავე უქონელ ღირსებაზე დაიწყებდა ზრუნვას, ვაჟკაცობის ანა-ბანასაც შეისწავლიდა. დაძაბულობამ, ღვინომ გაბრუა და ყველაფერი აირია. მეცნიერებაში ფონს გასულმა მასპინძელმა უცებ თვალი გაუშტერა თანაჯგუფელს, თითქოს აფრთხილებდა, ურიგო არაფერი ეფიქრა.

ვიღაცამ სახელოზე დაქაჩა. ჯუანშერ, აქეთ მოიხედეო, — თავი მიიბრუნა და ყველა სტუმარი მასპინძლის გამრავლებულ სახედ წარმოუდგა. გონს მოვიდა. თვალწინ დაუდგა აქეთ წამოსვლისას ცაზე მიხატული აკანკალებული ვერხვის ფოთლები. სკამიდან წამოიწია და გაიფიქრა: ჯერ კიდევ კარგად ვარ, ჯერ კიდევ რაღაც არ დამიკარგავს.

●

შინ დაბრუნებულმა დაინახა, ტახტზე მიწოლილი უფროსი შვილი წიგნს კითხულობდა. გული დაუამდა და ღიმილმა ბაგე გადაუხსნა. იმ წუთს წვეულებაც და იქ მყოფთა შემაღლებული ხმებიც ჩამოეცალა. არაფერი უკითხავს შვილისთვის, ჩუმად ჩაუარა გვერდით, საწოლ ოთახში შევიდა და ბალიშში ჩაემხო.

მთელი ღამე სიზმრებში დაცურავდა. ქარით გაბერილი ღრუბლები შებოლილ ცაზე გარბოდნენ, ქარი ერთმანეთში რევდა სახეებს, სიტყვებს. უცებ ყველაფერი შედგა და ცივმა, უგულო ხმამ გაფლითა მკვრივი ნისლი. „ნუ დაჰწერ მეუფედ ურიათა, არამედ ვითარმედ მან სთქვა. მეფე ურიათა ვარ მე. რომელი დავჰსწერე, დავჰსწერე."

გაღვიძებისთანავე შენიშნა, სიზმარს წითლად დაეფორაჯებინა მისი მკერდი. წამოდგა, საბაზანოსთან გავლისას ცოლის აწეული წარბი თვალში მოხვდა და გუნება გაუფუჭდა. გული აუმღვრია იმის გაფიქრებამ, რომ ამ ქალმა ყველაფერი შეისრულა, დამკვიდრდა ქალაქში, ბევრი ივაგლახა, ბევრი იშავდღევა და თავი შეართვევინა. წინდაწინ ნაგულისხმევი ჰქონდა, შვიდი წლის მერე რას გააკეთებდა, რას მოიპოვებდა. გაახსენდა, ამ ქალის, უწინ კი გოგონას ხილვისას როგორ



მოიხიბლა მისი მორცხვი ღიმილით და დაბლა დახრილი წამწამებით. ახლაღა მიხვდა, რომ ამ ღიმილს რაღაც ანგარიშისმაგვარი დაჰკრავდა. ცოლის აწეული წარბი უკვე კარგად ნავარჯიშები ქცევის საბოლოო დასტური გახლდათ. კაცი აირია. უწმაწური სიტყვა მოადგა ენაზე. ახლა გულმოსული იყო თავისთავზე, მეზობელზე, მოკეთეზე, გარეშემყოფთა ცხოვრებისეულ წარმატებაზე. მოეჩვენა, რომ ყველასთვის ურგები იყო და ახლა წყრომას წუხილიც ზედ დაერთო.

ქუჩა, სახლი, სასწავლებელი — ყველაფერი პირმოთნეობას გადაეღება. ცრუ ფიცით, ცრუ დაპირებით დაკაწრული, წათელილი ცხოვრება მიედინებოდა და ადამიანთა სევდა, შფოთი არაფრად ულირდა. გამოღვიძებულ ბიჭებს ჯუანშერმა ეჭვიანად შეხედა, შეეცადა გაეგო, წესდაკარგულმა ცხოვრებამ რაოდენ დააზარალა ისინი. ნოყიერ საუზმეს დახედა და ისევ ბრაზი წაეკიდა გულზე. ცოლს მასზე დიდი ჯამაგირი ჰქონდა და კაცს სულ ეჩვენებოდა, რომ ამ ქალის მედიდურობა ფულის ბრალი იყო. უმცროსი ბიჭი უსტვენდა და თან ძეხვის მოზრდილ ნაჭერს პურს უმარჯვებდა.

— უსტვინე, უსტვინე, ლაპარაკი მაინც არ გეხერხება, — შეაგება მამამ. ბიჭი წამით დაყოვნდა. სტვენას ცოტა გაოცებაც გაურია. უხეშო ჭექხონი თავგამოდებით მღეროდა და უფროსი ვაჟი გაფაციცებით შესჩერებოდა ტელევიზორს.

— გაჩერდებით თუ არა, — დაიძაგრა მამა და ხელები მომუშტა. მე მითქვამს, სიწყნარე იყოს ოჯახში, სიწყნარე მეთქი.

— რა ბუზმა გიკბინა დღეს, — დოინჯი შემოიყარა ცოლმა.

— ბუზმა არა, — ამოიხრიალა კაცმა. ბორჯომის ბოთლს დასწვდა და ქალისკენ გააქანა. ბოთლი კედელს მიეფშვნა. საბედისწეროდ აპრიალდა მჭრელი ნატეხი შუშისა. ქალი გაფითრდა, რაღაც საწყალობელი იერი დაედო და მხრებჩამოყრილი, ჩუმი ტირილით აკანკალებული საბაზანოში შევიდა. გაურკვევლად მიაჩერდა ლურჯწერტილიან ონკანს. გაახსენდა კოინდრით ახასხასებული ეზო, იგრძნო ახლადამოყვანილი ყველის სუნი, დაინახა დედის ცომიანი ხელები და მწარედ ატირდა. ტიროდა მთელი გულით, ცრემლში აქსოვდა მონატრებას ბავშვობისას, სახლ-კარის სიყვარულს. იმ წუთს ყველა შეთვისებული ჩვევა ჩამოეცალა, იმ წუთს ძალზე მიმზიდველი და გულმართალი იყო.

●

ჯუანშერმა ცოტა წაიხემსა. თან ლუკმა ყელზე ადგებოდა, როცა გაახსენდებოდა, რომ სახვები ცოლის ფულით იყო ნაყიდი. გადათვალა თავისი ჯამაგირი, კიდევ ერთხელ შეამოწმა, რას გასწვდებოდა მისგან ნაშოვნი თანხა და როცა სამხაზველო დაფა, ტუშის კალმები, საშლელი დაუდგა თვალწინ, ნერვიული მთქნარება აუტყდა. უმცროსი ვაჟი აღარ უსტვენდა, მადიანად ილუკმებოდა და თან ჩუმ-ჩუმად მამისკენ აპარებდა თვალს. უცებ კაცს საქმეზე საუბარი მოეხურვა, სახეზე ყურადღება გამოესახა და ხამუშ-ხამუშ თქვა.

— გადაწყვიტე, საბოლოოდ სად უნდა ჩააბარო?

ლუკმით პირგამოტენილი ბიჭი ცოტა შეყოვნდა, მერე თავისუფლად წარმოთქვა.

— როგორ თუ სად? იურიდიულზე.

— ჰმ, იურიდიულზე, არა? კარგად რომ გაიწვრთნა ხრიკებში, არა?

მამა დაიძაბა, თვალებში ავი ზრახვა ჩაუგუბდა, ბიჭი მიხვდა, რომ უნდა დადუმებულიყო. იცოდა, შვილი ცხოვრებას უკეთ მოიწყობდა, კეთილდღეობას დაეპატრონებოდა, არ შელონდებოდა მცირე ხელფასით და ცოლის წინაშეც თავს დამდაბლებულად არ იგრძნობდა.

— ჰმ, ყველა გონებადახშული რომ იურიდიულზე მიიჩქარის, მთავარია მაგარი მუშტი გქონდეს, რომ პატიმარს ცხვირპირიდან სისხლი ადინო. — კაცი გრძნობდა, რომ სადაცაა გონს გადავიდოდა და ჯავრს იყრიდა თავის უგერგილობაზე, უნდილ ბუნებაზე.

— თქვენთან გამჩერებლის დედაც ვატირე, — ამოიგმინა და სასწრაფოდ ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა.

ქუჩაში რომ გამოვიდა, მისდა უნებურად, თანაჯგუფელის სახლისაკენ აიღო გეზი. მიდიოდა ახლა უკვე დაწინაურებულ კაცთან, ქეიფის წყალობით ხვალ თუ ზეგ მასზე დაწერილ სადღეგრძელოსავით სტატიას რომ წაიკითხავდა პრესაში. თავდაუზოგველად მიიჩქაროდა, სურდა, სასწრაფოდ შეეყროდა უსიამოვნებას, სურდა, კიდევ ერთხელ ეწვნია იმედგაცრუება, კიდევ ერთხელ შეეგრძნო სიყალბე. გამწარებული გარბოდა, რათა საბოლოოდ დამიწებულიყო მისი შეუგუებლობა დროსთან, გამოგონილ ცხოვრებისეულ სიმართლესთან.

— ცუდად ვარ, — ამოიკვნესა და ხეს მიეყრდნო, — ცუდად ვარ, — მეტი რწმუნებით თქვა ვიღაცის გასაგონად.

●

მაგიდაზე შოთი პურები ელაგა. ჯუანშერს პურის დანახვაზე გუნება გამოუკეთდა და გატანჯული ღიმილი გადაეფინა სახეზე.

— კარგია, რომ მოხვედი. — დინჯად თქვა ამხანაგმა.

მაგიდასთან უცნობი იჯდა. ვალგასტუმრებული კაცის გამომეტყველება ჰქონდა და ჯუანშერმა მის მზერაში აწონილ-დაწონილი საქმის სიყვარული ამოიკითხა. მასპინძელი გამორჩეული ყურადღებით ეკიდებოდა უცნობის ყოველ სიტყვას. ახლადგაცნობილმა, ვითომც უგულისყუროდ, თავის პროფესიულ აღმავლობაზე ისაუბრა, ისე საყველპუროდ ახსენებდა ცნობილ გვარებს, ამან ეს მომიძღვნა, იმან ისო. იმ კრებულს ჩემი შრომა ვუსახსოვრე, ვნახოთ, რამეს თუ გაიგებსო. კარგ ადგილზე ზის და გინდა თუ არა, უნდა მეჩუქებინა, აბა რაო. ამხანაგმა რამდენჯერმე ამრეზით გადახედა ჯუანშერს. შემოსწრებულმა იგუმანა, რომ მასპინძელს მისი სტუმრობა არ ეპიტნავებოდა და ამის გაფიქრებამ უცებ გაახალისა, უფრო კარგად მოეწყო სკამზე, შესწორდა და ნიშნისმოგებით შეათვალიერა ორივენი. სტუმარმა მოულოდნელად ჰკითხა:

— დიდი ბინა გაქვს?

— საშუალო სიდიდის ბინა გვაქვს. — სხარტად, კომკავშირელი აქტივისტივით მიუგო ჯუანშერმა.

— მე კი სამზარეულო წინ გავწიე, გადავტიხრე და იქ კაბინეტი მოვიწყვე. შენ უცხო ენების მასწავლებელიც გეყოლებოდა ბავშვობაში.

— რატომაც არა, გვყავდა, ალბათ სახეზე მეტყობა არა კარგი აღზრდა. — ხალისიანად პასუხობდა ჯუანშერი.

დამშვიდობებისას ამხანაგსა და მის სტუმარს თავი მდაბლად დაუკრა და სიცილ-სიცილით წამოვიდა იქიდან.

შინ რომ დაბრუნდა, უცნაურად აფოფინებულ ცოლს ავი თვალით შეხედა. მისი გულამოჭრილი, სხეულზე შემოტმასნილი შავი კაბა ცუდად ენიშნა.

— რაშია საქმე? — იკითხა დაგუბული ხმით და ქალის მაღალ კისერს თვალი არ მოაშორა.

— ზეინაბთან მივდივარ სტუმრად, თუ გინდა, შენც წამოდი, ოღონდ პიჯაკი გამოიცვალე.

— თუ მინდა, არა! პიჯაკის გულისჯიბეში შინდისფერი თუ ლიმონისფერი ცხვირსახოცი ჩავიფინო, რას მირჩევ?

ქალმა მხრები ჩამოყარა და გულგაწყალებულად ამოიოხრა.

— მოეშვი პამპულობას, მოეშვი მეთქი.

●

ოდნავ დარწეული ნაბიჯით, გვერდზე თავგადახრილი მიჰყვებოდა ახალგაზრდა ქალი ქუჩას. მის სისადავეს, ძლივსგამკრთალ ღიმილს, გონიერ თვალებს სრულიად არ ესადაგებოდა თავაწყვეტილი, ბოჰემური ცხოვრების ტრფიალი კაცის სიყვარული. ქალაქში ჰყვებოდნენ ცნობილი კაცის რისკიან თავგადასავლებზე. უქებდნენ გამოხედვას, მოქნილობასა და ხელნაწერებად გავრცელებულ თრობისმომგვრელ ლექსებს.

ახალგაზრდა ქალი ჯუანშერის გვერდით ესახლა და ერთი მყუდრო, სისუფთავით გამორჩეული აფთიაქის გამგე გახლდათ. ქალს უყვარდა წამალი ასპირინი, რადგანაც მხოლოდ ერთხელ შემოაბიჯა ამ გაკრიალებულ, წარწერებით დამშვენებულ წამლების სამყოფელში კუნთმაგარმა, ქარბუქივით ძლიერმა კაცმა და ასპირინი იკითხა. მას მერე ბევრმა წელმა ჩაიარა, მაგრამ ამ წამლის ხსენებაზე ქალი ყოველთვის შეკრთებოდა ხოლმე.

ჯუანშერმა არაფერი იცოდა ქალის გრძნობებისა. თვალს შეასწრებდა თუ არა მის გულისხმიერ მზერას, უსიამო განწყობილება გულიდან გადაეყრებოდა. ერთხელ ისე, თავისთავის საშველად, გაიფიქრა, რომ მეზობელი ქალი უყვარდა. გაიფიქრა და დაავიწყდა გარეშემყოფთა მომგებიანი გამოხედვა, ანგარებიანი პატივისცემა, გამოსადეგი კაცურკაცობა.

ბრუნდებოდა საპროექტოდან ცოტა ფერნაცვალი, ცოტა გაახალგაზრდავებული და თვალწინ ედგა წამლების ყუთზე გამოსახული წითელი ჯვარი. რატომღაც გაიფიქრა, რომ ჯვარი საოცნებო ქალის ცხოვრების ნიშანი გახლდათ. ჯიუტად გაიქნია თავი და იმ წუთს გადაწყვიტა ეხსნა ქალი წითელი ჯვრის ტყვეობიდან.

ქალი კი საღამოს შალმოხვეული იჯდა ტელევიზორის წინ და დედის წინდებს კემსავდა. თან აგონდებოდა თბილისური თბილი ზამთარი, როცა ერთ დღეს დედამ შინ ჩაკეტა მთელი დღე და ღამე. გათენებისას დაბრუნდა, იჯდა მაგიდასთან დამნაშავესავით და ართქლიან ჩაის ჭიქას სულს უბერავდა. დედა შვილისკენ ვერ იხედებოდა და ხელის კანკალით ჭრიდა პურს. მას მერე მთელი ბავშვობა ვერ მოიშორა შიში, იდგა მაგიდასთან და სულ ეჩვენებოდა, საცაა ვიღაცა ფეხში სტაცებს ხელს და მარწუხებივით თითებს მოუჭერს. ახლა, დედის წინდების კემსვისას, ზამთრის დილა გაახსენდა, სამახსოვროდ შიში რომ დაუტოვა. ქვეშ-ქვეშ გახედა მოხუცებულს და გამომცდელად ჰკითხა.

— მამაჩემი რა კაცი იყო?

მოხუცებული ღრმა ძილიდან ერთბაშად გამოერკვა, თითქოს სახეში შუქი შეანათესო, ისე მოხუჭა თვალები და ძლივსგასაგონად თქვა:

— გეოლოგი იყო, ნათესავად მერგებოდა.

შვილს შეამცივნა და თავისდაგასაკვირად წყნარად თქვა.

— თქვენისთანები რისთვის აჩენენ ცოდვის შვილებს, ჰა? — ეს „ჰა" მათრახივით გადაეწნა დედის ბეჭებზე და გაქვავდა.

●

შეამჩნევდა თუ არა ფარმაცევტი გოგონას ეშმაკურ ღიმილს, გული ტკივილისაგან ეწურებოდა. შედგამდა თუ არა ფეხს პაწაწინა სასწორებით, შუშებით, ფირფიტებით, ქვიშის საათით სავსე ოთახში, სიცილი, საუბარი მაშინვე მოისხიპებოდა და აფთიაქის გამგე დუმილის ამარა რჩებოდა. სულ ცდილობდა, რაღაც გულგასართობი ეამბნა თანამშრომლებისათვის, მაგრამ დაიწყებდა თუ არა ლაპარაკს, ყველა ისე უსმენდა, როგორც მომაბეზრებელ მოხსენებას.

ერთხელ, უცაბედად თქვა, რომ მისი ყოფილი ქმარი ხშირად თევზაობდა. შეძახილივით მოეყურა ყველას აფთიაქის გამგის ხმა.

— თქვენ ქმარი გყავდათ? — გაოცება ვერ დაფარა ეშმაკურთვალებიანმა გოგონამ და მაშინვე სახე სერიოზული გაუხდა.

— მყავდა და გამეყარა, — თქვა უხალისოდ გამგემ.

— პირველად მესმის, ქალი ამბობდეს, გამეყარა და არა გავეყარეო.

— ჰმ, ასე იყო და... — მხრები აიჩეჩა ქალმა.

ყველა მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილი იჯდა.

— თქვენ ისე შემომცქერით, თითქოს არა გჯერათ.

— არა, რატომ, — მოიბოდიშა ერთმა და ფრთხილად იკითხა:

— ვინ იყო?

— იყო ერთი, არც ცნობილი, არც პოპულარული, სახელი და გვარი ვერაფერს გეტყვით, თუ გნებავთ, ერთხელ გაჩვენებთ.

— როგორ, ამხანაგური დამოკიდებულება გაქვთ ყოფილ ქმართან!

— დაახლოებით მასეა.

— ეგებ იმის ცოლს მურაბის გაკეთების გამოცდილებას უზიარებთ. — არ ეშვებოდა უჩვეულოდ გახალისებული ფარმაცევტი გოგონა.

— როგორ მეჯავრება ეგეთი რუსული კომპოტი, — გამომწვევად თქვა საუბარს შემოსწრებულმა მოლარემ.

●

გამგე დაღონებული მიდიოდა შინისაკენ. ელავდა თანამშრომელი გოგონას ღიმილი და ქალს ეჩვენებოდა, გოგონას სიხარულით აურიამულებულ თვალებს აჯობა.

საღამოს მოაკითხა ჩვეულმა მოწყენილობამ. ახალგაზრდა ქალი ისევ დედის წინდებს კემსავდა და თან ულიმღამოდ ჩამდინარე ცხოვრებაზე ფიქრობდა. ნემსის წვერზე საყვედური იჯდა და საცაა გახმიანდებოდა, დააფრთხობდა მოწყენილობას.

ვიღაცამ დააკაკუნა. ახალგაზრდა ქალი შესწორდა, თავაწეული გაეშურა კარისკენ.

— მაპატიეთ, ხომ ვერ მიწამლებთ რითიმე? — გაისმა მამაკაცის ხავერდოვანი ხმა. მის წინ იდგა გვერდით შენობაში მოსახლე წვრილშვილის პატრონი კაცი და ოჯახის ტვირთის სიმძიმე გამოხედვაში ეტყობოდა.

— ასპირინი ხომ არ გინდათ? — წამოსცდა ქალს და მიხვდა, რომ პირველად დასცინა თავის გრძნობასა თუ სიყვარულს.

— თქვენი სახელი? — მზრუნველად იკითხა კაცმა.

— ელო. — სიტყვა მოკვეთა ქალმა.

ჯუანშერს უცებ გაახსენდა ძველი წიგნის თავფურცელზე დაბეჭდილი წარწერა. „ვუძღვნი ჩემი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს — ელო ანდრონიკაშვილს, „უბედური რუსი".

„ეს რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ყოფილიყო, რა იქნებოდა მაშინ?" — გაუელვა კაცს.

ელოს სახე უცებ გადასხვაფერდა, რაღაც აზრმა გაუნათა თვალები, ხმაში სილბო ჩაეღვარა და თქვა:

— ძალიან გაგიკვირდებათ, მაგრამ მაინც უნდა გთხოვოთ, წამომყევით აფთიაქში, ვითომც ჩემი ყოფილი მეუღლე ხართ.

კაცი გაშრა, დაიბნა.

— აფ-თი-აქ-ში, ყოფილი ქმარი! — გაურკვევლად ლუღლუღებდა ჯუანშერი.

— თანამშრომლებს შევპირდი, — არ ჩერდებოდა ელო.

— იცით, სიკვდილის გუნებაზე მაყენებს სიტყვები: ნასოფლარი, ნასახლარი, ნასაყდრალი და... ცოტა შეყოვნდა, მერე ნაჩქარევად დაუმატა — ნაკაცარი.

●

გონებაარეული, გაწბილებული მოდიოდა ვერის ბაღისაკენ. იქ საჩრდილობელი მონახა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე. სული მოითქვა, პერანგის საკინძე შეიხსნა და ფიქრებში ჩამყუდროვდა. მწყერჩიტასავით აუფრინდა თვალწინ ბავშვობა. გაახსენდა, იქით, ბაღის განაპირას, ყურძნის გრძელი ტალავერი რომ გაშლილიყო. გაახსენდა, საღამოხანს ნათურებით აციმციმებული ვაზის ფოთლები და ბავშვების თავბრუდამხვევი ტრიალი რკინის ბოძის ირგვლივ. საზაფხულო კინოთეატრიც წარმოუდგა, ხის მაღალი ღობითა და ჩუქურთმებით დამშვენებული. გაახსენდა, გაზაფხულის სიგრილით ავსებული ჰაერის სილბო და აქ ნანახი ფილმები — „ქეთო და კოტე", „ოქროს სიმფონია", „ყველაფერი ევას შესახებ". ჰადრის ხე ყოველი მხრიდან ძელსკამით იყო შემოკავებული. თბილად ჩაცმული პენსიონერები ჯგუფად ისხდნენ. ერთი გარინდებულსახიანი კაცი ბილიკს გასცქეროდა და დომინოს ქვების ჰახა-ჰუხი არ ესმოდა. ცოცხალთვალება მოხუცს ლაპარაკის სადერღელი აშლოდა.

— კლიმენტი, პოლიტმომზადების ხუთშაბათები როგორ გაგიუქმეს, — გარინდებულმა მოხუცმა მძიმედ მოხედა.

— კლიმენტი, ლენინიზმის პრინციპებით რომ ვეღარ მიუდგები ხელოვნებასა და ლიტერატურას, რაღა გეშველება თუ იცი, იქნებ უკვე ახალ დროებაში ჩაეწერე, ახლებურად ააჟღერე ჩანგი. — დაეჭვდა მოსაუბრე. დომინოს ქვებს ჰახა-ჰუხი გაჰქონდა.

— კლიმენტი, ერთხელ მაინც გეთქვა პილატესავით, რაც დავწერე, დავწერე.

— ვინაა შენი კლიმენტი, — წამოიყვირა გარინდებულმა.

ჯუანშერს რაღაც ენიშნა, რაღაც გაახსენდა ბუნდოვნად. წამოდგა, ფეხარეული მიჰყვა ბაღის ბილიკს. ძველ ხავსმოკიდებულ კედელს მიუახლოვდა, მთელ სხეულში იგრძნო იმ კედლის სიგრილე და სიმყარე, ცოტა გუნება გამოუკეთდა. გადასასვლელთან დანანებით შეავლო თვალი იმ ადგილს, სადაც უწინ ტრამვაი უხვევდა. მოეჩვენა, უცხო მხარეში გამოეღვიძა, და ვერ გაარკვია, რომელი იყო ცხადი, რომელი სიზმარი. მოეჩვენა, ტრამვაიმ გადაიგრიალა და უცებ გადასხრიხა, რასაც აქამდე თავისდაუნებურად, შეუმჩნევლად ელოლიავებოდა, იცავდა და ინახავდა. გზადაკარგული, დაბნეული მოდიოდნენ ზოგიერთნი, სხვანი დიდების მიკრობით დაავადებულნი თავის მსგავსს საერთოდ ვერ ამჩნევდნენ. მარიფათიანები თვალების ცეცებით მოარღვევდნენ ქუჩას. მავანნი გაშმაგებით ჟგებდნენ კარიერის მტკიცე ზღუდეს და ზღუდის მიღმა ტალახიან ნაფეხურებს ტოვებდნენ. ტრადიცია და იერდაკარგული ქალაქი ვერ იხდენდა სხეულზე დაყრილ ნამუსრევს. უცებ ჯუანშერმა ქუჩის აყალ-მაყალში დაინახა ცხრა წლის ბიჭი და მისკენ თავდახრილი მოხუცი ქალი. ბებია გულისყურით უსმენდა ბიჭს. ამდენ ბოღმიან, ცხოვრებისაგან მოწამლულ სახეებს, ხმაურს, ზრიალს გამოეპარა ბავშვის ანკარა ხმა და ხნიერი ქალის ფაქიზი მზერა. ბიჭი მონდომებით აბარებდა გაკვეთილს ბებიას და ცდილობდა. ყოველ სიტყვას მწერლისეული გულისთქმა არ დაჰკარგვოდა. ჯუანშერმა გარკვევით გაიგონა ბიჭის ნათქვამი: „დიდს აღმართს დიდი თავდაღმართი მოსდევს. ხანგრძლივ გვალვას ხანგრძლივი წვიმა მოჰყვება ხოლმე. დიდი სიხარული ხშირად დიდ სიმწუხარედ იცვლება ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრებაში".

ჯუანშერი გულდაწყვეტილი, დაღონებული შეჰყურებდა ბებიასა და შვილიშვილს. ხედავდა თავის თავს, ახსენდებოდა, როგორ დაჰყავდათ რიგრიგობით დედას, მამას, ბებიას მუსიკის გაკვეთილზე, მუზეუმში, თეატრში დილის წარმოდგენებზე, ცირკსა თუ ზოოპარკში. მიხვდა, რა მწარედ გაუცრუა ყველას იმედი. დარშიც და ავდარშიც აღევნებული ჩრდილი უიღბლობისა, ახლა განსაკუთრებით აწუხებდა.

●

გაზაფხული ფეხის წვერებზე შემდგარი მოიპარებოდა. ჰაერში გაიკაშკაშა მისმა საქორწილო კაბამ. ერთ წამს საგაზეთო ჯიხურში გამოფენილ შიშველი ქალის სურათს გააკანკალა. გაზაფხულის ჩუმი თრთოლვა კრძალვით, მალულად ედებოდა ქუჩებს, სახლებს, ადამიანებს და სდევნიდა დარდს, უგუნებობას. საღამოს გაზეთი ახალ ამბავს იუწყებოდა. უმაღლესში შესვლის ერთადერთი კრიტერიუმი — ცოდნაა.

# დოდონა კიზირია

## დაბადების დღე

*ვარ მოწყენილი...*
ვ. გაფრინდაშვილი

გარეთ ცრის და ნისლი ნაზად იზმორება,
ეფხრიწება ხეებსა და სახურავებს.
მე ოთახში ბოლთას ვცემ და ვიმეორებ,
— ამ წვიმაში ვინ მოვა ჩემს სანახავად?!

ქარმა მაინც შემოაღოს კარი,
მეხი მაინც შემესიტყვოს, იგრიალოს.
რატომ გახდა ღვინო ასე მწარე,
ანდა ფოსტა ასე რატომ იგვიანებს?!

ნეტავ თუა სულიერი მზის ქვეშ,
ჩემზე უფრო მოწყენილი, დარდიანი.
ნეტავ თუა ქვეყანაზე ფიქრი
ან ამინდი, ჩემზე უფრო ავდრიანი.

## მთვარიანი ღამე

როგორც მინდვრების მძიმე თაიგულით,
ამევსო მკლავები დარდით,
ფიქრებმა ისევ მარტო დამიგულეს
და მზერას ხილვებით მიბარდნიან.
მთვარემ სანუგეშოდ
გადმომიგდო ვერცხლის ნაწნავი
და არ მეშვება,
თავისთან მიწვევს.
მე კი ვეღარსად წავალ,
დამიუძლურდა სურვილები
ერთდროს ფეხმარდი.
აი, შემომხედე,
ვარ ტკივილით სავსე,
როგორც აქილევსის ქუსლი,
ისარმოხვედრილი.

●

მე შენი ვიყავი პარასკევა,
იმ პარასკევს
და ვისწავლე ლაპარაკი
ქაფიან ტალღებში მოსრიალე
დელფინების.
მე დაგეფინე,
როგორც ზალიჩა ხასხასა ხავსის
და ავივსე
შენი კუნთების გლუვი სიმძიმით.
მე მძივებივით
გულმკერდს მოგეფანტე,
ჩემი სახქლით ხმაგაფატრულს
და უკანასკნელი ტკივილივით სანატრელი
შენი ვიხილე სახე,
არვისგან ნანახი.
მე შენს ხუნთქვაში ჩავიმარხე...
და იყო დუმილი,
როგორც მეჭვიდე კარიბჭის საიდუმლო.

## სიზმარი

რომანტიული ფერმკრთალი [illegible]
სიზმრებს მინათებს
და ცრემლად იღვენთება.
წკრიალა მინა ოქროსფერი ღვინით
ივსება
და ზანტი გონება
მოგონებებს
ნატრობს და უხმობს.
მე მარტოობის მარწუხები
აღარ მაწუხებს,
აღარ მაკრთობს ღამის სიბნელე,
ვარ ოცნებებით განბანილი
და სევდის ნაკადს,
როგორც აკვანს
ვარწევ ნელ-ნელა.
სიჩუმე დადის ფეხაკრეფით,
ფიქრებს მიფერადებს
შავად და თეთრად, ირხევიან თხელი
ფარდები.

ფრთებს აშრიალებს,
ფარფატებს ნაზად კოპწია ალი
და ბნელ კადელზე იდუმალი ჩრდილთა
ფრიალი
მისნურ წარწერებს დაუღლელად
მინთებს და მიხაზავს,
რომ ამოვიკითხო ხარვეზები
ჩემი ცხოვრების.
ნაფერებ თხოვნებს
თურმე უნდა გამოვეთხოვო,
საბედისწერო ნიშნების რიგს
ცნობილობს თვალი:
აი, წარსული, აი, აწმყო, აი, მომავალი.
რა შორი სავალი...
რა ძნელი სავალი...
რა მძიმე ვალები...
შაგრენის ტყავივით დალეულა ჩემი
სიცოცხლე.
სურვილების ცეცხლს
დაუდნია და დაუცრეცია,
მცირელა დამრჩა ჩასარბენი დაბლა
დამრეცი,
მალე დავეცემი.
ვერ მივაღწევ სასურველ ნაპირს,
ვერ შევასრულებ მრავლად დანაპირებს
და ბედის ჩანაფიქრს
უდარდელი დრო სწრაფად წაშლის.
ქალი თმაგაშლილი
ქვას დაეყრდნობა და შემიცოდებს.
ჩადენილ ცოდვებს
მაპატიებს ალბათ უფალი.
სხვა კი, რა ვიცი...
რომანტიული ფერმკრთალი სანთელი
აღარ ლიცლიცებს,
აღარ ტირის,
ჩამქრალა უკვე,
გამქრალა უკვე
ოქროს შუქი წკრიალა მინის.
დაუკრეს ბუკი...
დღე შეძახის
და ისევ ვიღვიძებ.

●

ნეტავ შემხვედროდი ორი წუხილით ადრე,
ო, მეყვარებოდი როგორი ელვებითა და გაავდრებით!
როგორი ცეცხლი, რა ვნებები დაცამლეწავდა,
და ჩემს ოცნებებს კალოსავით გაგილეწავდი,
რა პირველი და დაუვიწყარი იქნებოდა ჩვენი დაწყვილება,
იმედები რა გულუხვი და ბრწყინვალე!
დაუხარჯავი მოგონებათა დარდით და სინაზით,
რა ბროლის კოშკებს აგიშენებდი ოქროს სილაზე.
რა შემზარავი, ვერგასაძლები იქნებოდა ჩვენი დაცილება!
ჩემს მძვინვარებას ემსხვერპლებოდა შენი სიცილი,
და ყელს რა სისხლისფრად ამოხდებოდა შენი სახელი,
გულს რომ ქარქაშად მოირგებდა რკინა მსახვრელი...,
რომ არ მქონოდა თმაში ჭაღარა ნაადრევი,
რომ შემხვედროდი ორი წუხილით ადრე.

●

ჩემი დაცარიელებული ტანსაცმელი
დანაცრულ ქვიშაზე წაქცეულა,
თითქოს მოუცელავს განსაცდელს,
მე კი ეტლივით მიმაქროლებს ტალღა,
ელტვის ჰორიზონტს დაუღლელი
და შალალი,
როგორც შეკივლება.
მე შიშველი მკლავებით .
მის ლილისფერ ფერდებს
ვეფერები
და ვებრძვი სიცივეს, როგორც სიბერე
ებრძვის სამყაროს...
სტუმართმოყვარედ

გაპობილა ნაპრალის ზახა,
ლამობს დამანახოს
სიზმარივით ნელი ქვეყნები.
მე კი საშველად ზედაპირს ვეყრდნობი
თხელი იდაყვებით
და ფაფარაყრილი ჩემი ტალღა —
ნავი უნაყოფო —
მიჰქრის და მიმაფრენს.
ხმელეთს ვშორდები,
ხმელეთი მშორდება
და ძახილი შორი,
თითქოს მოსთქვამს და მემშვიდობება,
მილოცავს გზებს
და თან მანიშნებს, რომ ჩასულა მზე
და განსაცდელი მიახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირთულის მშვენიერება

„ანდაზების არაკების“ პირველი გამოცემა

## თეა შურღაია




„სპარსული თავისი მარტივი და ლოგიკური გრამატიკით უცხოელებისათვის გარკვეულწილად სასწავლად იოლი და სასიამოვნო ენაა. ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის თვისება, რომელიც ასე გამომხატველსა და ლამაზს ხდის მას, კერძოდ, იდიომების, გამოთქმებისა და ანდაზების სიუხვე“,— წერდა ინგლისელი მეცნიერი ფ. რ. ბეგლეი ამირ ყოლი ამინის კრებულის „დასთანჰაიე ამსალ“ მესამე გამოცემისათვის დართულ შესავალ წერილში. როგორც ჩანს, ერთი მხრივ, მომხიბვლელობა და, მეორე მხრივ, სირთულე განაპირობებდა როგორც ირანელი, ასევე უცხოელი მეცნიერების დაინტერესებას სპარსული ანდაზებითა და ფრაზეოლოგიით. ეს ინტერესი მეცნიერულ ანალიზთან, ერთად, რასაკვირველია, სათანადო მასალის შეკრებასაც გულისხმობდა. ირანში, ისევე, როგორც მის ფარგლებს გარეთ, სპარსული ანდაზების, ანდაზური თქმებისა და იდიომების არაერთი კრებულია შედგენილი. უმეტესობაში მასალა წარმოდგენილია სათანადო განმარტებებით, მითითებულია ამა თუ იმ გამოთქმის გამოყენების ადგილი ან ამბავი, რომელსაც იგი უკავშირდება (ამგვარად ხდება ხოლმე ზოგიერთ კრებულში ანდაზის ან იდიომის მნიშვნელობის ილუსტრირება). ერთ-ერთი ასეთი კრებულია ამირ ყოლი ამინის „დასთანჰაიე ამსალ“, რომელიც პირველად 1945 წელს გამოიცა. მოგვიანებით განხორციელდა ამ კრებულის მეორე (1954 წ.) და მესამე (1972 წ.) გამოცემები.

სპარსული პოეზიისა და პროზის არაერთი ნიმუშია თარგმნილი ქართულ ენაზე. ქართველი მკითხველი იცნობს სპარსულ ზღაპრებსაც. სამწუხაროდ, ასეთივე ყურადღებით არ სარგებლობდა ჩვენში ანდაზები და იდიომები. შეიძლება ითქვას, სწორედ ამირ ყოლი ამინის ზემოხსენებული კრებულის ქართული თარგმანის მეშვეობით გაეცნო ჩვენი მკითხველი პირველად ირანში გავრცელებულ პოპულარულ გამოთქმებს, ანდაზებს და მათთან დაკავშირებულ არაკებსა თუ ამბებს (თუმცა, ამგვარი მასალა გაბნეულია იმ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ ძეგლებში, რომლებიც, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, ითარგმნებოდა ქართულ ენაზე).

1989 წელს გამომცემლობა „საქართველომ“ დასტამბა ამირ ყოლი ამინის „დასთანჰაიე ამსალ“-ის ქართული თარგმანი, შესრულებული ნინელი თარგამაძისა და რეზო მიქელაძის მიერ. ანოტაციაში ნათქვამია, რომ „წიგნი დაეხმარება მკითხველს, უკეთ გაიგოს ამა თუ იმ გამოთქმისა და იდიომის ძირეული მნიშვნელობა, ზუსტად გაიაზროს ის სიტუაცია, რომელსაც შეეფერება ესა თუ ის ხატოვანი სიტყვა და ანდაზა“. ქვემოთ შევეცდებით, გავარკვიოთ, რამდენად აკმაყოფილებს განსახილველი თარგმანი ამ მოთხოვნებს.

„ანდაზების არაკები“ განკუთვნილია „მეზობელი ირანელი ხალხის ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებული მკითხველისათვის“ (გვ. 6), მაშასადამე, ფართო საზოგადოებისათვის. გასაგებია მთარგმნელთა მცდელობა, რაც შეიძლება შეუმსუბუქონ მკითხველს ტექსტის გაგება, სადა, ყველასათვის მისაწვდომი ენით გადმოსცენ დედნისეული შინაარსი და ამ ჟანრის ნაწარმოებებისათვის ჩვეული ხატები. ნ. თარგამაძე და რ. მიქელაძე კარგად იცნობენ ქართული ზღაპრებისა და არაკების ენას და სწორედ მასზე დაყრდნობით ცდილობენ მკითხველის ტექსტისადმი დამოკიდებულებაში მეტი უშუალობის მიღწევას. ამიტომაც თარგმანი მსუბუქია, თავისუფლად იკითხება. რა თქმა უნდა, ტექსტი იოლი აღსაქმელი, მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამ მიზნის მისაღწევად ზომიერების დაცვა გვმართებს. ამ თვალსაზრისით განსახილველი თარგმანი რამდენადმე სცოდავს.

თავდაპირველად შევჩერდები პრინციპული ხასიათის ერთ შენიშვნაზე, რომელიც შეეხება სათარგმნელი ნიმუშების შერჩევას, ხოლო შემდეგ შევეცდები, რამდენიმე მათგანის მაგალითზე წარმოვაჩინო ამ თარგმანისათვის დამახასიათებელი უზუსტობანი.

„დასთანჰაიე ამსალ“-ის შესავალში ამირ ყოლი ამინი საგანგებოდ ჩერდება ერთ საჩოთირო საკითხზე. როგორც აღმოჩნდა, თავდაპირველად მან კრებულში არ შეიტანა ისეთი გამოთქმები და არაკები, რომელთაც ჰ. ქოროღლი «Этические невыдержанные пословицы» — ს (Персидские пословицы и поговорки. М. 1961, გვ. 11) უწოდებს. მაგრამ მოგვიანებით ამინიმ გადაწყვეტილება შეცვალა ცნობილ ლიტერატორთა და მეცნიერთა გავლენით, აგრეთვე, იმ გარემოებით გამხნევებულმა, რომ დიდი ირანელი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებშიც ვხვდებით მოურიდებელ და გაბედულ გამონათქვამებს. და მართლაც, კრებულში არის გამოთქმები და არაკები, რომელიც უჩვეულოა ქართველი მკითხველისთვის. ამ უხერხულობას ვერ გაექცნენ მთარგმნელებიც, რის გამოც ზოგ შემთხვევაში არასწორი გამოსავალი აირჩიეს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, გამოთქმაში „სადაც მინდა, იქით შევტრიალდები“ (გვ. 34) ქართულად უნდა გვქონოდა „მისი შეტრიალება ჩვენს ხელთაა“, მაგრამ მთარგმნელები ვერც არაკს შეელიენ და ვერც ქართველი მკითხველის გულისწყრომის გამოწვევა გაბედეს. დედნისეული „ალათ“ თარგმანში გამოტოვეს და ქართულ ტექსტში „ტრიალი“ უკვე მოლას (დედანში ასუნდია) ეხება. გასაგებია, რომ მთარგმნელები ასე მოიქცნენ იმ უხერხულობის დასაძლევად, რომელიც, შესაძლოა, ქართველ მკითხველს ეგრძნო ამ არაკის კითხვისას. ასეთ ვითარებას თავს იოლად დააღწევდნენ, თუკი არაკს საერთოდ არ თარგმნიდნენ, მით უფრო, რომ უთარგმნელი დარჩა ამინის კრებულის ორი მესამედი, ან მის ნაცვლად სხვა რომელსამე არაკს შეარჩევდნენ. ვფიქრობთ, მსგავს სიტუაციაში ნახევრად გადაწყვეტილების მიღება — დედნისეული ტექსტის შელამაზება საუკეთესო გამოსავალი არ არის.

ქვემოთ გამოთქმულ შენიშვნათა უმეტესობის არსი, ძირითადად, ზუსტი თარგმანის მოთხოვნამდე დაიყვანება. ანდაზები და იდიომები მზა სახით არსებობს ენაში და, ჩვეულებრივ, სიმყარით ხასიათდება. აქ მთარგმნელის თავისუფლება მნიშვნელოვნად იზღუდება. „ანდაზების არაკების“ მიმართ გამოთქმული შენიშვნებიც ამ თვალსაზრისს ეფუძნება.

ქართულ ტექსტში ზოგჯერ დაკარგულია რაღაც ნიუანსი, რითაც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი შავდება. ასეთ შემთხვევებზე ყურადღებას ვამახვილებთ იმდენად, რამდენადაც ამ მცირე დანაკარგის თავიდან აცილება შესაძლებელია, როგორც, მაგალითად, 84-ე ნიმუშში „რაკი ვერ ვამბობ, დაე, იყოს მაჰარი“ (გვ. 47). კონტექსტიდან გამომდინარე მთარგმნელებს „ნამიშე“ გადმოექცათ როგორც „ვერ ვამბობ“, რითაც ამ გამოთქმის გამოყენების შესაძლებლობები, ჩვენი აზრით, რამდენადმე იზღუდება. ეს არ მოხდებოდა, სიტყვა რომ ზუსტად თარგმნილიყო — როგორც „არ გამოდის“ („რაკი არ გამოდის, მოიტა მაჰარი“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში მარჯვედ გამოყენებული დაპირისპირება „მაწონი“ — „მაჰარი“ საუკეთესო ეფექტს იძლევა (ენაბლუ ცდილობს, თქვას „მაწონი“, გამოსდის „მა... მა... მა...“, რის გამოც შესთავაზებენ მაჰარს). დედანში ეს ეფექტი არ არის — ერთმანეთს უპირისპირდება „მასთ“ და „შირე“.

147-ე ნიმუშში დაშვებული უზუსტობის თავიდან აცილებაც იოლად მოხერხდებოდა, დართული არაკი სწორედ რომ თარგმნილიყო, რაც, თავის მხრივ, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. ვგულისხმობ გამოთქმას „უხელო კაცს უხელოს დარდი ესმის“ (გვ. 174). არაკის დასკვნით ნაწილში მოცემული წინადადება — „იცის ჩემი მოკვეთილი ხელის ფასი, რადგან ხელი მოკვეთილი აქვს“ — ამგვარად არის გადმოტანილი: „ამ უხელო კაცმა კი კარგად იცის, რა ცეცხლიც მინთია“. ეს წინადადება ქართულად სიტყვასიტყვით რომ თარგმნილიყო, სათაურიც სწორად გაიმართებოდა („ხელმოკვეთილმა იცის მოკვეთილი ხელის ფასი“) და დედნისეული შინაარსიც შენარჩუნებული იქნებოდა.

შესაძლებელი იყო მეტი სიზუსტის დაცვა 101-ე არაკშიც: „ცოტ-ცოტა რომ ჩამოგეჭრა, ამდენი ხომ არ ჩამოგეთლებოდა“ (გვ. 118). არაკში მოთხრობილია, რომ ერთი ვაჭარი აიძულებს მსახურს, ითაღლითოს — ნავთის შესყიდვის დროს საწყაოს თითები შეაშველოს, გაყიდვისას კი პირამდე არ აავსოს, რათა ნაკლები გასცეს. ერთხელაც ვაჭარი ნავთიანი ტიკებით დატვირთული გემით ირანში გაემგზავრა. ამოვარდნილი ქარიშხალი გემს დაღუპვით დაემუქრა. იძულებულნი გახდნენ, თავის გადასარჩენად ტიკები ზღვაში გადაეყარათ. სწორედ ამ დროს ეუბნება მსახური ვაჭარს იმ ფრაზას, რომელიც სათაურად აქვს არაკს („ცოტ-ცოტას ნუ მოიპარავ, რათა ტიკობით არ გადაღვარო“) და შექმნილი ვითარებისათვის ზედგამოჭრილია. „ჩამოთლასა“ და „ჩამოჭრაზე“ არაფერია ნათქვამი.

ზოგან მთარგმნელებს ზომიერების გრძნობა ღალატობთ. ხშირად ამატებენ რაღაც დეტალს, რომელზეც მინიშნებითაც არ არის ლაპარაკი სპარსულ ტექსტში. ვხვდებით მთარგმნელების მიერ შეთხზულ დიალოგებსაც, ხოლო პირიქითაც — თარგმანში დაკარგულია ზოგიერთი დეტალი. საილუსტრაციოდ პირველივე არაკიც კმარა — „ზელებით ბადაგიანი ტიკები ეჭირა“ (გვ. 7). ქართულ ტექსტში დიალოგები გაზრდილია. თხრობაში გაჩენილია არადედნისეული დეტალები. მაგალითად: „ერთი ქვრივი ქალი ბადაგით ვაჭრობდა და ამით არჩენდა წვრილ-შვილს“. სპარსულ ტექსტში არ არის არც „ქვრივი“, და არც „ამით არჩენდა წვრილ-შვილს“. იქვე, ცოტა ქვემოთ, ჩამატებულია: „...მაგრამ კაცი არ ჩქარობდა, არემარეს ათვალიერებდა და შარვლის ქამარს ისწორებდა. მერე ასევე აუჩქარებლად ქალს ზურგიდან მოუარა“. სანაცვლოდ დაიკარგა დედანში ვარაუდის სახით გამოთქმული ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იყო ქალის მხრიდან წინააღმდეგობა.

ზოგჯერ მთარგმნელთა მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილებები გარკვეულ გაუგებრობას ქმნის, როგორც ეს 75-ე არაკში მოხდა („ბანიდან გულამმა გადმოვარდნა“ — გვ. 99). თარგმანში ვკითხულობთ: „ბანზე რამდენიმე კაცი იჯდა. ერთი მათგანი ლაპარაკობდა და თან ბოლთას სცემდა“. „ჯდომისა და ბოლთის ცემის ასე შეთავსება ალბათ ვერ მოხერხდება. უხერხულობას ადგილი არ ექნებოდა, დედნის შესაბამისი მონაკვეთი სწორედ რომ თარგმნილიყო. კერძოდ, სპარსულ ტექსტში ასეა: „რამოდენიმე კაცი ბანზე იდგა. ერთ-ერთი მათგანი, როგორც კი დაილაპარაკებდა, სიარულს იწყებდა და წინ-წინ მიიწევდა“.

რამდენსამე არაკში არაზუსტი თარგმანი შეცდომად იქცევა, რამდენადაც ხელს უშლის ამა თუ იმ გამოთქმის სწორ და ზუსტ გაგებას. აქ ძირითადად ვგულისხმობთ იმ დასკვნების თარგმანს, რომელშიც ლაპარაკია მოცემული გამოთქმის გამოყენების ადგილის შესახებ. როგორც წესი, თარგმანში ეს დასკვნები მნიშვნელოვნად შემოკლებულია, დასახელებული რამდენიმე შემთხვევიდან შერჩეულია ხოლმე ერთ-ერთი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს. 1. „ზელებით ბადაგიანი ტიკები ეჭირა“ (გვ. 7). თარგმანში ვკითხულობთ: „ახლა ამ ანდაზას ისეთ ადამიანზე იტყვიან, რომელიც ერთი მნიშვნელოვანი საქმით არის დაკავებული და ყველა დანარჩენს აფუჩებს“. დედანში ასეა: „ამას ისეთ ადამიანზე იტყვიან, რომელიც რაიმე საქმით იმდენად არის გატაცებული და დაკავებული, რომ არცერთ სხვა საქმეს არ წამოიწყებს“. ვფიქრობთ, განსხვავება „ყველა დანარჩენს აფუჩებს“-ა და „არცერთ სხვა საქმეს არ წამოიწყებს“ შორის თვალსაჩინოა. 2. „ალი მეაქლემე თუა, მცოდინება, ომარის აქლემი სადაც უნდა მიიყვანოს“ (გვ. 102). თარგმანში განმარტება ასეთია: „ამ ანდაზას მაშინ ამბობენ, როცა საქმის მცოდნეს ვინმე უვიცი არიგებს და რჩევას აძლევს. ოსტატს კი უნდა გააგებინოს, რომ მან უკეთ იცის თავისი ხელობის ავ-კარგი და, როგორც საქმე მოითხოვს, ისე გააკეთებს“. დედანში ოდნავ განსხვავებული სიტუაციაა აღწერილი; ამასთან, მითითებულია ანდაზის გამოყენების სხვა შესაძლებლობაც: „ამ ანდაზას იყენებენ, როცა კაცი კაცს მითითებას ან რჩევას აძლევს, ესა და ეს საქმე ასე და ამგვარად გააკეთეო, ხოლო ეს უკანასკნელი იმისათვის, რომ თავი დამრიგებელზე უფრო მცოდნედ გამოიყვანოს, ამბობს: თუ ალი მეაქლემეა, იცის, აქლემი სად დააწვინოს“, ე. ი. თუკი მე ვარ საქმის შემსრულებელი, თავად ვიცი, როგორ მოვიქცე. ან იყენებენ, თუ სურთ, აღნიშნონ იმ ადამიანის კეთილგონიერება, ცოდნა და მოხერხებულობა, ვინც საქმის შესრულება ითავა“.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა წინასიტყვაობის და „განმარტებანი“-ს მიმართაც.

წინასიტყვაობაში არაზუსტად არის მითითებული ნიმუშების რაოდენობა გამოცემების მიხედვით. მესამე გამოცემაში (სწორედ აქედან შესრულდა თარგმანი) არა 284, არამედ 519 ნიმუშია. ამინის თუ დავუჯერებთ, „მეორე გამოცემას, საერთო ჯამში, 41 არაკი დაემატა. მესამეში, მეორის 284-ისაგან განსხვავებით, 235 არაკით მეტია“.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ. დედნისეული „დასთანჰაიე ამსალ“ მთარგმნელებმა გადმოიტანეს როგორც „ანდაზების არაკები“, რაც ერთგვარ დაბნეულობას იწვევს და აბრკოლებს მკითხველის მიერ მის გააზრებას. ჩანს, საკითხი არც მთარგმნელებისათვის იყო იოლი გადასაჭრელი, რასაც მოწმობს „არშალანის“ III წიგნში ამ არაკების სხვა სათაურით გამოქვეყნება (იხ. ამირ ყოლი ამინი, ანდაზები და არაკები, არშალანი, III. თბ., 1982). გასათვალისწინებელია ისიც, რომ სათაურად გამოტანილი ყველა ფრაზა ანდაზა როდია, უფრო მეტიც, მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი წარმოადგენს ანდაზას. სპარსულში „მასალ“ (მრ.: ამსალ) მოიცავს ყოველივე იმას, რაც ნიმუშების სახით მოცემულია ამინის კრებულში. ქართულში კი ამ სიტყვის მხოლოდ „ანდაზის“ საშუალებით გადმოცემა არასაკმარისი თუ არა, არაზუსტი მაინც არის. ამ თვალსაზრისით, მთარგმნელების წინაშე მდგარი ამოცანა რთული გადასაჭრელი იყო. მათ „ანდაზების არაკები“ ირჩიეს, რაც ქართველი მკითხველისათვის ცოტა უჩვეულოდ ჟღერს.

„ანდაზების არაკების“ მიმართ გამოთქმულმა შენიშვნებმა, შესაძლოა, ერთგვარად დაჩრდილოს მისი ღირსება და მნიშვნელობა. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ამირ ყოლი ამინის ერთი კრებულის, არამედ, საერთოდ, სპარსული ანდაზებისა და იდიომების პირველ გამოცემასთან ქართულ ენაზე. წიგნი (მისი ტირაჟია 80000) გამოსვლიდან თითქმის რამდენიმე დღეში გაიყიდა, რაც მის მიმართ ქართველი მკითხველის ინტერესზე მეტყველებს. ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგება მისი ხელმეორედ გამოცემის საკითხი. თუკი „ანდაზების არაკების“ მიზანი მართლაც ისაა, რასაც ანოტაცია გვამცნობს, სამომავლოდ აუცილებლად მიგვაჩნია ზოგიერთი უზუსტობის აღმოფხვრა.

## „სამება“ — მკითხველებს

„სამების“ აბონემენტების მფლობელებს შეუძლიათ მიაკითხონ კოოპერატივ „მწერლის“ ჯიხურს რუსთაველის პროსპექტზე გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში, სადაც შეუძლიათ შეიძინონ მცირე პოეტური ანთოლოგიის „სამების“ პირველი პოეტური კრებული. ეს კრებული მწერალთა კავშირის ლიტფონდთან არსებულმა კოოპერატივმა „მწერალმა“ და გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცეს. ანთოლოგიაში შესულია მე-8 საუკუნიდან დღემდე ქართული პოეტური მემკვიდრეობიდან თითოეული პოეტის სამი ლექსი. წიგნი შეადგინეს პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ და ლიტერატურათმცოდნე ანდრო მირანაშვილმა. წიგნის რედაქტორია პროფესორი გურამ ბარნოვი.

„სამების“ მეორე წიგნსაც უახლოეს ხანში მიიღებს მკითხველი. ავტორთა დიდი ნაწილის მოთხოვნით მეორე წიგნის ჰონორარი გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.




თამაზ ბაჩიაშვილი

# მიეძღვნა მეცნიერის ხსოვნას

ქართველი ერის სასიქადულო მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ორიენტალისტი — ისტორიკოსი, ამაგდარი მეცნიერი და შესანიშნავი პედაგოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვალერიან გაბაშვილი.

ვალერიან გაბაშვილი იკვლევდა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისს, ქართულ და აღმოსავლურ ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას, ქართული სამართლის, დიპლომატიის, დიპლომატიკის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს.

მეცნიერი წარმატებით მუშაობდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევები, რომლებშიც ასახულია საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი რიგი საკვანძო საკითხები. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი ზედმიწევნით კარგად იცნობდა არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურასაც და ორიგინალში ეცნობოდა ევროპელ ავტორებს. ვალერიან გაბაშვილი ხელოვნებისა და კულტურის უბადლო შემფასებელი და მისი უსაზღვრო პატივისმცემელიც გახლდათ.

ვალერიან გაბაშვილმა მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-მედიევისტ ისტორიკოსთა მთელი სკოლა, რომლებიც დღესაც წარმატებით ემსახურებიან მეცნიერების ამ სფეროს, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის, ისე ისტორიის ინსტიტუტში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამა წლის 9 აპრილს, პროფესორ ვალერიან გაბაშვილის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა. ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა მეცნიერის საიუბილეო თარიღი. ახლახან, თბილისში, სრულიად საქართველოს გიორგი შარვაშიძის სახელობის საზოგადოებისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების უშუალო ინიციატივით გაიმართა ვალერიან გაბაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა როინ მეტრეველმა, ვალერიან გაბაშვილის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე ილაპარაკა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ ცქიტიშვილმა. მეცნიერებმა ისაუბრეს ვალერიან გაბაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მას უდიდეს ღვაწლზე ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე. მეცნიერის მოწაფეებმა არა ერთი საინტერესო ფაქტი გაიხსენეს პროფესორთან ერთობლივი მუშაობიდან.

მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: სერგო ჯორბენაძე, ალექსანდრე გვახარია; პროფესორები: გივი ჟორდანია, დევი კაციტაძე და ნოდარ ლომოური.

**ქეთევან პავლიაშვილი**

# „ხოხიალი"

## რომან მიმინოშვილი

არ ვაპირებ თეიმურაზ დოიაშვილთან პაექრობას და ორფურცლიანი „წერილით" გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ოთხი ნომრის დაკავებას, თუმცა, ვიზიარებ ემზარ კვიტაიშვილის შეშფოთებას („ლიტერატურული საქართველო", 12 აპრილი) და არ მეშინია, რომ ბატონი თეიმურაზი მეც მიმიჩნევს „მეგობრობის სახელით სინდისთან კომპრომისზე იძულებით წასულ კაცად", მაგრამ იძულებული ვარ ორიოდე სიტყვა ვთქვა არა ჯანსულ ჩარკვიანის, არამედ პოეზიის დასაცავად, უდანაშაულო მკითხველის დასაცავადაც, რომელიც დაიღალა იმის გაცნობიერებით, რომ ასე შეგვძულებია ერთმანეთი...

წინასწარ ვაცხადებ უარს ლიტერატურულ პინგ-პონგში მონაწილეობაზე, თუ „პასუხის პასუხებში" გამეცადინებული, ენერგიული კრიტიკოსი გამომიწვევს, რადგან ასეთ სტატიებს პინგ-პონგის ბურთივით მაგიდის ორივე მხარეს დიდი რაზა-რუზის ატეხა შეუძლიათ, ოღონდ ერთი უბედურება სჭირთ: იმ პლასტმასის ბურთივით შიგნით სიცარიელეა!

მხოლოდ ორიოდე პასაჟს შევეხები თეიმურაზ დოიაშვილის წერილიდან „მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო..." („ლიტერატურული საქართველო", 31 მაისი). თავს ნებას მივცემ, ვრცელი ციტატა ამოვწერო: „სხვა სტრიქონების დაცვასაც ცდილობს მოპაექრე (ჯ. ჩარკვიანი. — რ. მ.), „დიახ, საუკუნეების მანძილზე დაიღალა საქართველო, დაიღალა —

მუხლზე მიზის საქართველო,
საქართველო დაღლილი.

საკუთარი შვილი მაინც არ დაგისვამთ მუხლზე? „პერანგგახდილი, ლედი მაკბეტი" რამ გაგახსენათ? თქვენი ფიქრი პათოლოგიური კაცის ფიქრია". ერთხელ უკვე თქმულის გამეორება უმადური საქმეა, მაგრამ იძულებული ვარ, ასე მოვიქცე. ლექსს ჰქვია „ქართლოსი", თუ ეს ჩვენი ლეგენდარული წინაპარი ქართლოსია (ეს კი ფრიად საეჭვოა ასეთი ანაქრონიზმის გამო — „ვლაპარაკობ სიყვარულზე, მაგრამ ტუჩია დახლილი"), მაშინ იმ დროს საქართველო დაღლილი ვერ იქნებოდა, ხოლო თუ სხვა რაგინდავინ ქართლოსია, საქართველო არავის მუხლზე ჩამოსახმელი არ არის. მეკითხებით: შვილი მაინც არ დაგისვამთ მუხლზე"? როგორ არა, მაგრამ ეს ამხელა „დაღლილი (?) შვილი" — საქართველო ჩემსა და თქვენს მუხლზე ჩამოსახვენებელია?! ვფიქრობ, „ბავშვი" გამოირიცხა (ცოტა უხერხული ხომ არაა „საუკუნეების მანძილზე დაღლილი" ბავშვი?!). იმედია, „დაჭრილი არწივი" ან „გაუცინარი ვეფხვი" არ გიგულისხმიათ მუხლზე ჩამოსაჯდომ ობიექტად, ალბათ, ადამიანი იგულისხმეთ — ქალი ან კაცი. მე ქალი ვივარაუდე, ხოლო თუ თქვენ კაცი გქონდათ ჩაფიქრებული, აბა, მაშინ ნახეთ, „კაი ალიყურები... თქვენი ოჯახის წევრი ქალბატონებისაგან!"

სხვისა რა მოგახსენოთ, მე კი ეს მსჯელობა ლიტერატურათმცოდნისა არ მგონია. მუსიკას ყრუ ვერ შეაფასებს, ვერც ბრმა — ფერწერას. პოეზიის შემფასებელს კი სმენაც სჭირდება და მხედველობაც. იგულისხმება, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ფიზიკური სმენა და მხედველობა. პოეზიის არა მარტო შექმნას, არამედ გაგებასაც სჭირდება ნიჭი. ამას ბატონ თეიმურაზის გასაგონად იმიტომ როდი ვამბობ, რომ მისი შესაძლებლობები შევაფასო, არამედ იმიტომ, რომ პოეტურ ნაწარმოებთან არ შეიძლება დახშული ყურით და თვალით, თუ გნებავთ, გულისყურით მისვლა. ასეთი საშიშროება კი მაშინ იქმნება, როცა კრიტიკოსსა და პოეტს შორის კონიუნქტურის, პირადი სიმპათია-ანტიპათიის შავი კატა გაირბენს.

ლექსი, რაგინდ დიდი პოეტისა იყოს, ყველა მკითხველში ერთგვარ გამოძახილს ვერ ჰპოვებს. ერთი და იგივე მკითხველიც კი მას განწყობის მიხედვით სხვადასხვაგვარად აღიქვამს. ხელოვნების ხიბლი მის თავისთავად მშვენიერებაში როდია, არამედ იმ კონტაქტში, რომელიც მყარდება სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა სულიერი წყობის ადამიანთა შორის. შემოქმედებითი პროცესი ლექსის გამოქვეყნებით კი არ მთავრდება, არამედ ამ კონტაქტით გრძელდება და მშვენიერებაა სწორედ ის განწყობილება, რასაც ხელოვნების ნიმუში იწვევს. კრიტიკოსიც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მკითხველია, მაგრამ მას არა აქვს უფლება, სხვას თავს მოახვიოს საკუთარი განწყობილება, რაც ამა თუ იმ გრძნობის გამო შეიძლება დაეუფლოს, არამედ უნდა განსაზღვროს ისიც, თუ როგორი შეიძლება ჰქონდეს ლექსს გამოძახილი იმათ სულში, ვინც სხვა გრძნობით არის გამსჭვალული.

რატომ არ იფიქრა ბატონმა თეიმურაზმა ჩემზე, რატომ ვერ წარმოიდგინა, რა განცდებს გამოიწვევდა სხვა მკითხველში ჯანსულ ჩარკვიანის ციტირებული სტრიქონები?

შესაძლოა, ამ სტრიქონების კითხვისას თ. დოიაშვილს მართლა გაახსენდა რაიმე პიკანტური სცენა, ვინმე კონკრეტული, მკითხველისათვის უცნობი პიროვნება, მაგრამ მაინც და მაინც პერანგგახდილი ლედი მაკბეტი აშკარად მკითხველის გასაბრუებლად გამოიგონა.

განსაცვიფრებელია კრიტიკოსის ლოგიკა! ლექსს „ქართლოსი" ჰქვიაო, მაგრამ იქვე ეჭვს გამოთქვამს, ჩვენი ლეგენდარული წინაპარი არ უნდა იყოს, ლექსში ტყვიაა ნახსენებიო. თუ წინაპარი ქართლოსია, იმ დროს(?) საქართველო დაღლილი ვერ იქნებოდაო, თუ სხვა ქართლოსია (მაგალითად, ქართლოს კასრაძე (?), მუხლზე როგორ დაისვამდა საქართველოსო. კრიტიკოსის ლოგიკით გამოდის, რომ ქართლოსს გაუჩენია საქართველო, მუხლზე დაუსვამს, მაგრამ მაშინ იგი პატარა იყო და დაღლილი ვერ იქნებოდა, შემდეგ კი ეს ქართლოსი მომკვდარა და პოეტი ვიღაც ახალ ქართლოსს გულისხმობს, რომლის დროსაც ადამიანმა უკვე ტყვია გამოიგონა. კრიტიკოსს თუ არ ჰყოფნის ფანტაზია, რომ წარმოიდგინოს ქართლოსი, როგორც მარადიული სული, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, ეს რა პოეტის, ან მისი გამგები მკითხველის ბრალია? საოცარია, ღმერთმანი, საოცარია კრიტიკოსის სიტყვები — „ეს ამხელა „დაღლილი(?) შვილი" — ჩემსა და თქვენს მუხლზე ჩამოსახვენებელია?!"

სრულებითაც არ ვცდილობ, მოვაწონო კრიტიკოსს ლექსი, რომელიც არ მოსწონს, მისგან განსხვავებით ჩემს აზრს არ მოვახვევ და საწინააღმდეგოს მტკიცებას არ დავუწყებ, მაგრამ არ შემიძლია გაოცება არ გამოვთქვა მისი „საბუთიანობის" გამო. განსაკუთრებით ბოლო „საბუთმა მომხიბლა", ციტატის ბოლოში ჰომოსექსუალისტურმა მინიშნებამ. ძალიან გამიკვირდება, თუ კრიტიკოსი სინდისის ქენჯნას არ განიცდის ასე მუხლიდან მუხლზე ნაბურთავები საკუთარი სამშობლოს წინაშე!

კრიტიკოსს შეიძლება არც მოსწონდეს პოეტის ნათქვამი „მე დაჭრილ არწივს თვალებში ვკოცნი, მერე ფრთებს ვუშლი და მხრებს ვატოლებ", მაგრამ თუ საერთოდ ვერაფერს გაიგებს, ჯობია, პოეზიის შეფასებაზე ხელი აიღოს და აღიაროს — ეს ჩემი საქმე არაა.

ვნახოთ, როგორ შეაფასა ეს სიტყვები კრიტიკოსმა: „თარგმნეთ" ეს სტრიქონები რეალობის ენაზე და უმალ იაზრებთ, რომ პოეტის მიერ დახატული სურათი ყალბია — დაჭრილი არწივი ეგრე ადვილად მოსათვინიერებელი არაა, ხოლო თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რა დღეში ჩავარდება ის, ვინც დაჭრილ ფრინველთა მეფეს თვალების ამოკოცნას მოუნდომებს... გაგვეცინება, დიახ, გაგვეცინება, რადგან, საბედნიეროდ, ეს ლექსში ხდება და არა სინამდვილეში".

კრიტიკოსმა, ეტყობა, კარგახანს იცინა ამ ლექსზე, მაგრამ ჯ. ჩარკვიანის პასუხის შემდეგ („რომელ „რეალობაზეა" ლაპარაკი? ლექსის თარგმნა გამიგია სხვა რომელიმე ენაზე... მაგრამ წარმოუდგენელია, მკითხველი ჯერ ლექსს კითხულობდეს... და შემდეგ თარგმნიდეს „რეალობის" ენაზე"), კვლავ სერიოზული მოძღვრის როლი აირჩია და ბრძანა: „ლექსი რეალობის ანარეკლია, გარე ან შინარეალობისა, ამიტომ წარმოსახულ და რეალურ პლანებს შორის ზუსტი კონტაქტი უნდა არსებობდეს. ეს ესთეტიკის ანბანია და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ".

„ესთეტიკის ანბანზე" სიტყვის გაგრძელება კრიტიკოსმა, ეტყობა, იმიტომ არ ისურვა, რომ რასაც ის ბრძანებს, ერთობ შორსაა ესთეტიკისაგან. რას ნიშნავს კრიტიკოსის ენაზე „წარმოსახულ და რეალურ პლანებს შორის ზუსტი კონტაქტი"? კრიტიკოსის „პლანებს" „გოსპლანისა" და „სოცრეალიზმის" სუნი ასდის. თუ რეალობაა დაჭრილი არწივი, ანუ რაიმე საგანი, განა არ არის რეალობა ის განცდა, რომელსაც მისი არა მარტო ფიზიკურად ხილვა, არამედ წარმოდგენაც იწვევს? არა აქვს უფლება პოეტს, რომელსაც იქნებ მხოლოდ ცაში მოლივლივე არწივი უნახავს, წარმოიდგინოს იგი დაჭრილიც (თუნდაც, ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსის გავლენით) და მისდამი სიბრალულით აღვსილს სურვილი გაუჩნდეს, თვალებიც ამოუკოცნოს და მისი ვაჟკაცური შემართება ინატროს, ანუ მის გაშლილ ფრთებს მხრები დაატოლოს? უფრო მეტიც, განა არ შეიძლება დაჭრილი გმირის, დაცემული მეგობრის ხილვამ გამოიწვიოს დაჭრილი არწივის ასოციაცია და გაშლილ ფრთებთან მხრების მიტოლება სხვა არა იყოს რა, თუ არა სურვილი მის კეთილ საქმეებთან საკუთარი თავის გატოლებისა? სხვა ათასი სიტუაციაც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა და ამიტომ ყოველ მკითხველში საკუთარი განწყობიდან გამომდინარე განსხვავებული გამოძახილი ჰპოვოს ლექსმა. კრიტიკოსისთვის მას მხიარულება მიუნიჭებია, რადგან თვალებგადმოკარკლული, გასისხლიანებული არსება წარმოუდგენია, რა აცინებდა, არ შეეცოდა მაინც?

ასე რომ, „რეალობის ენაზე" თარგმნა თუ მაინც და მაინც მოუნდება კრიტიკოსს, მართებს, არ დაივიწყოს, რომ რეალობა მარტო მატერიალური როდია, თუმცა, ეს იქნებ არ ეხადაგება მატერიალისტურ-სოციალისტური „ესთეტიკის ანბანს".

როგორც ვხედავთ, ეს ორი ლექსი ერთობ ძნელი „მოსანელებელი" ყოფილა ბატონ თეიმურაზ დოიაშვილისთვის. მაგრამ უფრო მსუბუქ „საზრდოსაც", თურმე, ვერ იტანს. ეს კი საეჭვოა, რადგან რაც არ უნდა იყოს, იგი სწავლული ლიტერატურათმცოდნეა. ამიტომ მთელი მისი მოწადინება კონიუნქტურულ, ტენდენციურ შთაბეჭდილებას ტოვებს. დავჯერდები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე მოდური დასმენის მხოლოდ ერთ მაგალითს.

ასეთი დასმენის მიზანი სავსებით გამჭვირვალეა. თავი დავანებოთ იმას, რომ ყოველგვარი დასმენა საერთოდ საზიზღრობაა, მაგრამ ყველა მათგანს ორი მიზანი აერთიანებს: ერთია პირადი გამორჩენა, სახარგებლო ქულების მოპოვება, ხოლო მეორე — პატრონისთვის სასურველი მოწინააღმდეგის თუ მტრის სახის შექმნა. აი, ნიმუშიც:

„ბატონ პოეტს, როგორც ვიცით, „გაორებული კაცის მრავალსახეობა" აინტერესებს, — წერს თ. დოიაშვილი, — ამიტომ საკუთარ სულში ჩავახედებ. აი, პოემა „დედამიწის დროით", პასაჟი, სადაც დახასიათებულია პოეტის ურთიერთობა შვილთან: „გოგოც მყავს ერთი, რომელთანაც ყოველდღე ვჩხუბობ, — სხვა აზრისაა წუთისოფელზე, გაუტანელზე, უსამართლოზე... მე გუნებაში თუმც ვეთანხმები, ხმამაღლა მაინც არ ვეთანხმები. რომ ვეთანხმები (უნდა იყოს „რომ დავეთანხმო". — რ. მ.), უპრინციპოდ ჩავითვლები ჩემს პარტიულ ამხანაგებში". ამაზე მეტი გაორება შეიძლება — ერთს ფიქრობდე და „პარტიული ამხანაგების" შიშით (ხაზი თ. დოიაშვილისაა. — რ. მ.) სხვას ლაპარაკობდე? თანაც იმ „შავბნელ დროში" შვილის თამამი მოსაზრებების ასე საჯაროდ გამოფენა?... ჩარკვიანის ზემოთმოტანილ სტრიქონებში კი ნამდვილად არის დროისმიერი დრამის ანარეკლი, მაგრამ ეს არ არის სიმართლისათვის წამებული, პატიოსანი კაცის ტკივილი და ტანჯვა. ეს კონიუნქტურაზე მოდარაჯე, „ბატონთა წინაშე მუცელზე ხოხიალს მიჩვეული „ობივატელის დრამაა".

ასე გამოუტანა განაჩენი კრიტიკოსმა პოეტს, რომ იგი, თურმე, „შავბნელ დროში" შვილის დამსმენიც იყო, პარტიული ამხანაგების წინაშე შიშით ძრწოდა, არ იყო პატიოსანი კაცი და არ შეიძლებოდა განეცადა პატიოსანი კაცის ტკივილი და ტანჯვა, იყო კონიუნქტურაზე მოდარაჯე, მუცელზე ხოხიალს მიჩვეული ობივატელი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო მისი ლირიკული გმირი.

ასეა მართლა? თუნდაც ობივატელის დრამის წარმოჩენა, ადამიანისა, რომელსაც სიმართლის თქმა არ შეუძლია და იძულებულია გაორებული იყოს, არ არის თავისთავად პროტესტი? ნუთუ გაბრაზებულ კრიტიკოსს სულ აღარ დარჩა იუმორის გრძნობა, რომ დაინახოს, რა მწარე ირონიაა ჩაქსოვილი სიტყვებში — „რომ დავეთანხმო, უპრინციპოდ ჩავითვლები ჩემს პარტიულ ამხანაგებში"? ეს არის „ხოხიალი", ბატონო კრიტიკოსო?

საერთოდ „ხოხიალს" და „კონიუნქტურაზე მოდარაჯეობას" არავის ვუსურვებ! მათ შორის არც თქვენ, ბატონო კრიტიკოსო!

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემებზე ჩვენს კორესპონდენტს **ეკა შერაზადიშვილს** ესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი **ვალიკო როგავა.**

●

— ბატონო ვალიკო, დიდი ხანი არ არის, რაც თქვენ რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს ჩაუდექით სათავეში, თუმცა „ახალი კაცი" არ გეთქმით — წლების მანძილზე ხელმძღვანელობდით რესპუბლიკისა და თბილისის ავტოინსპექციებს და სისხლხორცეულად ხართ დაკავშირებული მის საქმიანობასთან...

**— მართალს ბრძანებთ. შინაგან საქმეთა ორგანოებში კარგა ხანია ვმუშაობ, გარკვეული პერიოდი კი — ავტოინსპექციაში. სამუშაო მეტად რთულია, სიძნელეებით აღსავსე, მაგრამ იმის შეგნება, რომ ემსახურები ნამდვილ, საზოგადოებისათვის უეჭველად სასარგებლო და საჭირო საქმეს, ადამიანს დაღლას არ აგრძნობინებს, მე ვიტყოდი, პროფესიული სიამაყის გრძნობას ბადებს.**

— ბოლო წლებში ჩვენში მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ სერიოზულად გართულდა ავტოინსპექციის მუშაობაც. თქვენს მუშაკებს გარდა ძირითადი საქმიანობისა, უწევდათ და ამჟამადაც უწევთ სხვა, უჩვეულო ფუნქციების შესრულება. ეს ალბათ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოპერატიულ ვითარებაზე რესპუბლიკაში.

**— სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახური რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მიღმა არ დგას. მასში მონაწილეობისას ჩვენს მუშაკებს ხშირად მართლაც უხდებათ უჩვეულო ფუნქციების შესრულება და რამდენადაც ეს მოვლენები უშუალოდ საზოგადოების თვალწინ იშლება, ჩვენი საქმიანობაც მისთვის კარგად არის ცნობილი. ცხადია, ძალების ამგვარი ხშირი გადანაწილება ძირითად საქმიანობას სასიკეთოდ არ წაადგება და გარკვეულწილად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ავარიულობის მხრივ ოპერატიულ ვითარებაზე.**

**როგორც ვთქვით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება სოციალურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული მრავალმხრივი პრობლემაა და ამიტომაც არ შეიძლება მისი ამ მოვლენებიდან გათიშვა, განცალკევებულად განხილვა. დღეისათვის არ არსებობს მეურნეობის არცერთი სფერო, რომელიც მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული ავტოტრანსპორტთან. საერთოდ კი, მთელი მოსახლეობა მძღოლისა თუ ქვეითის სახით ჩაბმულია საგზაო მოძრაობაში და, ცხადია, მათ დისციპლინაზეა ძირითადად დამოკიდებული საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

— ცნობილია, რომ რესპუბლიკაში ძალზე დაბალია საგზაო მოძრაობის კულტურა. ვერა და ვერ მყარდება წესრიგი ჩვენს ქუჩებსა და ტრასებზე. თქვენ, როგორც ავტოინსპექციის გამოცდილი მუშაკი, რით ახსნით ამ ფაქტს და როგორ წარმოგიდგენიათ გამოსავალი?

**— სამწუხაროდ, მართალს ბრძანებთ. ჩვენი მძღოლებისა და ქვეითების მოძრაობის კულტურა ნამდვილად უკეთესობის სურვილს აღუძრავს გულშემატკივარ ადამიანს. ყოველწლიურად სახელმწიფო ავტოინსპექცია საგზაო მოძრაობის წესების მილიონამდე დამრღვევს ავლენს, 15 ათასამდე ისეთ მძღოლს, რომელიც მთვრალი მართავს ავტოტრანსპორტს. სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეძლევა წესების უხეში დამრღვევი 500-მდე პირი (იმ მძღოლების გარდა, რომლებმაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოახდინეს). საქმე იქამდეც მიდის, რომ ზოგი ამ გარემოებას ეროვნული ხასიათის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს, მაგრამ, ცხადია, ეს მოსაზრება ძირშივე მცდარია. აქ მრავალი სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის განმაპირობებელი გარემოება არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიმაჩნია ის, რომ ჩვენთან არ არის შექმნილი საგზაო მოძრაობის მონაწილის ადრეული ასაკიდანვე — ოჯახში, სკოლებსა და ბაგა-ბაღებში აღზრდისა და შემდგომი მომზადების სრულყოფილი სახელმწიფოებრივი სისტემა, არ გვყოფნის გზა, ავტომობილი, ავტოინსპექციის ტექნიკური აღჭურვილობა; ჩვენი ავტომობილების კონსტრუქცია, მისი საიმედოობა სულ ცოტა, ნახევარი საუკუნით მაინც ჩამორჩება მსოფლიო თანამედროვე სტანდარტებს, მთელ რესპუბლიკაში 1 კატეგორიის გზის მხოლოდ 10 კმ-ია და ეს მაშინ, როცა მოძრაობის ესოდენ მაღალი ინტენსივობის პირობებში, როგორც საქართველოშია, აუცილებელია 700 კმ სიგრძის პირველი კატეგორიის გზა.**

**გარდა ამისა, უაღრესად რთული, დაძაბული და კონფლიქტურია საგზაო მოძრაობის მონაწილისა და ავტოინსპექტორის ურთიერთობა.**

**საავტომობილო გზებსა და ქუჩებში მათ შორის გამართული დიალოგები ხშირად კაცის ყურს არ მოესმინება.**

ავტოინსპექტორის ნებისმიერი მოქმედება, გატარებული ადმინისტრაციული ზომა, ბევრ მძღოლს კონკრეტულად სწორედ ამ ინსპექტორის ახირება ჰგონია და პირად შეურაცხყოფად მიაჩნია. როგორც წესი, იწყება მაღალი თანამდებობებით დაშინების, სამხრეების ჩამოგლეჯისა და სამსახურიდან გაძევების მუქარის ტრადიციადქცეული პრაქტიკა...

ბევრი ავტოინსპექტორიც დამრღვევთან საუბარს იმით იწყებს, რომ ცდილობს გაიგოს, სად მუშაობს იგი, რა თანამდებობა უკავია, ვისი ნათესავია...

ვისაც საზღვარგარეთ განვითარებულ ქვეყნებში უმოგზაურია, უეჭველად შეამჩნევდა, რომ საგზაო მოძრაობის მონაწილესა და გზებზე წესრიგის დამცველთა შორის სულ სხვა ურთიერთობებია დამკვიდრებული. როგორც იტყვიან, ყველამ ფრიადზე იცის თავისი საქმე.

საგზაო პოლიციელი არასოდეს შეეკითხება დამრღვევს, ვინ არის იგი, სად მუშაობს. მისთვის მთავარია ის, რომ საჭესთან მჯდომმა ადამიანმა დაარღვია კანონი, კანონის წინაშე კი ყველა თანაბარია, თუნდაც იგი მთავრობის მეთაური იყოს.

მძღოლსაც ნათლად აქვს შეგნებული თავისი უფლება-მოვალეობანი. იგი არასოდეს დაუწყებს დავას საგზაო პოლიციელს. ამიტომაც წესების დარღვევები იქ ძალზე იშვიათია. ამავე დროს, იქ თვალშისაცემია თავად საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა, თავაზიანობა, მოძრაობაში სხვათა ინტერესების გათვალისწინება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი მგზავრობისათვის და რაც, სავალალოდ, ასე აკლია ჩვენი მოძრაობის მონაწილეთა უმეტესობას.

მდგომარეობას უაღრესად ართულებს ისიც, რომ ავტომანქანის საჭესთან მყოფი ჩვენი მძღოლი და ქუჩაზე მიმავალი ქვეითიც ქვეცნობიერად ათასგვარი საფიქრალ-საზრუნავით არიან დატვირთულნი, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს საგზაო დისციპლინაზე, არსებობს თავაშვებულთა კატეგორია და სხვა. ერთი სიტყვით, საგზაო კულტურის სათანადო დონეზე ასამაღლებლად აუცილებლად საჭიროა შესაბამისი სოციალური ფონის, სათანადო ცხოვრებისეული პირობების შექმნაც. თუმცა, ვერავითარი გარემოება ვერ გაამართლებს ზევრი მძღოლისა თუ ქვეითის საქციელს, როცა ისინი შეგნებულად უგულებელყოფენ საგზაო მოძრაობის წესების ელემენტარულ მოთხოვნებს. დიდმა ვაჟამ თქვა: „....თუ ჩვენ, საზოგადოების წევრნი პირადად არ გავუკეთესდებით, ათასი კარგი პირობაც რომ შევქმნათ, მაინც არაფრად არ ვევარგებითო"... ეს გახლავთ უმთავრესზე უმთავრესი.

— ბოლო ხანს საკმაოდ გამკაცრდა კანონი სხვადასხვა ავტოსატრანსპორტო დარღვევებზე. გამოიღო თუ არა სასურველი შედეგი ამ ღონისძიებამ?

**— ინფორმაცია საგზაო მოძრაობის წესების სხვადასხვა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში და მასზე დაწვრილებით აღარ ვილაპარაკებ; კვლავაც აღვნიშნავ, მხოლოდ, რომ ეს იყო მეტად დროული და უაღრესად საჭირო ღონისძიება. კანონი მართლაც მკაცრია და მან სასიკეთო შედეგიც გამოიღო. თუნდაც ის, რომ მაგალითად უკვე ძალზე იშვიათად შეხვდებით გზებსა და ქუჩებში უნომრო ავტოტრანსპორტს, მძღოლს, რომელსაც თან არა აქვს სათანადო დოკუმენტაცია და სხვა. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, როგორც არ უნდა გავამკაცროთ კანონი, თუ წესრიგი ძირითადად მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას არ დაეყრდნო, საბოლოო ჯამში სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.**

**როცა მძღოლს მკაცრი ადმინისტრირების შიში კი არა, კანონისადმი ჭეშმარიტად მოქალაქეობრივი პატივისცემა არ მისცემს უფლებას უგულებელყოს კანონის მოთხოვნა, ნამდვილი წესრიგიც მაშინ დაისადგურებს. მჯერა, რომ ასეც იქნება და ეს არც თუ შორეული მომავლის საქმეა.**

— როგორია თქვენი სამსახურის დამოკიდებულება ცენტრთან, შეწყდა თუ არა სატრანსპორტო გადასახადიდან და ჯარიმებიდან შემოსული თანხის მოსკოვში გადაგზავნა?

**— ეგრეთ წოდებული „ცენტრიდან" უკვე აღარ მოედინება სადირექტივო მითითებებისა თუ მუშაობის სახელმძღვანელო მზამზარეული რეცეპტების ნაკადი. საქართველო, მოგეხსენებათ, ავტომობილიზაციის მაღალი დონით გამორჩეული ქვეყანაა და ამ მხრივ თითქოსდა პრობლემაც განსხვავებული არ უნდა იყოს სხვებისაგან, მაგრამ სინამდვილეში ყოველ ქვეყანას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ავარიულობის სტრუქტურა, დინამიკა, მიზეზობრიობა და სწორედ ამ თავისებურებათა გათვალისწინებითაა საჭირო შორეული დამკვირვებლის ჩაურევლად საკუთარი სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტაც. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სატრანსპორტო გადასახადიდან და ჯარიმებიდან შემოსული თანხა ახლა უკვე საქართველოში რჩება და მის საარსებო მოთხოვნილებებს მოხმარდება.**

— რატომ ხდება ჩვენს რესპუბლიკაში (სადაც სახელმწიფო ენა ქართულია) სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება სხვა ენებზე? როდის შეიცვლება საკავშირო სანომრე ნიშნების სიმბოლიკა?

**— დოკუმენტაციის შეცვლა მთელ რიგ მეტად რთულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. უპირველესად ის, რომ ჯერჯერობით სსრკ შემადგენლობაში ვართ და ამიტომაც მოსკოვში ვყიდულობთ სპეცპროდუქციას (მძღოლის მოწმობები, ავტოტრანსპორტის ტექნიკური პასპორტები, სახელმწიფო სანომრე ნიშნები და სხვა). ვყიდულობთ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სატრანსპორტო გადასახადიდან და ჯარიმებიდან შემოსულ თანხას ცენტრს აღარ ვუგზავნით. პრობლემები იქმნება ჩვენი რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ ავტოტრანსპორტით მგზავრობის დროსაც და სხვა. უახლოეს მომავალში, ცხადია, დოკუმენტაციის გაფორმება ქართულ ენაზე იწარმოებს და მისი დუბლირება ლათინურშრიფტიანი იქნება. ლათინურშრიფტიანი იქნება ჩვენი რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სანომრე ნიშნებიც. ამას ის უპირატესობაც ექნება, რომ საზღვარგარეთ გასვლისას აღარ იქნება საჭირო ახეთი ნომრების შეცვლა. ეს პროდუქცია საქართველოში დამზადდება.**

— საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი?

**— ახლო მომავალში უნდა შეიცვალოს თავად ავტოინსპექციის სტრუქტურები, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად გადაცემულია ახალი კანონმდებლობის პროექტი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისათვის, რაც ჩვენი აზრით, გაზრდის მძღოლთა პასუხისმგებლობას, განსაზღვრულია რესპუბლიკაში დისლოცირებული სარეგისტრაციო-საგამოცდო დანაყოფების აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და ამ საზით რესპუბლიკური ერთიანი ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის შექმნა. ზუგდიდში უკვე ფუნქციონირებს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი და დანაყოფის მთელი მუშაობა გადაყვანილია კომპიუტერულ სისტემაზე. ეს მკვეთრად გააუმჯობესებს სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის მომსახურების ხარისხს, დაზოგავს ძვირფას დროს, თბილისის ქუჩებში დაიდგმება მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემა და სხვა. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაწეული მუშაობის ეფექტურობა.**

— დავუბრუნდეთ მძღოლისა და ავტოინსპექტორის ურთიერთობას. წლების მანძილზე ავტოინსპექტორის სახელი დამსჯელი მუშაკის საბურველით იყო შემოსილი და ნეგატიურ ასოციაციებს იწვევდა. მეტნაკლებად ახლაც ასეა, ამიტომაცაა მძღოლსა და ავტოინსპექტორს შორის ანტაგონიზმი, როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური ავტოინსპექტორი?

**— სამწუხაროდ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დღეისათვის ავტოინსპექტორს ის ავტორიტეტი არა აქვს, როგორიც სასურველია და აუცილებელია ჰქონდეს. მასზე გამკილავ ანეკდოტებს უფრო გაიგონებთ, ვიდრე საქებარ სიტყვებს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავტოინსპექტორი სრულიადაც არ გახლავთ გამოუცნობი მფრინავი ობიექტის ეკიპაჟის წევრი, იგი ჩვენი საზოგადოების ნაწილია, ჩვენი მეგობარი, შვილი, ძმა, ნათესავი... მისი, ისევე როგორც ყველა სხვა პროფესიის ადამიანის ტიპის გამოძერწვაში უშუალოდ თუ ირიბად მთელი საზოგადოება მონაწილეობს. მე სრულებითაც არ მინდა ავტოინსპექტორის სუბიექტური, ბრმა დამცველის როლში გამოვიდე (ადამიანმა არცერთ გარემოებაში არ უნდა დაკარგოს თავისი კაცური ღირსება), მაგრამ აუცილებელი სათქმელი უნდა ითქვას — ის, ვინც ავტოინსპექტორს ქრთამს აძლევს, ცხადია, მასზე უკეთესი არ არის. რაც შეეხება იდეალურ ინსპექტორს, მას მრავალი ეპითეტი უნდა მოვუნახოთ — ჭეშმარიტი პროფესიონალი, პატრიოტი, უაღრესად კეთილსინდისიერი, ზრდილი, პატიოსანი, მამაცი, განათლებული, თავდადებული, პრინციპული, სამართლიანი და სხვა. ცხადია, ეს ძალზე კარგია, მაგრამ უპრიანი იქნებოდა, რომ ყოფილიყვნენ იდეალური საგზაო მოძრაობის მონაწილენი და მაშინ ავტოინსპექტორი ყანაში ან მშენებლობაზე იმუშავებდა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს.**

— როგორია თქვენი დამოკიდებულება შემოქმედებით ინტელიგენციასთან — მწერლებთან, ჟურნალისტებთან, ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეებთან? ჯეროვნად გეხმარებათ თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მუშაობაში?

**— თუ სამსახურებრივ ურთიერთობას გულისხმობთ, ის, სამწუხაროდ, მინიმალურია. ეს ურთიერთობა კანტიკუნტი შეხვედრებით იფარგლება. არადა, მწერლებს, ჟურნალისტებს, შემოქმედებით ინტელიგენციას, ისევე, როგორც ინჟინრებს, ექიმებს, დეპუტატებს თუ პედაგოგებს, შეუძლიათ აქტიური ზეგავლენა იქონიონ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.. მთავარია, ყველამ იცოდეს, რა შეუძლია გააკეთოს ამისათვის. პრობლემა უზარმაზარია, უაღრესად რთული და აქ თითოეულისათვის მოიძებნება ხელებდასაკაპიწებელი სამუშაო. ამ ასპარეზზე განსაკუთრებული სიტყვა შეუძლია თქვას საბავშვო მწერლობამ. მოზარდთათვის ქუჩაში სწორად ქცევის უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეში საბავშვო მხატვრული ლიტერატურის, კინოსა და თეატრის როლი და მნიშვნელობა აუწონავი იქნება, ყველას კარგად ახსოვს პოეტის სიტყვები —„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის". თავისუფალი საქართველოსათვის უძვირფასესია თითოეული ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ამიტომ ყველა ერთად უნდა ვიბრძოდეთ უაზრო, გაუმართლებელი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.**



# პრობლემა—რთული, უზარმაზარი



1905

# ჰენრიკ სენკევიჩი

გივი გამრეკელი

სენკევიჩის შემოქმედების გაგება შეუძლებელია პოლონეთის ისტორიისათვის თუნდაც მცირეოდენი თვალის გადავლების გარეშე.

როცა მომავალი დიდი მწერალი დაიბადა (1846 წ. 5 მაისს), პოლონეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უკვე კარგა ხანია აღარ არსებობდა. ქვეყანამ, რომელიც ადრე ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო, სხვადასხვა შინაგანი მიზეზისა თუ გარედან უხეში ჩარევის შედეგად, ცნობილი სამი დანაწილების შემდეგ, 1795 წელს არსებობა შეწყვიტა. ეს დიდი ისტორიული დანაშაული „იტვირთეს" ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა. ამავე დროს სამივე მათგანი ყოველნაირად ცდილობდა აეცდინა „მთავარი დამნაშავის" როლი. ბიზანტიელებისა და მონღოლების მიერ „აღზრდილი", თავისი უტიფრობითა და, ამავე დროს, არნახული ფარისევლობით განთქმული რუსული დიპლომატია წლების მანძილზე თავს პოლონეთის მეგობრადაც კი აცხადებდა. ვენის კონგრესმა ფორმალურად აღადგინა პოლონეთის დამოუკიდებლობა, ოღონდ ერთი „მცირეოდენი" ცვლილებით — მეფის გვირგვინი რუსეთის იმპერატორს გადაეცა, რომელიც ამიერიდან „ცარ პოლსკიც" გახდა. ვარშავაში ამიერიდან მეფის ნაცვალი იმყოფებოდა, პოლონეთს ერთხანს სეიმი და არმიაც ჰყავდა.

1832 და 1863 წლების აჯანყებების შემდეგ ამ მოჩვენებითი „სუვერენიტეტიდან" აღარაფერი დარჩა. პოლონეთი რუსეთის იმპერიის რიგით გუბერნიებად იქნა განაწილებული. მურავიოვ-„ჩამომხრჩობმა" ქვეყანა სასტიკად დაარბია.

ფერენც ლისტი წერდა: „ისტორია პასუხს მოსთხოვს რუსეთს ციმბირის პოლონელებით ავსებისათვის". დაიწყო პოლონური „დიასპორის" წარმოუდგენელი ზრდა, გადმოსახლებულთა ერთმა ტალღამ საქართველომდეც მოაღწია (დღეისათვის ეს „დიასპორა" მიახლოებითი შეფასებით 12 მილიონს შეადგენს). ერთი სიტყვით, XIX საუკუნე პოლონეთისთვის (ისევე, როგორც საქართველოსათვის) მართლაც რომ საშინელი იყო.

ერთი სიტყვით, ჰენრიკ სენკევიჩის ბავშვობა და ყრმობა პოლონეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძნელ პერიოდს დაემთხვა. მისი ოჯახი, რომელიც საკმაოდ გაღარიბებულ შლიახტის ფენას ეკუთვნოდა, დაკავშირებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც პოლონეთში არასოდეს შენელებულა. ბავშვს პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდნენ, ბევრი რამ ესმოდა პოლონეთის დიდებულ წარსულზე.

ჰენრიკ სენკევიჩი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტში (სადაც მოგვიანებით არაერთმა ქართველმაც მიიღო განათლება) ეუფლება მედიცინას, იურიდიულ მეცნიერებას და ფილოლოგიას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მომავალმა მწერალმა, რომლის მსოფლმხედველობაც რადიკალ-პოზიტივისტთა (ლიბერალური ბურჟუაზიის) გავლენით ჩამოყალიბდა, ჟურნალისტური საქმიანობა დაიწყო „ლიტვოსის" ფსევდონიმით. 1873 წლიდან „გაზეტა პოლსკას" ფელეტონისტი იყო, 1882 წლიდან კი „სლოვოში" გადავიდა. სენკევიჩმა, როგორც ჟურნალისტმა, იმოგზაურა ჯერ გერმანიაში, ბელგიასა და საფრანგეთში, შემდეგ კი ამერიკაში, ინგლისში, კვლავ საფრანგეთსა და იტალიაში. იგი პოლონურ პრესაში აქვეყნებს ნარკვევებს, მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, შემდეგ კი, უფრო და უფრო მეტად, ნოველებსა და მოთხრობებს. ერთი სიტყვით, ჟურნალისტი თანდათან მხატვარი ხდება და თანაც როგორი! სენკევიჩი ნამდვილი რეალისტია, 80-იანი წლების პოლონეთში უკვე ფართოდ ცნობილი მწერალი, არაჩვეულებრივმა ბელეტრისტულმა ნიჭიერებამ მას უამრავი თაყვანისმცემელი და მკითხველი შესძინა.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა სენკევიჩმა უკვე დაიკავა საპატიო ადგილი ტალანტებით მდიდარ პოლონურ ლიტერატურაში, მაგრამ მთავარი წინ იყო...

80-იანი წლებიდან სენკევიჩის შემოქმედებაში დიდი გარდატეხა იწყება. მწერალი თავს აცხადებს პოლონური სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმის „ჯარისკაცად", ამიერიდან აპირებს მთელი თავისი ძალა და უნარი ხალხის გამხნევებას, იმედის ჩასახვას მოახმაროს, მკითხველებს მოუთხროს იმ დროზე, როცა პოლონეთი „ზღვიდან ზღვამდე იყო გადაჭიმული", უსწორდებოდა ყოველგვარ მტერს, როცა ქვეყანა ჰყავდა და გმირებიც მრავლად ჰყავდა. „მე ვიგრძენი, რომ ყოველგვარი ინტერესი დავკარგე ნოველებისადმი, უმნიშვნელო პერსონაჟებისადმი. საკუთარ თავს ვუთხარი: საკმარისია, ახლა სხვა „ნოტას" ვსინჯავ-მეთქი. ადრე ხომ, ჩვენს წვრილმან დღევანდელობასთან შედარებით, ყველაფერი ასეთი ბრწყინვალე და დიდებული იყო". არა, ეს არ იყო სინამდვილიდან გაქცევა, ეს გახლდათ ისტორიის მაგალითების ჩვენებით უაღრესად აქტიური ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. ასე იქმნებოდა სენკევიჩის დიდებული ტრილოგია „ცეცხლითა და მახვილით" (1883-4), „წარღვნა" (1884-6) და „პან ვოლოდიევსკი" (1887-88). უნდა ითქვას, რომ იგი მაშინვე ითარგმნა მრავალ ენაზე. ჟურნალმა „მოამბემ" საუკუნის მიწურულში გაგრძელებებით დაბეჭდა უზარმაზარი რომანი „ცეცხლითა და მახვილით", რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ქართველ მკითხველთა არაერთი თაობა.

თავიდანვე ვთქვათ, ნუ ჩავთვლით ამ ტრილოგიას მხოლოდდამხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებად. ეს არის მოწოდება, გნებავთ, ზარების დარისხება, საუკუნეების გადაძახილი, ერის გამხნევება და საბრძოლველად შემართვა. რატომ ხვდებოდა ქართველი მკითხველი ესოდენი კეთილგანწყობით სენკევიჩის ისტორიულ რომანებს? საქართველოსა და პოლონეთს ხომ საერთო ისტორიული ბედ-იღბალი აკავშირებთ, ტრილოგიის გამოქვეყნების პერიოდში კი სრულიად ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდნენ.

მართალია, ტრილოგიამ თვით პოლონეთშივე აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგი კრიტიკოსი წერდა სენკევიჩის „ნაციონალიზმზე", წარსულის შელამაზებაზე, ამა თუ იმ ფაქტის უზუსტოდ გადმოცემაზე, თითქოს სენკევიჩი ისტორიული ქრონიკების ავტორი იყო და არა რომანისტი. ზოგი მისი ისტორიული კონცეფციის მცდარობაზე ლაპარაკობდა, ზოგი კათოლიციზმის როლის ზედმეტად ხაზგასმაზე. ყველაზე უსიამოვნო (და უსამართლო!) მაინც ცნობილ მწერალ ბოლესლავ პრუსის „განაჩენია", რომელიც „ტრილოგიაში" ერთმანეთს უპირისპირებდა შინაარსის „სიმახინჯესა" და „მშვენიერ ფორმას". ყოველივე ეს სენკევიჩის მიმართ უსამართლობა იყო.

ისტორიამ, შეიძლება ითქვას, პასუხი გასცა სენკევიჩის ყველა, დიდსა თუ პატარა კრიტიკოსს.

დავით კლდიაშვილი წერდა, როცა რომელიმე ახალი წიგნის წაკითხვას აპირებდა, ჯერ პირველ თავებს გადაავლებდა თვალს, შემდეგ დასასრულს და ამით გადაწყვეტდა, ღირდა თუ არა მთლიანად წაკითხვა. ვინც „ცეცხლითა და მახვილითას" წაკითხვას დაიწყებს, ველარ მოშორდება მას.

ეს არის XVII საუკუნე, დანახული პოლონელის თვალით. რეჩ პოსპოლიტა მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. პოლონელებისა და უკრაინელების დავაში ჩარეული ყირიმის ვერაგი ხანი და მისი მფარველი თურქეთის სულთანი. სენკევიჩის მიერ დახასიათებული ბოგდან ხმელნიცკი არც დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, არც თუ დიდი პატრიოტი. როგორც პოლიტიკოსი, იგი მარცხს განიცდის.

ერთი მცირე ნაწყვეტი ეპილოგიდან: „ხმელნიცკი რომელსაც საკუთარი ხალხი სწყევლიდა მფარველებს თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ეძებდა". სენკევიჩი წერს იმის შესახებ, რომ პოლონელი და უკრაინელი ხალხების საბედისწერო შეჯახების შედეგით მშვენივრად ისარგებლა „მესამე ძალამ" — შვეციამ. თათრები თითქმის მუდმივად ესხმოდნენ თავს უკრაინას და უამრავი ტყვე მიჰყავდათ. დაცარიელდა პოლონეთი, დაცარიელდა უკრაინა. დაქცეული ქალაქების ნანგრევებზე მგლები ყმუოდნენ, ოდესღაც აყვავებული მხარეები ერთ უზარმაზარ სახაფლაოდ გადაიქცა. ადამიანთა გულებში გაბოროტებამ დაისადგურა. და ორ მოძმე ხალხს სიცოცხლე გაუმწარა.

ტრილოგიის მეორე რომან „წარღვნაში" „ცეცხლითა და მახვილითადან" „გადმობარგდნენ" მწერლის და ყველა პოლონელის საყვარელი გმირები: საკმაოდ პირქუში, სამართლიანი სკშეტუსკი, მეტად მახვილგონიერი ზაგლობა, რომელსაც ზოგჯერ „პოლონელ ფალსტაფს" უწოდებენ, ზოგჯერ კი ტილ ულენშპიგელს, განთქმული „ტანმორჩილი რაინდი" ვოლოდიევსკი. მხატვრული ღირსებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ „წარღვნაა" ტრილოგიაში ყველაზე უფრო ძლიერი, რეალისტური რომანი. ისიც ვთქვათ, რომელ „წარღვნაზეა" აქ ლაპარაკი. ლაპარაკია იმ საშინელ საფრთხეზე, რომელიც პოლონელებს შვედებმა შეუქმნეს, „რეჩ პოსპოლიტას" ნამდვილი წალეკვა დაემუქრა. საქმე ის არის, რომ 1587 წელს პოლონეთის მეფედ აირჩიეს შვეციის ტახტის მემკვიდრე სიგიზმუნდ ვაზა. ხუთი წლის შემდეგ იგი შვეციის მეფეც გახდა. პოლონელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ „პერსონალურ უნიას" რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. სინამდვილეში კი სხვანაირად მოხდა. სიგიზმუნდმა, რომელიც იეზუიტების მიერ იყო აღზრდილი, პროტესტანტულ შვეციაში კათოლიციზმის გავრცელება და გაბატონება განიზრახა, რისთვისაც შვეციის ტახტიდან ჩამოაგდეს და ვარშავაში დაბრუნება მოუხდა. დაიწყო ხანგრძლივი კონფლიქტი პოლონეთსა და შვეციას შორის. როგორც სიგიზმუნდ III ვაზა, ისე მისი შვილები ვლადისლავ IV და იან კაზიმირი ხელს არ იღებდნენ შვეციის მეფეთა წოდებაზე, ეს კი ამ ქვეყნის ნამდვილი მონარქების (მათ შორის იყო განთქმული მხედართმთავარი, გუსტავ-ადოლფი) გაბოროტებას იწვევდა. მათ ომი პოლონეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს... „წარღვნა" მაშინ დაიწყო, როცა მეფე კარლოს X გუსტავი რეჩ პოსპოლიტას შემოესია.

აღწერს რა XVII საუკუნის ამბებს, სენკევიჩი სრულიადაც არ კმაყოფილდება სათავგადასავლო სიუჟეტით. მწერალი, რომელიც თავისებურად აგრძელებს ვიქტორ ჰიუგოს რომანტიკულ ტრადიციებს, ამავე დროს სვამს კითხვას (და ეს არის სწორედ მთავარი): „როგორ მოხდა, რომ ერთ დროს ესოდენ ძლიერი სახელმწიფო შემდეგ დაემხო და მტრების საჯიჯგნი გახდა. ვინ იყო ამაში დამნაშავე? და აი, აქ სენკევიჩს, თითქოს სათავგადასავლო ჟანრის დიდოსტატსა და შეუდარებელ მთხრობელს, ცვლის სენკევიჩი-მოაზროვნე. პოლონეთის დაცემა ერთბაშად არ მომხდარა და არც რომელიმე კლასსა თუ კონკრეტულ პიროვნებას მიუძღვის ამაში ბრალი. ერთმანეთს დაერთო ის არაერთი ნაკლი, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოს თითქმის შექმნიდანვე ჰქონდა, მაღალი არისტოკრატიის გამყიდველობა, შლიახტის სისუსტე და არასაკმარისი შეუპოვრობა, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა საგარეო ფაქტორიც.

„წარღვნის" მთავარ მოქმედ პირს ანუეი კმიციცს აქვს, თუ გნებავთ, შლიახტის ყოველგვარი ღირსება თუ ნაკლოვანება. შლიახტიჩები, სენკევიჩის სიტყვით, პატიოსანი და სამართლის მოყვარული ადამიანები, ხშირად არასერიოზულები არიან, ადვილად მიმნდობნი, მათი მოტყუება ძალზე იოლია. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, რომ მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან ცუდად არჩევენ. ერთი რამ კი შველით ამ რაინდებს, ბევრი რამით ქართველ გაღატაკებულ აზნაურებს რომ ჩამოგვანან (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ



XIX საუკუნის შუა წლებში პოლონეთიდან საქართველოში გადმოსახლებული შლიახტიჩების გარჩევა სულ ცოტა ხნის შემდეგ ქართველი გუდამშიერი აზნაურებისაგან მართლაც შეუძლებელი იყო) — სარწმუნოება. „წარღვნაში" ყურადღებას იპყრობს ერთი ეპიზოდი, როდესაც შლიახტიჩები საკუთარ თავსაც დასცინიან, საკუთარ მეფესაც, ჰეტმანებსაც, სარდალ ჩარნეცკისაც არ ინდობენ, მაგრამ არ კარგავენ სარწმუნოებისადმი უაღრესი მოწიწების გრძნობას.

მწერალი არ მალავს რაინდთა არაერთ ნაკლს, ხაზსაც კი უსვამს მას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს ის ძალაა, რომელიც იცავს სამშობლოს და შემდეგშიც დაიცავს. და აი, უკვე ახალი რამ. როცა „წარღვნის" მთავარი გმირი კმიციცი ფარულად შედის მტრისაგან დაპყრობილ ვარშავაში, იგი რწმუნდება, რომ მდაბიო ხალხი, რომელიც ადრე ეზიზღებოდა კიდეც, თავისი მეფისა და სამშობლოს ერთგულია. ხომ უღალატეს პოლონეთს მაგნატებმა, რომლებიც შვედების მხარეზე გადავიდნენ, ხომ ასევე მოიქცა არაერთი რაინდიც, მაგრამ ხალხი, ხალხი კი ბოლომდე სამშობლოს ერთგული დარჩა. ისე, რომ მწერალი სამშობლოს დიდების ამაღორძინებელ ძალებს საკმაოდ ხედავს. ეკლესია, რაინდები და უბრალო ხალხი — აი, ვისი იმედი აქვს სენკევიჩს.

ტრილოგიაში მწერალმა არაერთი უკვდავი მხატვრული სახე შექმნა. როგორ შეიძლება დაივიწყო ზაგლობა, რაღაცით რაბლეს გმირსაც რომ ჩამოგავს, მეტისმეტად გონებამახვილი მოსაუბრე, ხან შიშის გრძნობა რომ სძლევს, ხან კი საოცარი გულადობით გამოირჩევა, ათასგვარი თავგადასავლის მონაწილე, პირველ რიგში კი — დიდად მომხიბლავი ნამდვილი შლიახტიჩი, გამყიდველების მამხილებელი, ბევრი ადამიანის მხსნელი. როგორ შეიძლება სამუდამოდ არ დაგამახსოვრდეს ტრილოგიის მესამე ნაწილის მთავარი გმირი ვოლოდიევსკი (ამ ნაწილის მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმიც შეიქმნა პოლონეთში), ტანმორჩილი, „პატარა რაინდი", საოცარი ვაჟკაცი, სწორუპოვარი მოფარიკავე.

ერთი სიტყვით, სენკევიჩის ტრილოგიას რომ წაიკითხავს, პოლონელი, ამ დროისათვის პესიმისტი და ხელჩაქნეული, უნდა განიმსჭვალოს რწმენით — გაივლის დრო და ისევ ეყოლება სამშობლოს ახალი ვოლოდიევსკი, სკშეტუსკი, ზაგლობა... მწერალმა მიაღწია მიზანს, მაგრამ ერთი რამ არ გვესმის: როგორ მოხდა, რომ „ცეცხლითა და მახვილითას" ავტორი, ზოგი საბჭოთა კრიტიკოსის აზრით, ნაციონალისტია, ხოლო „წარღვნის" შემქმნელი კი — მგზნებარე პატრიოტი? ორივე შემთხვევაში ხომ „ერთ სამშობლოზეა" ლაპარაკი, უფრო სწორად — სამშობლო ერთია!

ტრილოგიასთან ბევრი რამ აქვს საერთო უფრო მოგვიანებით დაწერილ რომან „ჯვაროსნებს" (1897-1900). ოთხი წლის განმავლობაში მას გაგრძელებებით ბეჭდავდნენ ვარშავის „სლოვო", „ტიგოდნიკ ილუსტროვანი" და პოზნანის „ძენნიკი". რომანს დიდი გატაცებით კითხულობდნენ, მოუთმენლად ელოდნენ ჟურნალების მორიგი ნომრის გამოსვლას. 1900 წელს „ჯვაროსნები" ცალკე წიგნად დაიბეჭდა და მას შემდეგ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამოვიდა.

რამ გამოიწვია რომანის ესოდენ დიდი პოპულარობა?

მასში ავტორი ეხება პოლონეთის ისტორიის უაღრესად საინტერესო პერიოდს, როცა ქვეყანას ტევტონური ანუ ჯვაროსნული ორდენის სახით დიდი საფრთხე დაემუქრა. ორდენი, რომელსაც რომის პაპი უჭერდა მხარს, აღმოსავლეთის მიმართულებით ფართო ექსპანსიას ახორციელებდა. ამას იდეოლოგიური „დასაბუთებაც" ჰქონდა — ლიტვაში კათოლიციზმის გავრცელება. პოლონეთი კათოლიკური ჯერ კიდევ X საუკუნიდან იყო, მაგრამ ამას ორდენისათვის რეალური მნიშვნელობა არა ჰქონდა. იგი უდიდესი სისასტიკით მოქმედებდა, ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა მოწინააღმდეგეებს შორის, ქრისტიანები იქნენ ისინი თუ კერპთაყვანისმცემლები. ორდენთან ბრძოლას ართულებდა შინაგანი წინააღმდეგობა პოლონეთსა და ლიტვას შორის, თუმცა [illegible] 1385 წლიდან, მას შემდეგ, რაც ლიტვის დიდმა მთავარმა იაგაილომ (პოლონეთის ტახტზე — ვლადისლავ II იაგელომ) პოლონეთის დედოფალ იადვიგაზე იქორწინა, ე. წ. „პერსონალური უნიით" იყვნენ დაკავშირებულნი.

რომანში უამრავი რეალური ისტორიული პირი თუ გამოგონილი პერსონაჟია. მეფე ვლადისლავ II ძალზე ერიდება ჯვაროსნებთან ბრძოლას, ისინი ხომ ერთდროულად ბერებიც არიან და ეშინია ქრისტიანულმა სამყარომ არ შერისხოს. ასეთი ფიქრები არ აღელვებს მის ბიძაშვილს, ლიტვის დიდ მთავარ ვიტაუტასს (ვიტოვტს, ვიტოლდს), თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლს. რა ხიფათს არ გადააწყდებიან ჯვაროსნების მიზეზით რომანის მთავარი გმირი, უშიშარი, ხშირად გულუბრყვილო რაინდი ზბიშკო, რომელიც მეფემ ელჩის უნებლიე შეურაცხყოფისათვის კინაღამ სიკვდილით დასაჯა, მისი გამზრდელი ბიძა მაცკო, სახელოვანი მებრძოლი იურანდი, რომლის მეუღლეც ტევტონების ერთ ყაჩაღურ თავდასხმას შეეწირა. პოლონური ისტორიული ქრონიკებიდან კარგადაა ცნობილი ზავიშა ჩარნი, რომელმაც არაერთ ბრძოლაში გაითქვა სახელი; იაკუბი კობილიანიდან, რაინდთა ტურნირების მუდმივი მონაწილე და ჯვაროსნების მედგარი მოწინააღმდეგე; პოვალა, ყოველთვის მებრძოლთა პირველ რიგებში რომ იყო.

რომანში დიდი ოსტატობით არის აღწერილი გრიუნვალდის ბრძოლა (1410 წლის 15 ივლისს) ჯვაროსნების ორდენსა და პოლონელთა და ლიტველთა გაერთიანებულ ჯარს შორის (მათ სმოლენსკელთა პოლკები და თათრების ცხენოსანი რაზმებიც ეხმარებოდნენ).

გრიუნვალდთან ბრწყინვალე გამარჯვებით პოლონელები და ლიტველები ისევე ამაყობენ, როგორც ქართველები დიდგორით, ფრანგები — აუსტერლიცით, გერმანელები — ტანენბერგით. ამის შემდეგ, როგორც აღნიშნავს სენკევიჩი, პოლონეთმაც თავისუფლად ამოისუნთქა და ლიტვამაც, ჯვაროსანთა ორდენი, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მოუტანა მთელ აღმოსავლეთ ევროპას, წელში იქნა გატეხილი.

„არა მარტო ჯვაროსნების ვერაგული ორდენი იყო გართხმული მეფის ფეხებთან. განკითხვის ამ დღეს პოლონურ მკერდს შეაკ

(დასასრული მე-14 გვ.)

(დასასრული)

და და დაიმსხვრა გერმანელთა მთელი ძლიერება, აქამდე ტალღებად რომ ეხეთქებოდა უბედურ სლავურ მიწას.

ქება-დიდება შენ უკუნითი უკუნისამდე, დიდო, წმინდა წარსულო და შენც, შეწირულო სისხლო!"

ჯვაროსანი რაინდების მთელ დაუნდობლობასა და უადამიანობას მწერალი პოლონელთა კეთილშობილ საქციელს უპირისპირებს. ბრძოლის ველზე მათ არაერთ დამარცხებულს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. პოლონურმა ქრონიკებმა ასეთი ფაქტიც შემოგვინახეს. მეფე ვლადისლავ II იაგელომ გაანთავისუფლა 20 ათასი ტყვე რაინდი, სიტყვა ჩამოართვა მათ, რომ გარკვეული დროის შემდეგ კრაკოვში ჩამოვიდოდნენ და გამოსასყიდს ჩამოიტანდნენ. საინტერესოა, რომ გრიუნვალდის ბრძოლაში მონაწილეობდა ჩეხეთის ეროვნული გმირი იან ჟიჟკა, რომელმაც ბრძოლის დამთავრებისთანავე მეფეს დატყვევებული გერმანელი თავადი მიჰგვარა.

ზოგი კრიტიკოსი თვლიდა, რომ სენკევიჩმა ღირსეული არ მიუზღო მეფე ვლადისლავ II-ეს, მაგრამ აქ ხომ იგი პოლონელი ისტორიკოსების დიდი უმეტესობის აზრს იზიარებდა. ჰენრიკ შმიდტი, მაგალითად, თავის „პოლონეთის ისტორიაში" წერდა: „ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ვიტოლდის (ვიტაუტასის) სიმამაცემ და მაშკოვეცელი ზინდრიანის (პოლონელი სარდალი) გონივრულმა გადაწყვეტილებებმა ითამაშეს".

და მაინც, სენკევიჩის ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად ითვლება არა ტრილოგია ან „ჯვაროსნები", არამედ ნერონის ეპოქისადმი მიძღვნილი დიდი რომანი „კვო ვადის" („ვიდრე ჰხვალ" ცნობილია სლავური სახელწოდებითაც „კამო გრიადეში"). ეს გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული რომანი არა მარტო პოლონურ, არამედ საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში. მისი ცალკეული თავების გამოქვეყნება მწერალმა 1894 წელს დაიწყო, 1896 წელს კი „კვო ვადის" უკვე ცალკე წიგნად გამოვიდა.

ამ დროიდან მოყოლებული, იგი უამრავ ენაზე ითარგმნა. უფრო იოლია, ალბათ, იმაზე ლაპარაკი, რომელ ენაზე არ გამოცემულა ეს მართლაცდა კოლოსალური პოპულარობის მქონე ნაწარმოები. იგი ქართველ მკითხველს გააცნო ჩინებულმა მთარგმნელმა ნიკო ავალიშვილმა, შეუნარჩუნა მას დედნის მომხიბლაობა. აქ შეიძლება იმის თქმაც, რომ რომანის მიხედვით არაერთი ფილმიც შეიქმნა.

რა თქმა უნდა, იბადება კითხვა, რატომ „უღალატა" უკვე მსოფლიო სახელის მქონე სენკევიჩმა თავის თემატიკას და სულ სხვა სფეროში გადაინაცვლა. ერთმა მწერალმა იხუმრა: ფლობერს რომ ძალიან გაუწყალეს გული, წამდაუწუმ ახსენებდნენ მის დამოკიდებულებას ბალზაკისადმი, ისიც ადგა და „სალამბო" დაწერაო (ძველი მსოფლიო ხომ ბალზაკს ნაკლებად აინტერესებდა). სენკევიჩის „გადახვლის" მიზეზი ანტიკურ სამყაროში სხვა იყო.

სენკევიჩი ახალგაზრდობიდანვე რომაული კულტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო. 1893 წელს, როცა მწერალმა რომში კარგა ხანი გაატარა, ქალაქს, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ათვალიერებდა „ტაციტუსით ხელში". აი, რას წერდა სენკევიჩი: (ტაციტუსის) „ანალებს" რომ ვკითხულობდი, არაერთხელ ვიგრძენი, რომ ჩემში მწიფდება აზრი ორი სამყაროს მხატვრულ შეპირისპირებისა, რომელთაგან ერთი ახორციელებდა ადმინისტრაციული მანქანის ყოვლისშემძლეობას, მეორე კი (ქრისტიანობა) მხოლოდ სულიერ ძალას წარმოადგენდა". სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სენკევიჩმა საგანგებოდ შეისწავლა ანტიკური წყაროები: სენეკას, ტაციტუსის, სვეტონიუსის, პლუტარქეს, დიონ კასიოსისა და სხვათა ნაწარმოებები. შეიძლება იმის თქმაც, რომ სენკევიჩი, როგორც დიდი ერუდიციის რომანისტი, რომის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს მეტს აძლევს, ვიდრე, ვთქვათ, ამ პერიოდის რომელიმე პროფესიონალი მკვლევარი.

ერთი სიტყვით, გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ სულიერად მომაკვდავი რომი უპირისპირდება პირველი ქრისტიანების სამყაროს, მთელი მისი სიმშვენიერითა და სისპეტაკით. ამ ახალ სამყაროს ებრძვიან იმპერატორი ნერონი — დედის, ძმისა და მეუღლის მკვლელი (რომანში მოქმედება ნერონის მმართველობის ბოლო ოთხი წლის: 64-68 წლების მანძილზე ვითარდება), მისი დამქაშები — სულიერად გახრწნილი ოტონი, ლორმუცელა ვიტელიუსი, უსასტიკესი ტიგელინი. რომანში აღწერილია ამ უსულგულო ადამიანების ღრეობები. ვერცერთი მათგანი ვერ გრძნობს აღსასრულის მოახლოვებას. სამაგიეროდ ეს ნათელია სასახლის ამ „კამარილიასთან" დაახლოებული მწერლისთვის, „სატირიკონის" ავტორ პეტრონიუსისათვის, ნიჰილისტისათვის, რომელსაც უიმედობა დაეუფლა, რომის გრანდიოზული ხანძრით, რომელზედაც ბევრი დაწერილა, სენკევიჩმა იშვიათი მხატვრული ძალით, სიმბოლურად აჩვენა ძველი კერპთაყვანისმცემლური სამყაროს მსხვრევა და მოსპობა.

„კვო ვადის", ზოგი კრიტიკოსის აზრით, არის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის მხურვალე მოწოდება. სხვებმა, აქ, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკური ტენდენციები დაინახეს. 1900 წელს რომის პაპმა სენკევიჩს, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, სპეციალური მილოცვა გაუგზავნა. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ სწორედ ამ მილოცვამ „უბიძგა" შვედებს 1905 წელს მწერლისთვის ნობელის პრემია მიენიჭებინათ.

სენკევიჩი პოლონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ყოველნაირად ემსახურება მას არა მარტო თავისი პატრიოტული ნაწარმოებებით, რომელთა მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია. იგი მას დიდი ფულადი თანხითაც ეხმარება, ისევე, როგორც მეორე გამოჩენილი პატრიოტი; დიდი პიანისტი იგნაც პადერევსკი. მათი ასეთი თავდადება ყველას როდი ესმოდა, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, როცა მოგვიანებით პადერევსკი უკვე პოლონეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, და ვერსალში ჩავიდა, მას საფრანგეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე არისტიდ ბრიანი შეხვდა. ძველთაგანვე ასეთი ტრადიციაა: მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა „არაფერი იციან" ჩაგრული ხალხების შესახებ. „მაპატიეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო — ჰკითხა ბრიანმა — დიდი პიანისტი პადერევსკი თქვენი ნათესავი ხომ არ არის?" „მე გახლავართ" — მიუგო დარცხვენილმა პადერევსკიმ. „გაუგებარია, სად ხელოვნების ასეთი მწვერვალები და სად... პრემიერ-მინისტრობა!" საფრანგეთის დიდ პატრიოტ ბრიანს არ უნდოდა გაეგო, რომ პადერევსკისათვის ყველაზე „დიდი მწვერვალი" მისი სამშობლოს თავისუფლება იყო. ამასთან თუ მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილ სენკევიჩსა და პადერევსკის, ცხადია არაფერი აკლდათ, ზოგი პოლონელი პატრიოტი ხომ ემიგრაციაში უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა. ცნობილი მწერალი სტეფან ჟერომსკი ერთხელ შემთხვევით შევიდა პოლონური ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერ პილსუდსკისთან და სახტად დარჩა — იგი მაგიდასთან პერანგისა და მისი „ამხანაგის" ამარა იჯდა. „პან იუზეფ?" „მაპატიეთ, პან სტეფან! ერთადერთი შარვალი მაქვს. ისიც დამეხა და მკერავთან დასაკერებლად გავატანე".

დიდი მწერალი ომის დროს შვეიცარიაში ცხოვრობდა. იგი სამწუხაროდ, ვერ მოესწრო თავისი სამშობლოს გათავისუფლებას — გარდაიცვალა 1916 წლის 15 ნოემბერს. სულ ორი წლის შემდეგ კი — 1918 წლის ნოემბერში განხორციელდა მთელი პოლონელი ხალხის ოცნება — აღდგა პოლონეთის სახელმწიფო, ერთბაშად სამი იმპერიის მიერ ანექსირებული და მიწასთან გასწორებული და ამ წმინდა საქმეში მნიშვნელოვანი წილი სენკევიჩმა და მისმა საყვარელმა გმირებმაც შეიტანეს იმ წიგნებმა, რომელთაც ესოდენ გატაცებით კითხულობენ მთელ მსოფლიოში და ერთი წუთითაც არ ივიწყებს პოლონელი ხალხი.

# მაქს ფრიში

## (15 მაისი, 1911 — 4 აპრილი, 1991)



1991 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა მაქს ფრიში, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი ბურჯი. მაქს ფრიშს ერთგან ნათქვამი აქვს, „ზანდახან მეც მეჩვენება, რომ ნებისმიერი წიგნი, თუ იგი ომის წინააღმდეგ არაა მიმართული, ან უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად არ იღვწის, უაზროა, უმაქნისი, უპასუხისმგებლო, მოსაწყენი. ისეთი უმნიშვნელო, რომ მისი წაკითხვაც არა ღირს. თითქოს ახლა აღარ არის პირად ცხოვრებაზე წერის დრო, მაგრამ ცხოვრება ხომ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული პიროვნების ირგვლივ თამაშდება, ან ცალკეულ პიროვნებაზე ძალადობის გამოვლენა გახლავთ"[1]. ეს გამონათქვამი შეიძლება მივიჩნიოთ მისი შემოქმედების კრედოდ, სადაც ყურადღების ცენტრში ადამიანია მოქცეული და ყველა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა მისი ბედის პრიზმაში ტყდება.

ცნობილია, რომ ვერანაირი მიმოხილვა ვერ შეგიქმნის მწერლის შემოქმედებაზე წარმოდგენას, თუ წაკითხული არა გაქვს მისი ერთი ნაწარმოები მაინც. ამიტომ, აქ არ შევუდგები მაქს ფრიშის შემოქმედებაზე საუბარს, მხოლოდ ჩამოვთვლი მის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, მათგან უმრავლესობა თარგმნილია რუსულ ენაზე, ქართულად კი თარგმნილია რომანები „Homo Faber", და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი", და ხელმისაწვდომია მკითხველთა ფართო წრისათვის.

მაქს ფრიში 1957 წლამდე ცნობილი იყო თავისი დრამატურგიით. მისი პიესები „სანტა კრუცი", „ისინი ისევ მღერიან", „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებლები", „დონ ჟუანი, ანუ გეომეტრიის სიყვარული", „ანდორა", „გრაფი ოდერლანდი" და სხვა წარმატებით იდგმებოდა მსოფლიოს თეატრების სცენაზე, 50-იან წლებში, კი, როცა გამოვიდა მისი რომანები „შტილერი" და „Homo Faber", მაქს ფრიში ერთბაშად მოექცა მსოფლიოს ათი საუკეთესო პროზაიკოსის სიაში. მათ მოჰყვა რომანები „ვიქნები თუნდაც განტენბაინი", „მონტოკი", „ადამიანი ჩნდება პოლოცენის ეპოქაში", „ლურჯწვერა", მოთხრობები, დღიურები და სხვა, სადაც ავტორისავე სიტყვით, დასმულია ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის, ქალის ემანსიპაციის, დანაშაულისა და უდანაშაულობის, პიროვნების „იდენტურობის", ანუ საკუთარ ბუნებასთან მისი შესაბამისობის პრობლემა. ამ უკანასკნელს მწერალი ბოლო ხანებში აღარ თვლიდა თავისი შემოქმედების ცენტრალურ პრობლემად, თუმცა, მას მიუძღვნა ორი რომანი „შტილერი" და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი". მაქს ფრიშს აინტერესებს, პიროვნების მრავალი წახნაგი და, მათ შორის, ცხადია, კონფლიქტიც პიროვნებასა და ცხოვრებაში მასზე დაკისრებულ როლს ან როლებს შორის, მაგრამ ამასთან, თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში იგი გრძნობს შრომის გაუცხოებას და აქედან მომდინარე, კრიზისს პიროვნებაში. მწერლის აზრით, თანამედროვე ადამიანს დღეს შრომა აღარ აძლევს პასუხს კითხვაზე: ვინ ვარ მე? საკუთარი „მე"-ს ძიების გზაზე კი მას ორი რამ მიაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად: „შეიცან თავი შენი" და „იყავი ის, რაც ხარ".

საინტერესოა, მაქს ფრიშის აზრი ლიტერატურისა და ხელოვნების როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მწერლისა და ხელოვანის პასუხისმგებლობის გრძნობაზე ირგვლივ გამეფებული უსამართლობის, ანტიჰუმანურობის გამო. ცხადია, იგი ხელოვნებას არ თვლის ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს აგრესია, ან შეცვალოს რომელიმე ანტიჰუმანური რეჟიმი, მაგრამ თვით ხელოვნების, ლიტერატურის ნიმუშების არსებობის ფაქტი, რომელსაც ებრძვის, თრგუნავს, კრძალავს, ანტიჰუმანური რეჟიმი, არის ყოველგვარი ანტიჰუმანური გამოვლენის წინააღმდეგ ამხედრებული ძალა და იგი თავის კვალს მაინც ტოვებს ადამიანის ცნობიერებაში.

მაქს ფრიში ბევრს ფიქრობს თავისი სამშობლოს — შვეიცარიის როლზე და ადგილზე მსოფლიოში. საინტერესოა, მისი აზრი შვეიცარიის ნეიტრალიტეტზე. „ნეიტრალიტეტი ზნეობრივი ნორმა კი არ არის, იგი სახელმწიფოებრივი კეთილგონიერებაა. როცა ას წელზე მეტი ხნის წინათ, გერმანია და საფრანგეთი ეომებოდნენ ერთმანეთს, ჭკვიანური იყო, შვეიცარიას, როგორც პატარა ქვეყანას, არც ერთ მებრძოლ მხარესთან არ დაემყარებინა კავშირი, — თუმცა, შვეიცარიელების ერთი ნაწილის მშობლიური ენა ფრანგულია, მეორესი კი — გერმანული. რომელიმე მხარესთან დადებული პაქტი ალბათ, შვეიცარიული კონფედერაციის დაშლამდე მიგვიყვანდა. ან კი რა საჭიროა, კავშირი რომელიმე დიდ ერთან, გერმანელები იქნებიან ეს თუ ფრანგები? ისტორიიდან ხომ ცნობილია, რომ პარტნიორებიდან უფრო პატარას გამარჯვების შემთხვევაში ყველაზე ნაკლები ერგება, დამარცხების შემთხვევაში კი სრულად აზღვევინებენ ხოლმე საზღაურს". (მაქს ფრიშის საუბრიდან ა. ფრენკინთან, „ლგ", 7.08. 1985).

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი სულაც არ ნიშნავს მათი მოქალაქეების ნეიტრალიტეტს და ამის საუკეთესო მაგალითია თვით მაქს ფრიშის ცხოვრება და შემოქმედება. განსაკუთრებით ვლინდება მისი პოლიტიკური მრწამსი და პოზიცია დღიურების ციკლში „დღიურები 1946-1949" და „დღიურები 1966-1971". მწერალი დღიურებს თავის შემოქმედების ერთ-ერთ ლიტერატურულ ფორმად მიიჩნევს, სადაც „ისტორიული მოვლენების ქრონიკა ჩვენი პირადი ცხოვრების ქრონიკას ენასკვება". მაქს ფრიშის პოლიტიკური აქტიურობის კიდევ ერთი მაგალითია 1990 წელს შვეიცარიაში გამართულ დისკუსიაში მისი ჩაბმა, როცა საკამათოდ იქცა საკითხი: უნდა ჰყავდეს თუ არა შვეიცარიას ჯარი? აქ მან ბაბუასა და შვილიშვილს შორის გამართული დიალოგის ფორმით გამოხატა თავისი პოზიცია და მხარი დაუჭირა შვეიცარიისათვის ჯარის აუცილებლობის იდეას.

1990 წლის ოქტომბერში მეუღლესთან ერთად, მიწვეული გახლდით შვეიცარიაში, როგორც მაქს ფრიშის რომანების „Homo Faber"-ისა და „ვიქნები თუნდაც განტენბაინის" მთარგმნელი. იქაურ მწერალთა კავშირის წევრებს ვესაუბრე ჩემს შემოქმედებაზეც და ცხადია, ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ ლიტერატურაზეც. ბევრისთვის აღმოჩენა იყო, რომ თურმე არსებობს ერთი პატარა ქვეყანა, სადაც არამცთუ საკუთარი მდიდარი და უძველესი ლიტერატურა აქვთ, არამედ უცხოურ ლიტერატურასაც კი თარგმნიან. იყვნენ ისეთებიც, ვინც კარგად იცნობდა ჩვენს ქვეყანას და მის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც იყო ჩახედული. ერთმა ჰაინც ფენრიხის ქართული ლიტერატურის ისტორიაც კი გვიჩვენა. სამაყო იყო ჩვენი მონათხრობის დამადასტურებელი წყაროს დანახვა, მაგრამ თავისმომჭრელი გახლდათ წიგნის პოლიგრაფიული დონე და გაფორმება — ღია მწვანე მუყაოს ყდაში ჩასმული ჩვენებური გამოცემა, ცხადია, იქ უფრო უბადრუკი ჩანდა.

შვეიცარიაში ჩასულს დიდი იმედი მქონდა, რომ პირადად შევხვდებოდი ჩემს საყვარელ მწერალს, ვიცოდი, რომ მაქს ფრიში დიდი სტუმართმოყვარეობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გულს მასთან ჩემი დიდი ხნის მიმოწერა მიმაგრებდა.

ჩვენი მიმოწერა კი ასე დაიწყო: 1968 წელს წავიკითხე „ინოსტრანნაია ლიტერატურაში" მაქს ფრიშის „Homo Faber". რომანი ძალიან მომეწონა, მოვინდომე მისი თარგმნა და მოვიძიე ორიგინალი. საქართველოში ორიგინალი მხოლოდ ბუბა ყარალაშვილს აღმოაჩნდა. ბუბამ წიგნი მათხოვა, მაგრამ მომიბოდიშა, დიდი ხნით ვერ შეველევიო. მაშინ, ახლის გადაღების საქმეც არ იყო ისე გაიოლებული, როგორც დღესაა, მაგრამ ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში პატივი მცეს (დიდი ხათრი გამიწია, კერძოდ, ქალბატონმა ლეილა ზამბახიძემ) და გამიკეთეს ფოტოპირი. იმ ფოტოპირით კი ვიმუშავე, მაგრამ აზრად მომივიდა მწერლისთვის წერილი მიმეწერა და წიგნი მეთხოვა. მან წერილზეც მიპასუხა, წიგნიც გამომიგზავნა და მას შემდეგ, რეგულარულად მაწვდიდა თავის წიგნებსაც და კრიტიკულ ლიტერატურასაც. მეც, ცხადია, ჩემს თარგმანებს ვუგზავნიდი და ასე გაიბა ჩვენს შორის საქმიანი ურთიერთობა. ერთ-ერთ წერილში იგი მწერდა, თუ კიდევ დააპირებთ ჩემი ნაწარმოებების თარგმნას, გირჩევთ „შტილერი" თარგმნოთო. მისი აზრით, „შტილერის" გაცნობით, ქართველ მკითხველს საკმაოდ სრული წარმოდგენა შეექმნებოდა მის შემოქმედებაზე... მომავალში ალბათ, შევეცდები ამ ხარვეზის შევსებას.

ციურიხში კი „სადარბაზო ბარათად" ჩავიტანე მაქს ფრიშის ორი რომანის საკმაოდ სიმპათიური გამოცემა და ჩვენს კურატორს ვთხოვე, მაქს ფრიშს დაკავშირებოდა. სამწუხაროდ, გვითხრეს, რომ მწერალი შეუძლოდ ბრძანდებოდა და სტუმრებს ვერ მიიღებდა. ძალიან დამწყდა გული. და აი, „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში" (5.04.91) წავიკითხე მისი სიკვდილის ამბავი. ვრცელი, მიმოხილვითი წერილის გვერდით გამოქვეყნებულია მოკლე ბიოგრაფიული ცნობაც და მისი წიგნების ერთ-ერთი გამომცემლის ზიგფრიდ უნზელდის მცირე მოგონებაც. გამომცემელს იგი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე უნახულებია. მაქს ფრიში, ჩვეულებისამებრ, მშვიდად და თავაზიანად შეხვედრია სტუმარს, უნზელდს მისი დაბადების ოთხმოცი წლისთავზე ჩამოუგდია სიტყვა, მას კი ხუმრობით უთქვამს, ბავშვებს იმით მაინც დაამახსოვრეთ ჩემი თავი, რომ იმ დღეს სწავლა ნუ ექნებათო. მწერალს სავსებით გაცნობიერებული ჰქონია, რომ უკურნებელი სენი სჭირდა და აღსასრული კარს იყო მომდგარი.

80 წელი კი ამა წლის 15 მაისს უნდა შესრულებოდა...

**დალი ფანჯიკიძე**

# თვითნაბადი ნიჭი

„მოვედი, ვნახე, დავამარცხე"— ამ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, ბატონ ნოკო ხურციას თავისუფლად შეეძლო ეთქვა—მოვედი, ვიმღერე, წავედი. მისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ სამ სიტყვაში ჩაეტეოდა.

ვინ იყო ნოკო ხურცია? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თუნდაც მხოლოდ თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნის გრიგოლ კოკელაძის სიტყვებიც იკმარებდა — „ნოკო ხურცია ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მისი შესრულება იმით იყო საინტერესო, რომ ის ყოველთვის იცავდა სიმღერის ხალხურ კოლორიტს და ნაირსახოვანი, საინტერესო ორნამენტული ქარგებით ამკობდა და ამდიდრებდა სიმღერას. უფრო მეტი, როგორც შესანიშნავი შემოქმედი, იმპროვიზატორი, ნ. ხურცია ანვითარებდა ხალხურ სიმღერას, თავისებური სურნელება და სიცოცხლე შეჰქონდა მასში. ყოველთვის ღრმა გააზრებით, სიფრთხილით, განსაკუთრებული ენთუზიაზმით ასრულებდა ყველა ახალ სიმღერას. როგორც ნამდვილი ხელოვანი, ნოკო ხურცია თანაბარი გამომსახველობით, განწყობითა და ფაქიზი გემოვნებით გადმოსცემდა პატარა მისამღერს თუ ძირითად წამყვან მელოდიას. მას საუკეთესოდ ჰქონდა ათვისებული სიმღერების ცალკეული ხმები. იგი ხან მეორე ხმას, ან ბანებს წაეხმარებოდა. თუ ხმაში რაიმე შეცდომას შენიშნავდა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა, გაუსწორებდა და თავს მანამდე არ დაანებებდა, სანამ ზუსტად არ შეასწავლიდა. ყოველთვის ცდილობდა ანსამბლის საერთო ხმოვანება მაღალ მხატვრულ დონეზე ყოფილიყო. მისი რეპერტუარი საქართველოს რომელიმე კუთხის სიმღერებით არ ამოიწურებოდა. მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ყველა კუთხის (რაჭული, სვანური, ქართლ-კახური, იმერული, აფხაზური, გურული და სხვა) ხალხური სიმღერები, რომლებსაც სათანადო კოლორიტითა და დამახასიათებელი იერით ასრულებდა. რომელი კუთხის მომღერალთან არ უნდა დაგეყენებინა, ის ყველა სიმღერას შეასრულებდა საუკეთესო და კარგი ვარიანტით. ნოკო მარტო მომღერალი როდი გახლდათ, იგი ამ ეროვნული საქმის დიდი მოჭირნახულე და თავდადებული მსახური გახლდათ. სახელმწიფო ანსამბლის ყველა საჭირბოროტო საკითხს მტკივნეულად განიცდიდა და მის მოწესრიგებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა".

ალბათ, ძნელია ხელოვანის უკეთ დახასიათება, მაგრამ სანამ უშუალოდ ბიოგრაფიაზე გადავიდოდეთ, შალვა მშველიძესაც მოვუსმინოთ: — „ნოკო ცნობილი პიროვნება იყო, თავისი საქმის უზადო მცოდნე, დიდი ხელოვანი. ამასთან, მისი იუმორი (ეს ხომ მთელი შემოქმედება იყო) ისეთი გონებამახვილი და ზომიერი იყო, პირდაპირ აღფრთოვანებას იწვევდა. მას ჰქონდა აუდიტორიის დაპყრობის საოცარი უნარი. რაც არ უნდა ხმაური ყოფილიყო, დარბაზი მისი სიმღერის დაწყებისთანავე გაირინდებოდა".

ნოკო ხურცია 1905 წლის თებერვლის თვეში დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ მენჯში. ოჯახი, რომელშიც ნოკო იზრდებოდა, დიდი მუსიკალური ტრადიციებით გამოირჩეოდა, ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როცა ჯერ კიდევ ყმაწვილს იშვიათი ხმა და შესანიშნავი მუსიკალური მონაცემები აღმოაჩნდა. მისი ნიჭის შემფასებელი პიროვნებაც მაშინვე გამოჩენილა და ვიოლინოს მასწავლებელს, დამსახურებულ პედაგოგს ვალერიან გეგეჭკორს თავის თავზე აუღია ყმაწვილის პირველი მეგზურობა მუსიკის მომხიბვლელ სამყაროში. სწორედ მისი წყალობით შეუსწავლია ნოკოს ნოტები და მიუღია პირველი მუსიკალური განათლება. ისეთი მონაცემების ადამიანს, როგორიც ნოკო იყო, მაშინვე გაუვარდება ხოლმე სახელი. შედეგს არც ამ შემთხვევაში დაუგვიანია და 16 წლის ჭაბუკი ქართული ხალხური სიმღერების უზადო მცოდნეს რემა შელეგიას თავის გუნდში წაუყვანია. უფრო მეტიც, ისეთი ხმა ჰქონია და ისეთი სიმღერა სცოდნია, რომ მეგრელებს მისთვის „მაფშალია" (ბულბული) შეურქმევიათ.

სენაკში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1922 წელს ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ სიმღერასთან ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა. ინსტიტუტში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა სტუდენტურ გუნდს, პარალელურად მღეროდა ძუკუ ლოლუას ეთნოგრაფიულ გუნდში და, ამავე დროს, 1926—28 წლებში წამყვან მსახიობად მუშაობდა მ. ჭიაურელისა და დ. ძნელაძის ხელმძღვანელობით არსებულ მუსიკალური კომედიის თეატრში.

თავისი სტუდენტური პერიოდის შესახებ, ბატონ ნოკოს ერთხელ თავისი ახლო მეგობრებისათვის უამბნია:

— ინსტიტუტში ხალხური სიმღერის გუნდს ვხელმძღვანელობდი. გუნდში მღეროდა იმხანად აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგში გამოჩენილი მომღერალი დავით გამრეკელი. დავითს ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, რომ სიმღერის დროს მთელი გუნდის ხმას ფარავდა. თუ დავითი შეცდომით იმღერებდა რომელიმე ადგილს, მთელი გუნდიც შეცდომით ასრულებდა სიმღერას. ერთი—ორჯერ ხუმრობით დავემუქრე: ყურადღებით იყავი, თორემ დაგითხოვ გუნდიდან-მეთქი. ისე მოხდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ დავითმა მართლა დაანება თავი გუნდში სიარულს და პროფესიული სიმღერის შესწავლას შეუდგა. გავიდა წლები. დავითი უკვე დიდი თეატრის სოლისტი და აღიარებული მომღერალი გახდა. მისი ხავერდოვანი ხმით მოხიბლული მაყურებელი საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის წინ ათენ-ალამებდა ბილეთის შოვნის მოლოდინში.

ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელთა ერთი ჯგუფი მოსკოვში ვიმყოფებოდით გასტროლებზე და, აი ერთხელაც ქუჩაში სეირნობის დროს სრულიად მოულოდნელად დავითს შევხვდით. ხორივეს ძალიან გაგვეხარდა, მომხვია ხელი და ხუმრობანარევი მუქარით მითხრა, — გახსოვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდიდან რომ „გამაგდე"? წამოდი ახლა, სამაგიეროს უნდა გადაგიხადოო და წამიყვანა იმხანად ქართველებისათვის კარგად ცნობილ რესტორან „არაგვში". ერთი პატარა მყუდრო ოთახი მოვძებნეთ და სუფრას შემოვუსხედით. თითო ჭიქით შეხვედრა აღვნიშნეთ და მეტისათვის აღარ გვეცალა. ვიხსენებდით ძველსა თუ ახალს, ვხუმრობდით, წარსულის გახსენებით გამოწვეულმა სიხარულმა წამით დაგვავიწყა აწმყო, დაგვავიწყა ისიც, სად ვიმყოფებოდით, ჩვენს იქეთ ველარავის ვამჩნევდით და, ჩვენდა უნებურად, ძალიან ჩუმი ხმით წამოვიწყეთ სიმღერა. თავდავიწყებამ იმატა, სიმღერაც აზვირთდა, გადიდდა, მთელი სივრცე დაიპყრო და მერე არაფერი გვახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ სიმღერა დავამთავრეთ და ისეთი ტაშის ხმა შემოგვესმა, თეატრის სცენაზე გამოსულ მომღერალსაც კი შეშურდებოდა. რესტორნის მომსახურე პერსონალს და რესტორანში მოსულ თითქმის ყველა მომხმარებელს მიენებებინა თავი თავისი მაგიდებისათვის, შეგროვილიყვნენ ჩვენი „კაბინეტის" წინ და ქართული სიმღერით აღტაცებულნი ოვაციას გვიმართავდნენ. საით გავქცეულიყავით აღარ ვიცოდით, თუმცა სად გავიქცეოდით, დიდი თეატრის გაჭედილი დარბაზის ოვაციას შეჩვეული დავითი ახლა სიწითლეს ველარ მალავდა. „მაყურებელმა" ჩვენი „გასაცოდავებული" მდგომარეობა რომ ნახა, სიცილი დაიწყო. ის იყო ვაპირებდით ხალხის გარღვევას, რომ ერთ-ერთმა ყველას სახელით გვთხოვა არ წავსულიყავით და გვემღერა კიდევ რამე ქართული. თხოვნა შევასრულეთ. როცა ბატონ ნოკოს ჰკითხეს, თუ რატომ გამოიწვია მათმა სიმღერამ ასეთი ფურორი, ასე ახსნა:—დაუვიწყარი იყო ის დღე, ეს იყო ჭეშმარიტად ქართული სიმღერის უნებურად აფეთქება. ქართულმა ხალხურმა სიმღერამ თვითონ, თავისთავად იმძლავრა, მთელი ძალით აჟღერდა და ჩვენც ერთიანად „წაგვლეკა".

ამ ბოლო სიტყვებით მკითხველი უეჭველად მიხვდება, რატომ მოვიყვანე წერილში ეს საინტერესო მოგონება, როგორ ახასიათებს იგი ნოკო ხურციას, როგორც ჭეშმარიტად დიდ პიროვნებას....

1937 წელი სხვა „ყველაფერთან" ერთად, იმითაც იყო საინტერესო, რომ მოსკოვში უნდა გამართულიყო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ჩვენი ხელოვნების წარმომადგენლები ინტენსიურად ემზადებოდნენ დეკადისთვის. მიდიოდა მძიმე, მომქანცველი რეპეტიციები, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას ევგენი მიქელაძე უწევდა ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, როცა სცენაზე ხალხური სიმღერის ანსამბლი იდგა და მღეროდა, ნოკომ სიმღერის დროს ისეთი მაღალი ნოტი აიღო, თანაც ისე კარგად და ისე თავისუფლად, რომ ყველა განცვიფრებაში მოიყვანა. თვალებგაბრწყინებულ მიქელაძეს სიმღერის დამთავრებისათვის აღარ დაუცდია, სცენაზე აჭრილა, ნოკოს გადახვევია და აღფრთოვანებულს უთქვამს — „ასეთი თვითნაბადი ოქრო ჯერ არ მინახავსო".

ანდა, გავიხსენოთ: „ნოკო იყო მოვლენა ქართულ სიმღერაში, მისი მსგავსი ტალანტები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. ასეთი დონის სოლისტი სახელმწიფო ანსამბლს არ ჰყოლია და ალბათ წლები დასჭირდება, რომ მისი მსგავსი კვლავ გამოჩნდეს" (კირილე პაჭკორია).

..."არც ყოფილა და არც იქნება ნოკოს მსგავსი მომღერალი" (ანანია ერქომაიშვილი).

..."სიმღერა ბევრმა იცის, მაგრამ ეს ბიჭი სულ სხვაა" (ვალერიან გეგეჭკორი).

..."როგორც მომღერალი ხომ ენით აუწერელი იყო, ხოლო როგორც ადამიანი, რაღაც არაჩვეულებრივი. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ჩვენი განუყრელი მეგობრობა მის უკანასკნელ დღემდე" (ვანო მჭედლიშვილი).

ომმა ბატონი ნოკო ბევრი ადამიანისთვის ერთადერთ იმედად აქცია არა მარტო სიმღერით, არამედ სუფთა ადამიანური დამოკიდებულებითაც, რაზეც მეტყველებენ გაყვითლებული სამკუთხა ფრონტული წერილები.

„სალამი ფრონტიდან, ძმაო ნოკო! მივიღე შენი წერილი, რომელმაც უაღრესი სიხარული გამოიწვია ჩემში... საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემზე ფიქრობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადამიანი და მეტი არავინ... მართალი უნდა გითხრა, ძმაო ნოკო, არასაასიამოვნოა შენთვისაც კი ასეთი შინაარსის წერილს რომ გწერ, მაგრამ იძულებული ვარ. შენ ხარ ჩემი უახლოესი მეგობარი — ამხანაგი, ძმა და შენ უნდა განდო ჩემი გულის ტკივილი... ...რომ იცოდე, ძმაო ნოკო, რა მაინტერესებს, ერთხელ მაინც ერთი-ორი საათით მამყოფა თქვენთან და მამღერა ძველი სიმღერები, ხმაზე უკეთესად ვარ... მონატრებული ქართულ სიმღერებს, ხან და ხან როცა დრო მრჩება, ვიღებ გიტარას და ჩემთვის ვმღერი... წამოიწყე ერთი კირილესთან ერთად მეგრული მოკლე „ბედისწერა" ან „სისატურა", მე აქედან ტყვიამფრქვევით ხელში გეტყვით ბანს. ეხ!.. მართლა უნდა გითხრა, როგორ მენატრები, წერილი ხშირად მომწერე, ძმაო, ჩემი სიხარული ესაა. შენი ძმა ვ. 14/12 43 წ.

ნოკო ხურცია ომის დროს მარტო თავისი საშემსრულებლო მოღვაწეობით არ შემოფარგლულა, იგი თავად ქმნიდა ეპოქის შესაფერ პატრიოტულ სიმღერებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა და ხალხის დიდი მოწონებით სარგებლობდა „სიმღერა მფრინავ წურწუმიაზე". ამ სიმღერას არც ომის შემდეგ დაუკარგავს პეწი და ლაზათი.

ძ. ლოლუას გარდაცვალების შემდეგ, მის გუნდს სათავეში ჩაუდგა კირილე პაჭკორია. 1925 წლიდან ნ. ხურციაც ამ ანსამბლის წამყვანი წევრია და აქტიურად მონაწილეობს ყველა დიდ საპასუხისმგებლო გამოსვლაში. 1927 წელს გუნდი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვს და კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართული კულტურის მოყვარული საზოგადოების თაოსნობით გამართა სუმბათაშვილ-იუჟინის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელზეც ნოკო ხურციამ, როგორც გუნდის სოლისტმა დიდი აღიარება მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ გუნდი საგასტროლოდ წავიდა სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. კონცერტებს დიდი წარმატება მოჰყვა, ხოლო ნოკო ხურციას სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს. ადგილობრივი პრესა დიდ შეფასებას აძლევდა ნოკო ხურციას ხმის იშვიათობას და მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებას.



1937 წლის მოსკოვის დეკადაზე ნოკო ხურციამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა მაშინ საქართველოს დეკადაზე, როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო პრესის ფურცლებზე, სადაც ნოკო ხურციას მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება ხაზგასმით იყო აღნიშნული. გაზეთი „იზვესტია" წერდა: „მეტად ინტიმური და თბილია სიმღერები „ჩელა", „დიდოუ ნანა", რომლებიც გვიტაცებს, გვაღელვებს არაჩვეულებრივი გამომსახველობით. გუნდის რბილი ხმოვანება, სოლისტის ცეცხლოვანი ინტონაცია, რომელიც გადმოგვცემს საოცარ ზღაპრულ მუსიკას და გვაიძულებს დავიმახსოვროთ ქართველი ხალხის უძველესი ხელოვნება",... „ნოკო თავისი საუცხოო შესრულებით ამშვენებს სახელმწიფო ანსამბლს. შეიძლება ითქვას, რომ ნოკო ხურცია ამ გუნდის წამყვანი და მამოძრავებელი ძალა იყო".

1938 წელს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა საკონცერტო ტურნეები გამართა სსრ კავშირის ყველა დიდ სამრეწველო ქალაქში, რომლებსაც თან სდევდა უდიდესი მოწონება, ხოლო 1939 წელს ნოკო ხურციას, როგორც ლოტბარსა და სოლისტს დაევალა მონაწილეობა მიეღო სსრ კავშირის პირველ სასოფლო სამეურნეო გამოფენის კულტმომსახურეობაში. ნოკო ხურციამ აქაც შესანიშნავად აჩვენა თავისი დიდი შესაძლებლობები, იგი გუნდში მღეროდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გუნდსაც ხელმძღვანელობდა და აღინიშნა კიდეც — „კრემლის სასახლეში გამართულმა კონცერტებმა, ნოკო ხურციას უზადო ტენორმა, რომელშიაც ასე ბედნიერად იყო შერწყმული ხალხური სიმღერების მეტად ძნელი, მაგრამ დიდად საამო ნიუანსები, მოაჯადოვა მოსკოველი მაყურებელი, რომელსაც მანამდე ასეთი საუცხოო რამ არ ეხილა".

როცა ნოკო ხურციას შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ უდიდეს დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა-დამუშავებასა და საერთოდ ქართული ხალხური ხელოვნების განვითარებაში. მან საქართველოს ბევრ რაიონში, მათ შორის სვანეთშიც კი ჩამოაყალიბა გუნდები (მათ შორის ბავშვთა გუნდები), რომლებსაც არა მარტო კურირებას უწევდა, არამედ უშუალოდ ამეცადინებდა და ძველ სარეპერტუარო სიმღერებში შეჰქონდა საჭირო შესწორებები. ბევრი ძველი დავიწყებული სიმღერა აღადგინა, დაამუშავა და ხალხს დაუბრუნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმღერა უტუ მიქავაზე, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, გარდა ამისა, მან პირველმა აღადგინა, დაამუშავა და შეასრულა „ჭარირა", „ოდოია", „ხასა", „დორეჯან" და სხვ., მაგრამ ნოკო ხურციას მოღვაწეობა მარტო გუნდებში მუშაობით არ შემოიფარგლებოდა. მისმა ნიჭმა და უნარმა თეატრებსა და კინოსტუდიაშიც გაიელვა. მის მიერ შერჩეული სიმღერებით დაიდგა სპექტაკლები მარჯანშვილისა („ნაპერწკლიდან") და რუსთაველის („უჩა უჩარდია", „სამშობლო", „სადგურის უფროსი", „ხევისბერი გოჩა") თეატრებში.

ნოკო ხურციას შესანიშნავმა ხმამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი კინოფილმებში — „ფიცი", „დავით გურამიშვილი", „ჯურღაის ფარი", „ნარინჯის ველი", „ტარიელ გოლუა", „ვინ შეკაზმავს ცხენს", „თავადის ქალი მაია" და სხვ. მისი სიმღერების ჩართვა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გმირის ფსიქოლოგიური დრამის გამოკვეთაში.

ჩემს წერილში ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნე, უფრო სწორედ გავიმეორე თანამედროვეთა ნათქვამი ნოკო ხურციას განუმეორებელი იუმორისა და გასაოცარი გულღია ხასიათის შესახებ. აი, ერთი ეპიზოდი:

ნოკომ ჰუტუ ....ძეს, რომელიც ნოკოს დიდი პატივისმცემელი იყო, უთხრა (ჰუტუ სენაკში განთქმული მოტირალი იყო, ქვა რომ დაგედოთ, იმასაც დაიტირებდა, კინოშიც ათამაშეს ამის გამო), ხვალ რუზველტის სატირალში უნდა წამომყვე და საგზლის წამოღება არ დაგავიწყდეს, შორი გზა გვაქვს გასავლელიო. დილით ალიონზე ჰუტუ თავზე დასდგომია მძინარე ნოკოს, გაუღვიძებია, რუზველტის სატირალში არ წავიდეთო? ნოკოს აღარ ახსოვდა წინადღის ოხუნჯობა, არც ელოდა მის მოსვლას, მაგრამ არ დაბნეულა, მისთვის საგზალი გამოურთმევია, მეზობლებისათვის დაუძახია და ჰუტუს საგზლით კარგი სუფრა გაუშლია. პირველი რა თქმა უნდა რუზველტის შესანდობარი დაულევია და ჰუტუსათვის უთქვამს — გვიან გავიგე მისი გარდაცვალება, თორემ ახლა იქ უნდა ვყოფილიყავითო. ჰუტუ მიმხვდარა რაშიც იყო საქმე, მაგრამ რაღას იზამდა. ახია, ჩემზე, ამხელა ქალი რომ მოვტყუვდიო, თან, არ მცოდნოდა მაინც შენი ოინბაზობის ამბავი, მაჯობე, მაგრამ რაღა იქნება, ერთი კარგი პურ-მარილი ჩემზე იყოს, როცა გაგიხარდებაო...

...ნელა შემოეპარა მძიმე დაავადება, ჯერ საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ მერე სიკვდილზე ფიქრსაც შეეჩვია. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე რადიოკომიტეტიდან დაბრუნებულმა, სადაც კონცერტი ჰქონდა, სინანულით თქვა — ხმა უფრო კარგად ჟღერს და რა დასანანი იქნება... სათქმელი აღარ დაამთავრა, ახლობლებს თვალი მოარიდა. მის თვალებზე მანამდე ცრემლი არავის უნახავს და არც მერე შეუმჩნევია ვინმეს. მხრები აიჩეჩა მხოლოდ და ოთახიდან გავიდა...

„ნოკოს უკანასკნელი წუთების მოწმე გავხდი" — იგონებს შალვა ქათამაძე, — სიკვდილის წინ ნოკო ინახულა ჩვენმა კირილე პაჭკორიამ. კირილეს დანახვა ძლიერ გაეხარდა ნოკოს, ძალა მოიკრიბა და წამოჯდა, — ჩემო კირილე, ეს ალბათ ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნებაო და წამოიწყო მეგრული სიმღერა „ღიღინი". პირველი კირილემ უთხრა, ბანი ცნობილმა მომღერალმა ვალერიან სვანიძემ: ეს მართლაც ბოლო ზარი იყო დიდი მომღერლისა. მის გვერდით მყოფნი ცრემლებს ველარ ვიკავებდით"...

...ერთ ამოსუნთქვასავით გაირბინა სიცოცხლის ორმოცდაოთხმა წელმა და იმ ორმოცდაორმაც, ნოკო ხურციას გარდაცვალებიდან რომ აითვლება... დარჩა მხოლოდ მოგონებები, უნიკალური ჩანაწერები და კიდევ... მოვალეობა ყოველი ახალი თაობებისა, რომ არ მისცენ დავიწყებას ნოკო ხურციასნაირი იშვიათი ადამიანები.

ციცინო ჯერვალიძე




# „თამარს ვაქებდეთ მეფესა“

საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ოთარ დიხამინჯიას სიმღერებს: „ბულბული“, „გაუბედავი სიყვარული“, „სულის ყვავილო“, „მერცხალი“, „გახსოვს, მერი“, „ჩემთან მოდი“ და ა. შ. წარმატებით ასრულებდნენ და ასრულებენ საქართველოს მომღერალთა გუნდები და ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები. მათ შორის: დები იშხნელები, ჰამლეტ გონაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, თენგიზ ზაალიშვილი, ალექსანდრე ხომერიკი და სხვები.

1967 წელს ოთარ დიხამინჯიამ უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვებზე შექმნა სიმღერა-საგალობელი „თამარს ვაქებდეთ მეფესა“. იგი მოიწონა კომპოზიტორთა კავშირის სექციამ და მისცა რეკომენდაცია დასაბეჭდად და გასავრცელებლად. მაგრამ...

და აი, წელს გაზაფხულზე, ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად, გაიმართა თამარის მოხსენიების დღე იმ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში, რომელსაც რვა საუკუნის წინათ მართავდა ბრძენი და ხალხის საყვარელი მეფე თამარი.

ოთარ დიხამინჯიამ თამარისადმი მიძღვნილი სიმღერა-საგალობელი გადასცა სიონის საკათედრო ტაძარს.

ჩვენ კი გთავაზობთ ამ სიმღერა-საგალობლის ნოტებს.

# ინგლისური იუმორი

„თქვენი მეთოდები უიმედოდ მოძველებულია“, უთხრა მოხუც ფერმერს კოლეჯდამთავრებულმა ახალგაზრდამ. „ძალიან გამიკვირდება რომ იმ ხიდან სულ ბევრი, შვიდი ვაშლი მაინც მიიღოთ“.

„მეც“, მიუგო ფერმერმა, „ეგ მსხლის ხეა“.

●

„ეს წყვილი მართლა შეყვარებულია, „გაიხედე“, უთხრა თავის ქმარს ქალმა. „ყოველ დილას ვხედავ, მისტერ ჯოუნზი როგორ კოცნის მისიზ ჯოუნზს და ემშვიდობება. შენ რატომ არ იქცევი ასე?“

„რანაირად? ჩემთვის არცკი გაუცვნიათ მისიზ ჯოუნზი“.

●

მდიდარი ბიჭი — „ათას დოლარს მივცემდი, ვინც ჩემს მაგივრად აღელდებოდა“.

ღარიბი ბიჭი — „მოდის! სად არის ათასი დოლარი?“

მდიდარი ბიჭი — „ეგ, პირველ რიგში, შენ მაგივრად აღელვებაა“.

●

ანა — „დედა, შეიძლება ლითონი მივცე იმ მოხუც კაცს, გარეთ რომ ყვირის?“

დედა — „ჰო, გენაცვალე, მაგრამ რაზე ყვირის მოხუცი კაცი?“

ანა — „ნაყინი, ხუთ ცენტად!“

●

ანა — „ბებია, ხომ იცი, ის ლარნაკი შენ რომ თქვი, თაობიდან თაობას გადაეცემაო“.

ბებია — „ხო, გენაცვალე!

ანა — „ჰოდა, ამ თაობას ძირს დაუვარდა“.

●

ორი ახალგაზრდა კლერკი სადილად მიიწვია ფირმის უფროსმა. საუბარი ჯერ საქმეს ეხებოდა.

„მოგწონთ ომარ ხაიამი?“ ჰკითხა უფროსმა, როცა მოინდომა იმ ორი ახალგაზრდა კაცის ლიტერატურული გემოვნების შემოწმება.

„კარგია“, უპასუხა ერთმა, „მაგრამ მე პირადად „შაიანტი“ უფრო მომწონს.

ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ, მაგრამ წასვლისას, გზაში, მეორე ახალგაზრდამ უთხრა მეგობარს: „პირდაპირ არ ჯობდა გეთქვა, რომ არ იცოდი, რაც გკითხეს? ომარ ხაიამი ღვინო კი არ არის, შე [illegible] ისეთი, რაც აქამდე არ გვიჭამია“!

●

ცოლი — „რას ფიქრობ ამ დროს რომ მოდიხარ?“

ქმარი — „კარგი ჩემო სიხარულო. ძალიან ვჩქარობდი სახლში მოსვლას, ვიფიქრე მარტო არის-მეთქი, მაგრამ ვხედავ რომ, შენი ტყუპი და გიდგას გვერდში“.

●

შოფერი — „ძალიან ჩქარა მივდიოდი?“

პოლიციელი — „არა, ძალიან ნელა მიფრინავდით“.

●

„მომიტანეთ ხამანწკა — ახალი, არც ძალიან დიდი, არც ძალიან პატარა, არც ძალიან მარილიანი და არც ძალიან მსუყე. ცივი უნდა იყოს, და მინდა, რომ სწრაფად მომიტანოთ!“

ოფიციანტი — „დიახ, სერ. მარგალიტით თუ უმარგალიტოდ?“

●

ჯეინი (თაფლობისთვის მერე) — ქორწინებამდე, გახსოვს, მითხარი, საქმე ძალიან კარგად მიდის, კარგად ვარო“.

ჯეკი — „ვიყავი კიდეც, რომ მცოდნოდა“.

●

ჯეკმა მეგობარს გაანდო, ცოლს მინდა მოველაპარაკო, რომ ოჯახში ცოტა ეკონომია გავწიოთო, მაგრამ მეორე დღეს ჯეკი დაღონებული იყო.

„როგორ არის საქმე, გამოდის?“ ჰკითხა მეგობარმა.

„კი. როგორც ვატყობ, ლუდს და სიგარეტს თავი უნდა დავანებო“.

●

მამა — „როგორ ჩაიბარა ბილმა გამოცდა ისტორიაში?“

დედა — „ცუდად“ მაგრამ თავისი ბრალი არ არის ისეთი რამეები ჰკითხეს, რაც ამ საბრალო ბიჭის დაბადებამდე მოხდა“.

●

დედა — „ბილ, ისე გადაიღე რაც გინდა, რომ სუფრაზე ხელით არ გადასწვდე. რა მოგივიდა, ენა არა გაქვს??“

ბილი — „როგორ არა, დე, მაგრამ ხელები ენაზე უფრო გრძელი მაქვს“.

# „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს

გულწრფელ გულისტკივილს გამოვთქვამ იმასთან დაკავშირებით, რომ გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს წერილში „ცალფა იაქე, კამათელო!“ კორექტურის თვალსაზრისით და, პირადი დაუდევრობითაც, რამდენიმე უზუსტობა გაიპარა.

შეცდომით არის ციტირებული გურამიშვილის „ტრიქონის ნაცვლად

„დადედლებულნი შიშთაგან ალარ ვარგოდენ მამლადა!“

წერია

„დადუმებულნი შიშისგან აღარ ვარგოდნენ მამლადა!..“

წერილის დედნის სიზუსტე რომ აღსდგეს, ის ორიოდე აბზაცი ასე უნდა გადმოიწეროს:

„არადა, ნამდვილად მახსოვს,— ჩემთან კამათის შემდეგ თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე ისე დაბეჩავებულად გამოიყურებოდნენ, გული მოგიკვდებოდათ! —

„დადედლებულნი შიშთაგან ალარ ვარგოდენ მამლადა...“

აქ ახლა ყველაფერი რიგზეა. მაგრამ გულს ის მიკლავს, სხვა ალაგას, კიდევ ერთი დასანანი უზუსტობა რომ გაპარულა!

მიაქციეთ, ყურადღება!

„მაშინ თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე ხ. ბერულას (ხაზი ახლანდელია, შეცდომა ძველი! — თ. წ.) გუნდში იაგნებად მუშაობდნენ!“

ამ წინადადებაში ზუსტად გამოთქმულ ჩემს აზრს, სამწუხაროდ, რამდენადმე აფერმკრთალებს ჩვენი პატივცემული პოეტის, ბატონ ხუტა ბერულავას გვარის კორექტურა — „ხ. ბერულა“.

მართალია, ეს გვარი, ძველკოლხურად, ალბათ, ასედაც გამოითქმებოდა, მაგრამ დასანანი კორექტურის ახლა ამით გამართლება, მხოლოდ უტაქტობა იქნებოდა!

მეგობრებმა მისაყვედურეს, და ახლა მეც ვადასტურებ, რომ პატივცემული პოეტის სახელი და გვარის შეკუმშული ფორმით „ხ. ბერულავას“ ხმარებას გაცილებით აჯობებდა, სახელის აღმნიშვნელი ინიციალი „ხ“ ბოლომდე რომ გამეშალა! და, საერთოდაც, სადაც წერტილოვანი „ხ“ მიწერია, „უტა“-ც იქვე უნდა მიმემატებინა!

მართალია, ეს ყველაფერი ადგილის დაზოგვის მიზნით კეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე გამოვიდა — რასაც თ. დოიაშვილს ვსაყვედურობდი, მეც კინალამ იგივე დამემართა!

რისთვისაც კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, — გთხოვთ, მომიტევოთ!

პატივისცემით

**თამაზ წივწივაძე**

საქართველოს მწერალთა კავშირი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერალ კარლო არსენიშვილს დედის

**ივლიტა არსენიშვილის**

გარდაცვალების გამო.


## რედაქტორთა საბჭო

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, გივი ჭელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი ზურაბ ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბუდუკაძე.





რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-27-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-08; 99-08-65. 95-88-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ უბრუნებთ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ქართულ ენაზე